

სილქნეტი

წლიური ანგარიში 2020

SILKNET.COM



სარჩევი

მიმოხილვა 3
ძირითადი მაჩვენებლები 3
სტრატეგიული ანგარიში 4
„სილქნეტის“ მოკლე მიმოხილვა 4
„სილქნეტის“ განვითარება 6
ბაზრის მიმოხილვა 8
საქართველოს მოკლე მიმოხილვა 8
სატელეკომუნიკაციო სექტორის მიმოხილვა 12
მარეგულირებელი კანონმდებლობა 18
ჩვენი პროდუქტები და მომსახურება 19
ფინანსური შედეგები 22
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 22
საკრედიტო რეიტინგი 24
შემოსავალი 26
საოპერაციო ხარჯები 28
უცხოურ ვალუტაზე დამოკიდებულება 30
მოგების გადასახადი 32
შემოკლებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 32
კაპიტალური დანახარჯები 32
ფინანსური დავალიანება 33
ფულადი სახსრების და ლიკვიდობის მართვა 34
ჩვენი ბიზნეს მოდელი და სტრატეგია 37
ქსელი და ინფრასტრუქტურა 41
ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT) 48
ოპერაციები და მნიშვნელოვანი მომწოდებლები 49
კონტენტის პორტფელი 50
ჩვენი მომხმარებლები 52
ჩვენი გუნდი 54
„სილქნეტი“ საზოგადოებაში 57
რისკის მართვა 62
ძირითადი რისკები 62
კორპორაციული მართვა 68
მმართველობითი სტრუქტურა 72
სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები 76
მმართველი გუნდის წევრების ბიოგრაფიები 78
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 81
განმარტებები 136



მიმოხილვა

ძირითადი მაჩვენებლები

აბონენტთა რაოდენობა[1]:
მობილური: **1.7** მილიონი
ფიქსირებული ინტერნეტი:
292 ათასი
Pay TV: **228** ათასი

მაღაზიების რაოდენობა[1]:
52

თანამშრომელთა რაოდენობა[1]:
2,075

ბოჭკოვანი მაგისტრალური ქსელის სიგრძე[1]:
4,000+ კმ.

4G/LTE მოსახლეობის დაფარვა[1]: **97%**
ოპტიკით დაფარული ბინები[1]: **60%**

შემოსავალი (2020):
382 მილიონი ლარი

საბაზისო სადგურების რაოდენობა[1]:
1,330 მაკრო
257 მიკრო

EBITDA[2] -ს მარჟა (2020): **55%**

სულ აქტივები[1]:
882 მილიონი ლარი



SILKNET.COM

---

[1]2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

[2]EBITDA წინამდებარე წლიურ ანგარიშში ნიშნავს კორექტირებულ EBITDA-ს აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით. განმარტებისა და დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 12 (საქმიანობის ალტერნატიული მაჩვენებლები)

სტრატეგიული ანგარიში

„სილქნეტის“ მოკლე მიმოხილვა

ჩვენ ვართ წამყვანი კონვერგენტული სატელეკომუნიკაციო ოპერატორი საქართველოში

ჩვენ უზრუნველვყოფთ ქსელის მაღალ ხარისხს ჩვენი დაფარვის არეალში

იხილეთ “ჩვენი ქსელი და ინფრასტრუქტურა”

ჩვენ ვქმნით ეკოსისტემას კლიენტთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის და ჩვენი შეთავაზებების პერსონალიზაციისთვის, ჩვენი კლიენტების მოთხოვნილებების შესახებ ფართომასშტაბიანი ცოდნის გამოყენებით

იხილეთ „ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT)“

ჩვენ გთავაზობთ მრავალფეროვან კონტენტის პორტფელს

იხილეთ „კონტენტის პორტფელი“

ჩვენ წარმოვადგენთ „სილქ როუდ ჯგუფის“ ნაწილს, ერთ-ერთ წამყვან კერძო ინვესტიციების ჯგუფს, რომელიც კავკასიის რეგიონში მოღვაწეობს


იხილეთ „კორპორაციული მართვა“

ჩვენი საკრედიტო რეიტინგი:
“Moody’s” B1 ნეგატიური
“Fitch” B სტაბილური


იხილეთ „ფინანსური შედეგები“

ჩვენი მომსახურება და ბაზრის წილი[1]

#2 ფიქსირებული ინტერნეტი 31%-იანი ბაზრის წილით




ჩვენ მომხმარებლებს ვთავაზობთ ინტერნეტთან კავშირის ტექნოლოგიურად განვითარებულ მომსახურებას სახლებისთვის, ბიზნესებისა და სხვა ორგანიზაციებისთვის, ასევე დამატებით მომსახურებას B2B კლიენტებისთვის.



#2 მობილური 34%-იანი ბაზრის წილით


ჩვენ მომხმარებლებს ვთავაზობთ ხმოვან და მობილური ინტერნეტის მომსახურებას, რომელიც იყენებს 2G, 3G, 4G/LTE და Gigabit-LTE ტექნოლოგიებს.

#2 Pay tv 34%-იანი ბაზრის წილით



ჩვენ მომხმარებლებს ვთავაზობთ სატელევიზიო პროგრამების მრავალფეროვან არჩევანს ჩვენი ფართომასშტაბიანი ქსელის ფარგლებში, ჩვენი IPTV ციფრული შეთავაზებით, Silk TV-ით და direct-to-home უკაბელო ტელევიზიით, SilkSat-ისა და Global TV-ის საშუალებით.

ჩვენი შესაძლებლობა, მომხმარებლებს შევთავაზოთ პრემიუმ და ექსკლუზიური სპორტული კონტენტი, მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ახალი აბონენტების მოსაზიდად.



#1 ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება 57%-იანი ბაზრის წილით

ჩვენ მომხმარებლებს ვთავაზობთ სრულ ფიქსირებულ მომსახურებას B2C და B2B მომხმარებლებისთვის. მომსახურება მოიცავს ეროვნულ და საერთაშორისო ზარებს. ფიქსირებული სატელეფონო მომსახურებიდან ჩვენი შემოსავლის დიდი წილი უკავშირდება ჩვენს საქმიანობას საერთო სარგებლობის სატელეფონო ქსელის („PSTN“) სფეროში.

[1] *დაფუძნებულია აბონენტთა რაოდენობაზე 2020 წლის 31 დეკემბრისთვის; Pay TV ბაზრის წილი არ მოიცავს მობილური ნაკადური გადაცემის (სტრიმინგის) აპლიკაციის აბონენტებს.*

„სილქნეტის“ განვითარება



2020
- ევროობლიგაციების გამოშვება და ყველა საბანკო სესხის რეფინანსირება
- აქციონერის სესხის ნაწილობრივი გადაკონვერტირება კაპიტალში

2019
- გამოვუშვით ევროობლიგაციებთან დაკავშირებული დეპოზიტარული ხელწერილი
- Euronews Georgia-ს ფრენჩაიზის ყიდვა და „შპს სილქ მედიას“-ს დაარსება

2018
- „Global TV group“-ის ყიდვა
- „ჯეოსელის“ ყიდვა (მობილური)
- საჯარო ლარის ობლიგაციის გამოშვება

2017
- GMN-ის დარჩენილი 15%-იანი წილის შეძენა-გაერთიანება

2016
- „Vtel Georgia“-სთან შერწყმა (ფიქსირებული უსადენო ფართოზოლოვანი კავშირი)
- გაფორმდა ხელშეკრულება „სერვის ნეტთან“ საკაბელო ქსელის ტექნიკური მხარდაჭერის, ახალი აბონენტების შეერთების და ქსელის გაფართოების მიმართულებით.

2015
- „ქარვას“ 51%-იანი წილის შეძენა (პროგრამული უზრუნველყოფა, საოპერაციო და ტექნიკური მხარდაჭერა IPTV-სთვის)

2014
- WiMax Georgia-ს შეძენა (ფიქსირებული უსადენო ფართოზოლოვანი კავშირი)
- GMN-ის 85%-იანი წილის შეძენა (pay TV არხები)

2013

2012
- NG Georgia-ს დაარსება (ჟურნალი „National Geographic“)

2011
- დავიწყეთ IPTV მომსახურების შეთავაზება
- „Novus“-ის შეძენა (სატელევიზიო მაუწყებლობის უფლებები)

2010
- დავიწყეთ FTTH მომსახურების შეთავაზება

2009
- „სილქნეტი“ დაარსდა სს „გაერთიანებული ტელეკომის“, შპს „აჭარა ტელეკომის“ და შპს „ვანექსის“-ის მიერ.

„სილქნეტი“ დაარსდა 2009 წელს და შემდგომ „საქართველოს გაერთიანებული ტელეკომის“, „აჭარა ტელეკომისა“ და „ვანექსის“ აქტივები კომპანიის სააქციო კაპიტალში იქნა შეტანილი. ტრადიციული ოპერატორებისგან მემკვიდრეობით სპილენძის მოძველებული ქსელის გადაცემის შემდეგ, „სილქნეტმა“ აქტიურად დაიწყო ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალებისა და დაშვების ქსელების გაშლა და მისი წვდომის ახალ გეოგრაფიულ რეგიონებზე გაფართოება. ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების, ფიქსირებული ინტერნეტისა და pay TV მომსახურების სფეროში წამყვანი პოზიციის შენარჩუნების ფონზე, 2018 წელს ბაზარზე მეორე უდიდესი მობილური მომსახურების პროვაიდერის - „ჯეოსელის“ სტრატეგიული შეძენის შედეგად, ჩვენ სრულფასოვანი კონვერგენტული ოპერატორი გავხდით.



2018 წლის 25 იანვარს ჩვენ გავაფორმეთ ხელშეკრულება „ჯეოსელის“ (საქართველოს მეორე უდიდესი მობილური კავშირის ოპერატორი აბონენტების რაოდენობის მიხედვით, 2017 წლის 31 დეკემბრისთვის) გამოშვებული აქციების 100%-ის შესყიდვის შესახებ (შემდგომში „„„ჯეოსელის“ შეძენა“), (წყარო: კომისია),
151.7 მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ. გარიგება დაიხურა 2018 წლის 20 მარტს, რასაც მოჰყვა იურიდიული შერწყმა 2018 წლის ნოემბერში.

„ჯეოსელის“ ინტეგრაციის პროცესი წარმატებით დასრულდა.

ინტეგრაციის ძირითადი ინიციატივები და სინერგიის ფაქტორები მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- პერსონალი
  - Expat ხელმძღვანელობა შეიცვალა „სილქნეტის“ არსებული გამოცდილი გუნდით;
  - პარალელური ფუნქციები გაერთიანდა და მოხდა მმართველობითი სტრუქტურის სტაბილიზაცია;
  - მოხდა ანაზღაურების ჰარმონიზაცია..
- პროცესების გაერთიანება
- სადისტრიბუციო ქსელის გაერთიანება
- ფოკუსირება სილქნეტზე, როგორც მთავარ კონვერგენტულ ბრენდზე
- ქსელის ტექნიკური მხარდაჭერის ეფექტიანობა
  - ტექნიკური მხარდაჭერის ოპტიმიზაცია

სინერგიის უმეტესობა ძალაშია 2018 წლის მეოთხე კვარტლიდან.



ბაზრის მიმოხილვა

საქართველოს მოკლე მიმოხილვა

ჩვენ საქმიანობას, ძირითადად, საქართველოში ვაწარმოებთ და, შესაბამისად, ჩვენი საქმიანობის, ზრდისა და განვითარების შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, და მომავალშიც ექნება, საქართველოს ეკონომიკურ ფაქტორებს, მათ შორის, ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილ ფაქტორებს.

ძირითადი მონაცემები


ფართობი	69,700 კვ. კმ.
მოსახლეობა (მილიონი, 01.01.2020 წლის მდგომარეობით)	3.7
ნომინალური მშპ[1] (მილიარდი ლარი)	49.4
ნომინალური მშპ[1] (მილიარდი აშშ დოლარი)	15.9
ნომინალური მშპ-ს ზრდა[1]	0.3%
მშპ-ს რეალური ზრდა[1]	-6.2%
ინფლაცია (2020 წლის საშუალო)	5.2%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები როგორც მშპ-ს %[1]	3.9%
უმუშევრობის დონე (2020)	18.5%
სახელმწიფო ვალი როგორც მშპ-ს %[1]	62.5%
ქვეყნის რეიტინგი (S&P, 2021 წლის თებერვალი /Moody's, 2021 წლის თებერვალი /Fitch, 2021 წლის თებერვალი)	BB/Ba2/BB

წყაროები: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
[1]2020 წლის წინასწარი მონაცემები

მიმზიდველი გარემო ბიზნესის წარმოებისთვის


გრაფიკი 1 ბიზნესის წარმოების სიმარტივე

2020 წლის რეიტინგი




გრაფიკი 2 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი

2020 წლის რეიტინგი




გრაფიკი 3 გლობალური კორუფციის ბარომეტრი

% რომელიც აღიარებს რომ გასცა ქრთამი წინა წელს (2016)



გრაფიკი 4 ბიზნეს მექრთამეობის რისკი

2020 წლის რეიტინგი



წყაროები: საერთაშორისო გამჭვირვალობა, Heritage Foundation, მსოფლიო ბანკი, Trace International

საქართველო ბოლო ათწლეულის განმავლობაში ეკონომიკურად უსწრებდა რეგიონში არსებულ ქვეყნებს. 2017-2019 წლებში 5%-ის ფარგლებში სტაბილური ეკონომიკური ზრდის შემდეგ, 2020 წელი COVID-19 პანდემიისგან გამოწვეული გლობალური ეკონომიკური რეცესიის გამო შედარებით მერყევი იყო და რეალური მშპ 6.2%-ით შემცირდა.

ვიდრე COVID-19 პანდემია ადამიანების ცხოვრებას შეცვლიდა, ქართული ეკონომიკის ტენდენცია პოზიტიური იყო გასული დეკადის განმავლობაში, განსაკუთრებით, რეალური მშპ-ის ზრდამ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ფულადი გზავნილების შემოდინებამ დიდი როლი ითამაშა მოსახლეობის შემოსავლების ზრდაში. აღნიშნული ზრდა ნაწილობრივ ლარის უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში გაუფასურებამ და ინფლაციამ გადაფარა.

მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის მუდმივმა ზრდამ ხელი შეუწყო სმარტფონების მფლობელებისა და ჩვენს მომსახურებებზე მოთხოვნის ზრდას, განსაკუთრებით, ფიქსირებულ ინტერნეტზე, pay TV-სა და მობილურ ინტერნეტზე, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ჩვენი შემოსავლის ზრდას.

საქართველო ბიზნესის წარმოებისთვის მიმზიდველ გარემოს წარმოადგენს, რასაც მოწმობს აღიარებული მაღალი რეიტინგები.

მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ცვლილებები მოხდა საქართველოში უკანასკნელი ორი დეკადის განმავლობაში. „საქსტატის“ მიხედვით, სოფლის მოსახლეობა 2000 წლიდან 2020 წლამდე 18%-ით შემცირდა. 2020 წლის ბოლოსთვის მოსახლეობის დაახლოებით 59% - ქალაქებში, ხოლო 32% თბილისში ცხოვრობდა. ურბანიზაციის მაჩვენებლით საქართველო ევროკავშირის ქვეყნებს ჩამორჩება და მომავალში ამ სხვაობის შემცირებაა მოსალოდნელი.

ურბანიზაციის ტენდენციის შედეგად ქალაქებში, განსაკუთრებით, თბილისსა და ბათუმში შინამეურნეობების რაოდენობა გაიზარდა. ამავდროულად, შინამეურნეობის საშუალო ზომა წლების განმავლობაში მცირდებოდა.

საქართველოს ასევე მიმზიდველი დემოგრაფიული მაჩვენებლები აქვს. მოსახლეობის დაახლოებით 39% 30 წელს ქვემოთაა. ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა, თაობების სწრაფ ცვლასთან ერთად, უნდა გაზარდოს მოთხოვნა სატელეკომუნიკაციო პროდუქტებზე, განსაკუთრებით, მობილურ ინტერნეტზე, და გააძლიეროს სექტორის სამომავლო შესაძლებლობები.

ჩვენი სტრატეგიული რეაგირება აღნიშნულ ტენდენციებზე არის ფოკუსირება ქსელის განვითარებაზე ურბანულ რაიონებში და ოპორტუნისტული მიდგომა ნაკლებად მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში. ჩვენ განვახორციელეთ და მოსალოდნელია, რომ მომავალშიც გავაგრძელებთ ინვესტიციების განხორციელებას ქსელების გაფართოებაში, განსაკუთრებით, ურბანულ ზონებში, რათა დავაკმაყოფილოთ მზარდი მოთხოვნა ჩვენს მომსახურებაზე, განსაკუთრებით, ფიქსირებულ ინტერნეტზე, მობილურ ინტერნეტსა და pay tv მომსახურებაზე.




COVID-19

COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. გასულ დეკადაში სტაბილური ეკონომიკური ზრდის შემდეგ, 2020 წელს ეკონომიკა 6.2%-ით შემცირდა. მიუხედავად ამისა, საქართველომ შეძლო ეკონომიკისთვის ხელის შეწყობა 3.1 მილიარდი აშშ დოლარის დაფინანსების მოპოვებით IMF-ის, World Bank-ისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისგან და ფინანსური ინსიტუტებისგან. საქართველოს მთავრობამ შემოიღო ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა, რომლის მთავარი ფოკუსი ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და უძრავი ქონების სექტორებია. მაკროეკენომიკური მაჩვენებლების მიხედვით, ეკონომიკა მკვეთრად შემცირდა 2020 წლის გაზაფხულზე უშუალოდ COVID-19-ის პირველი შემთხვევების შემდგომ. ზაფხულიდან ეკონომიკამ აღდგენა დაიწყო, მაგრამ კვლავ მცირედით შემცირდა გვიანი შემოდგომიდან, როდესაც COVID-19-ის შემთხვევები მკვეთრად გაიზარდა და მთავრობამ კვლავ შემოიღო შეზღუდვები.


ქვედა ცხრილებზე მოცემულია ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების წლიური ცვლილებები:

გრაფიკი 5 ექსპორტი




წყარო: GeoStat

გრაფიკი 6 იმპორტი



წყარო: GeoStat

გრაფიკი 7 დღგ-ს ბრუნვა




წყარო: GeoStat

გრაფიკი 8 რეალური მშპ-ს ზრდა



წყარო: GeoStat

გრაფიკი 9 ფულადი გზავნილები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნეგატიური ეკონომიკური ძვრების მიუხედავად, სატელეკომუნიკაციო სექტორმა აჩვენა მდგრადობა. თუმცა ლოქდაუნმა დიდი გავლენა იქონია სხვა სექტორებზე, რამაც ჩვენი გარკვეული სერვისების მიმართ მოთხოვნა მცირედით შეამცირა.

სატელეკომუნიკაციო სექტორის მიმოხილვა


ქვედა გრაფიკებზე მოცემულია სატელეკომუნიკაციო სექტორის შემოსავლებისა და აბონენტების განაწილება სეგმენტების მიხედვით:

გრაფიკი 10 სატელეკომუნიკაციო სექტორის საცალო შემოსავლები, მილიონი ლარი




წყარო: კომისია

გრაფიკი 11 მობილური სერვისების აბონენტების რაოდენობა, მილიონი



წყარო: კომისია, საქსტატი

გრაფიკი 12 ფიქსირებული სერვისების აბონენტების რაოდენობა, მილიონი



წყარო: კომისია, საქსტატი

ზოგადი მიმოხილვა

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში სატელეკომუნიკაციო სექტორის შემოსავლები საშუალოდ 7-8%-ით იზრდება. გამონაკლისია 2020 წელი, როდესაც სატელეკომუნიკაციო სექტორის შემოსავლები დაახლოებით წინა წლის დონეზე დარჩა, რისი მთავარი მიზეზიც COVID-19 პანდემიის შედეგად შემცირებული ტურიზმი, ბიზნესაქტივობა და ადამიანების მობილობაა. სატელეკომუნიკაციო სექტორის კონტრიბუცია ქვეყნის მშპ-ში უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში სტაბილურად 1.9%-ია.

სატელეკომუნიკაციო სექტორის შემოსავლების ყველაზე დიდ წილს მობილური სერვისები აგენერირებს. 2020 წელს მობილური სერვისების წილმა მთლიან სატელეკომუნიკაციო შემოსავლებში 53% შეადგინა. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ფიქსირებული ინტერნეტისა და pay TV-ის შემოსავლებში. განსაკუთრებით დიდი იყო ზრდა pay TV-ში, რომლის შემოსავლები უკანასკნელ ხუთ წელიწადში თითქმის გაორმაგდა.


უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ქვეყანაში SIM ბარათების რაოდენობა მეტ-ნაკლებად სტაბილურია. მობილური სერვისების აბონენტების რაოდენობა 2019 წელს, წინა წელთან შედარებით, 120 ათასი აბონენტით (2%-ით) გაიზარდა, ხოლო 2020 წელს დაახლოებით 2018 წლის ნიშნულს დაუბრუნდა, რისი მიზეზიც 2020 წელს COVID-19-ის გამო მნიშვნელოვნად შემცირებული შემომავალი ტურიზმია. ფიქსირებული ინტერნეტისა და pay TV-ის აბონენტების რაოდენობა უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მზარდია. შედარებით მცირე იყო ზრდა 2020 წელს, რისი მთავარი მიზეზი COVID-19-ის გამო შემცირებული ბიზნესაქტივობა და ტურიზმია. ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობა უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში განახევრდა, რაც გლობალური ტენდენციის ნაწილია.

საქართველოს სატელეკომუნიკაციო სექტორის ბაზარზე წარმოდგენილია სამი ძირითადი ოპერატორი, რომელთაგან „სილქნეტი“ და „მაგთიკომი“ - კონვერგენტული, ხოლო „ვიონი საქართველო“ მხოლოდ მობილური ოპერატორია.

მობილური სერვისები


საქართველოში SIM ბარათების პენეტრაცია საკმაოდ მაღალი, 132%-ია, რაც მნიშვნელოვნად მეტია ევროპული ქვეყნების უმეტესობაზე. ამისი მთავარი მიზეზები ქვეყანაში საკმაოდ მაღალი B2B SIM ბარათების პენეტრაცია და მულტი-SIM-ის მფლობელობის პრაქტიკაა, რაც ოპერატორებს შორის ტარიფების სხვაობით აიხსნება. „ვიონი საქართველო“, „სილქნეტსა“ და „მაგთიკომთან“ შედარებით, მომხმარებლებს დაბალ ტარიფებს სთავაზობს.

გრაფიკი 13 მობილური სერვისების აბონენტების ევოლუცია, მილიონი



წყარო: კომისია


გრაფიკი 14 მობილური სერვისების საცალო შემოსავლების ევოლუცია, მილიონი ლარი



წყარო: კომისია


უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მობილური სერვისების აბონენტების რაოდენობა მეტ-ნაკლებად სტაბილურია. COVID-19-ის გამო მნიშვნელოვნად შემცირებულმა შემომავალმა ტურიზმმა 2020 წლის აბონენტების რაოდენობაზე უარყოფითი ეფექტი მოახდინა, თუმცა ეფექტი საერთო სააბონენტო ბაზასთან შედარებით უმნიშვნელოა. აღნიშნულმა მიზეზმა შემოსავლებზეც იქონია გავლენა და წინა სამი წლის განმავლობაში დაფიქსირებული ზრდა შეაფერხა.

გრაფიკი 15 მობილური სერვისების ბაზრის წილის განაწილება აბონენტების მიხედვით 2020 წლის ბოლოს



წყარო: კომისია


გრაფიკი 16 მობილური სერვისების ბაზრის წილის განაწილება საცალო შემოსავლების მიხედვით 2020 წელს



წყარო: კომისია


ბაზრის სტრუქტურა უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მეტ-ნაკლებად სტაბილურია. „სილქნეტი“ და „მაგთიკომი“ შემოსავლების მიხედვით უფრო დიდ წილს ფლობენ, ვიდრე აბონენტების მიხედვით, რაც „ვიონი საქართველოსთან“ შედარებით მაღალი ტარიფებით აიხსნება. ასევე, 2020 წელს „სილქნეტს“ ჰქონდა ყველაზე მაღალი B2C ARPU ბაზარზე და 4%-ით აღემატებოდა „მაგთიკომის“, ხოლო 73%-ით - „ვიონი საქართველოს“ B2C ARPU-ს.

გრაფიკი 17 მობილურის B2C ARPU-ს ევოლუცია, ლარი




წყარო: კომისია

გრაფიკი 18 მობილური ინტერნეტის აბონენტების ევოლუცია, მილიონი




წყარო: კომისია

გრაფიკი 19 მობილური ინტერნეტის პენეტრაცია საქართველოში



წყარო: კომისია


გრაფიკი 20 მობილური ინტერნეტის ტრაფიკი, TB ‘000



წყარო: კომისია

მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება უკანასკნელი წლების განმავლობაში მობილური ინტერნეტის აბონენტებში. მობილური ინტერნეტის პენეტრაცია უკანასკნელ ხუთ წელიწადში 39%-დან 58%-მდე გაიზარდა, და მისი შემდგომი ზრდის პოტენციალი, თაობათა ცვლიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ არის. ზრდადი დინამიკა აქვს ასევე მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარებას. საქართველოში ერთ მომხმარებელზე თვეში საშუალო მოხმარება 2016 წლის 1.4GB-დან 2020 წელს 6.0GB-მდე გაიზარდა. ეს მაჩვენებელი ევროპის ქვეყნებთან შედარებით კვლავ დაბალია, რაც, თავის მხრივ, ბაზარს ზრდის მნიშვნელოვან პოტენციალს ანიჭებს. „სილქნეტისა“ და „მაგთიკომის“ მობილური ინტერნეტის ტრაფიკი 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, თითქმის გასამმაგდა, რაც, ერთი მხრივ, მომხმარებელთა ბუნებრივი ქცევის ცვლილებით, ხოლო, მეორე მხრივ, ულიმიტო მობილური ინტერნეტის აქციებით აიხსნება.

გრაფიკი 21 მობილური ხმის ტრაფიკი, მილიონი წუთი




წყარო: კომისია

მობილური ხმის მოხმარება უკანასკნელი წლების განმავლობაში მეტ-ნაკლებად სტაბილურია. მცირე ზრდა დაფიქსირდა 2020 წელს, რაც, ძირითადად, COVID-19-ის პანდემიის გამო გაზრდილი სოციალური დისტანცირების შედეგია.


ფიქსირებული ინტერნეტი

გრაფიკი 22 ფიქსირებული ინტერნეტის აბონენტების ევოლუცია, მილიონი



წყარო: კომისია


გრაფიკი 23 ფიქსირებული ინტერნეტის შემოსავლების ევოლუცია, მილიონი ლარი



წყარო: კომისია


უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ფიქსირებული ინტერნეტით ბაზრის ათვისება მიმდინარეობს და 2020 წლის ბოლოს შინამეურნეობების 82% სარგებლობდა მოცემული სერვისით, რაც, ურბანიზაციის ზრდასთან ერთად, კვლავ ტოვებს ზრდის პოტენციალს.

გრაფიკი 24 ფიქსირებული ინტერნეტის ბაზრის წილის განაწილება აბონენტების მიხედვით 2020 წლის ბოლოს



წყარო: კომისია


გრაფიკი 25 ფიქსირებული ინტერნეტის ბაზრის წილის განაწილება შემოსავლების მიხედვით 2020 წელს



წყარო: კომისია


ფიქსირებული ინტერნეტის ბაზარზე, ძირითადად, ორი კომპანია ოპერირებს - „სილქნეტი“ და „მაგთიკომი“, რომლებიც ერთობლივად 2020 წლის ბოლოსთვის ბაზრის 80%-ს მოიცავენ აბონენტების მიხედვით.

გრაფიკი 26 ფიქსირებული ინტერნეტის B2C ARPU-ს ევოლუცია, ლარი



წყარო: კომისია

გრაფიკი 27 ფიქსირებული ინტერნეტის B2C ARPU-ს ევოლუცია, ლარი



წყარო: კომისია


2019 წლისთვის წინა წლებში გაშვებულ დაბალფასიან დროებით აქციებს ვადა გაუვიდა და B2C ARPU-მ ზრდა დაიწყო. ზოგადად, განსხვავებულია ARPU თბილისსა და რეგიონებში. აბონენტთა ბაზის რეგიონებში გაფართოებამ შესაძლოა, ჯამურ ARPU-ზე უარყოფითად იმოქმედოს.

ფიქსირებული ინტერნეტის ბაზრის ტენდენცია FTTH ტექნოლოგიის ზრდისკენ და DSL ტექნოლოგიის კლებისკენ არის მიმართული. 2019 წელს „სილქნეტმა“ DSL ტექნოლოგიის FTTH ტექნოლოგიით ჩანაცვლების დაჩქარება დაიწყო და 2020 წლის ბოლოსთვის მხოლოდ 22 ათასი DSL აბონენტი იყო დარჩენილი „სილქნეტის“ სააბონენტო ბაზაში.

Pay TV


Pay TV ერთ-ერთი ყველაზე ზრდადი სეგმენტია. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ამ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები საქართველოში თითქმის გაორმაგდა. 2020 წლის ბოლოსთვის ოჯახების 62% pay TV-ის მომსახურებით სარგებლობდა

გრაფიკი 28 Pay TV-ის აბონენტების ევოლუცია, მილიონი




წყარო: კომისია

გრაფიკი 29 Pay TV-ის შემოსავლების ევოლუცია, მილიონი ლარი




წყარო: კომისია

გრაფიკი 30 Pay TV-ის ბაზრის წილის განაწილება აბონენტების მიხედვით 2020 წლის ბოლოს



წყარო: კომისია

გრაფიკი 31 Pay TV-ის ბაზრის წილის განაწილება შემოსავლების მიხედვით 2020 წელს




წყარო: კომისია

ფიქსირებული ინტერნეტის მსგავსად, pay TV-ის ბაზარზეც ორი ძირითადი კომპანია ოპერირებს - „სილქნეტი“ და „მაგთიკომი“, რომლებსაც ჯამურად 85%-იანი წილი უჭირავთ. „სილქნეტის“ pay TV-ის სააბონენტო ბაზრის წილი მეტია ფიქსირებული ინტერნეტის ბაზრის წილზე. მოცემული სხვაობა, ძირითადად, განპირობებულია სხვა ოპერატორებთან შედარებით, „სილქნეტის“ უპირატესი შეთავაზებებით, როგორებიცაა მაღალი ხარისხის კონტენტი და სტრიმინგსერვისები: Amediateka, SilkTV GO, silksport.ge.

ფიქსირებული ინტერნეტის მსგავსად, 2016-2018 წლებში pay TV-ის ARPU დაბალფასიანი დროებითი აქციების მიზეზით შემცირდა. მოცემულ შეთავაზებებს ვადა 2019 წელს გაუვიდა და, შედეგად, ARPU-მ ზრდა დაიწყო. 2020 წელს, უკანასკნელი წლების მსგავსად, „სილქნეტის“ pay TV მომსახურების ARPU ბაზრის საშუალო მაჩვენებელზე მაღალია.

გრაფიკი 32 Pay TV-ის ARPU-ს ევოლუცია, ლარი




წყარო: კომისია

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება


ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზარი უკანასკნელი წლების განმავლობაში, გლობალური ტენდენციის კვალდაკვალ, ორგანულად მცირდება და ჩანაცვლება მობილური სერვისებით ხდება. „სილქნეტი“ 2020 წლის ბოლოსთვის როგორც აბონენტების, ასევე შემოსავლების მიხედვით ბაზრის ლიდერია.

გრაფიკი 33 ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების ევოლუცია, მილიონი



წყარო: კომისია

გრაფიკი 34 ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების საცალო შემოსავლების ევოლუცია, მილიონი ლარი



წყარო: კომისია

მარეგულირებელი კანონმდებლობა

საქართველოს სატელეკომუნიკაციო სექტორი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის („კომისია“) მიერ დაწესებულ მრავალ კანონსა და რეგულაციას ექვემდებარება. კომისია არის დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო, რომელიც არეგულირებს როგორც ელექტრონულ კომუნიკაციებს, ისე სამაუწყებლო სექტორებს. საქართველოში მარეგულირებელი გარემო არის განვითარებული, რის შედეგადაც გვაქვს ნაკლებად ცვალებადი საბაზრო პირობები. უკანასკნელი მარეგულირებელი ცვლილება, რომელმაც არსებითი გავლენა მოახდინა, იყო ურთიერთჩართვის ტარიფის შემცირება, რაც ქვემოთ არის განხილული.

ურთიერთჩართვის ტარიფები

2017 წელს კომისიამ ქვეყნის შიგნით ზარების წამოწყების ტარიფების (ურთიერთჩართვის ტარიფები) მნიშვნელოვნად შემცირების გადაწყვეტილება მიიღო. უკანასკნელი ცვლილებები და მათი გავლენა განხილულია ქვემოთ.

ქვეყნის შიგნით ზარის განხორციელების ტარიფები, 0.01 ლარი[1]

	ძველი (გადასახადების ჩათვლით)	2018 წლის 1 ივლისიდან (გადასახადების გამოკლებით)	2019 წლის 1 იანვრიდან (გადასახადების გამოკლებით)
მობილური კავშირი	3.50	1.81	0.75
ფიქსირებული ადგილობრივი (საქალაქთაშორისო) კავშირი	2.00	0.99	0.28
ფიქსირებული ტრანზიტული კავშირი	2.00	1.01	0.32

შენიშვნა: 2018 წლის 1 იანვრიდან, ადგილობრივი ზარების წამოწყება აქციზის გადასახადით არ იბეგრება და იბეგრება მხოლოდ დამატებითი ღირებულების გადასახადით. აქციზის გადასახადი მობილურ ზარებზე შემცირდა 8% -დან 3% -მდე 2017 წელს და გაუქმდა 2018 წლიდან

შედეგად, დაახლოებითი გავლენა „სილქნეტის“ კავშირგაბმულობის ოპერატორების საბითუმო მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებზე არის 9 მილიონი ლარის კლება 2018 წელს და 24 მილიონი ლარის კლება 2019 წელს. სავარაუდო გავლენა EBITDA–ზე არის 1.5 მლნ ლარის კლება 2018 წელს და 5.0 მლნ ლარის კლება 2019 წელს (იხილეთ სექცია „ფინანსური მაჩვენებლები“)

ჩვენი პროდუქტები და მომსახურება

ჩვენ მომხმარებლებს პროდუქციისა და მომსახურების ფართო სპექტრს ვთავაზობთ

მობილური მომსახურება



B2C

ჩვენი B2C აბონენტები სხვადასხვა ხმოვანი, SMS და ინტერნეტკავშირის მომსახურების მისაღებად (საერთაშორისო ზარებისა და როუმინგის ჩათვლით), ძირითადად, წინასწარ გადახდილ პაკეტებსა და „pay-as-you-go“ სატარიფო გეგმებს იყენებენ.

B2B

ჩვენ ვემსახურებით სხვადასხვა სამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ასევე დიდ, საშუალო და მცირე საწარმოებს. სამთავრობო და საზოგადოებრივი ხელშეკრულებები, როგორც წესი, ფორმდება ყოველწლიური ტენდერების საფუძველზე, ხოლო ურთიერთობები სხვადასხვა საწარმოსთან განსხვავდება. ტარიფები, როგორც წესი, ინდივიდუალურია და თითოეულ კლიენტზეა მორგებული, თუმცა მცირე საწარმოები, ჩვეულებრივ, სტანდარტულ ტარიფს იღებენ.



ფიქსირებული ინტერნეტი



B2C

ჩვენი B2C ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურება იყენებს FTTH, DSL და LTE ტექნოლოგიებს, რაც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, აირჩიონ სატარიფო გეგმა მათი ინტერნეტის სიჩქარის საჭიროებებისა და, ასევე, მათ რეგიონში კავშირის შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

უკანასკნელ წლებში ფიქსირებულ ინტერნეტზე მოთხოვნა გაიზარდა. „სილქნეტის“ ფიქსირებული ინტერნეტის შეთავაზებების უმეტესობა მოიცავს ულიმიტო ინტერნეტს და ტარიფის განფასება ეყრდნობა ინტერნეტის სიჩქარესა და პაკეტში არსებულ მასთან დაკავშირებულ სერვისებს.

ჩვენი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის შეთავაზება არის ჩვენი ყველაზე მაღალი სიჩქარის მქონე შეთავაზება, რომელიც ხელმისაწვდომია FTTH ქსელის ინფრასტრუქტურის კავშირის მქონე რეგიონებში. ის მომხმარებლებს სთავაზობს გადმოტვირთვის 100MB/წმ-მდე სიჩქარეს, ხოლო ატვირთვის 50MB/წმ-მდე სიჩქარეს, ულიმიტო ინტერნეტით.

ჩვენ მომხმარებლებს ვთავაზობთ DSL ინტერნეტის პაკეტებს DSL ქსელის ინფრასტრუქტურის კავშირის მქონე რეგიონებში. თუმცა ჩვენ ვაწარმოებთ DSL ქსელის ფართომასშტაბიან ჩანაცვლებას უფრო მაღალსიჩქარიანი FTTH ტექნოლოგიით.

LTE ინტერნეტმომსახურების შეთავაზება 2014 წლის დეკემბერში დავიწყეთ, მისი მობილური კავშირის მიზნით გამოყენების გარდა, მაღალხარისხიანი ფიქსირებული ინტერნეტკავშირის მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, ისეთ რეგიონებში, სადაც არ არის სადენიანი ქსელები, ან სადაც სადენიანი ქსელების განთავსება ხარჯების კუთხით ეფექტური არ არის.

B2B

B2B მომხმარებლებისთვის გლობალური მომსახურების ჩვენს ასორტიმენტში შედის ხმოვანი მომსახურება, ინტერნეტისა და დაკავშირების მომსახურებები, მათ შორის: ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება, VOIP, E1, PRI, ADSL, LTE, ISDN, ფიქსირებული ინტერნეტი, სპეციალური წვდომა ინტერნეტზე (Dedicated Internet Access), IP MPLS, Ethernet და ეროვნული საიჯარო ხაზი (national lease line) (მათ შორის, ეროვნული საიჯარო ხაზი Inmarsat-ზე).

Pay TV



ჩვენ მომხმარებლებს ვთავაზობთ სატელევიზიო პროგრამების სხვადასხვა პაკეტს, ჩვენი IPTV ციფრული შეთავაზებების, Silk TV-ს, უსადენო ტელევიზიის, Global TV-ს და სატელიტური ტელევიზიის, SilkSat-ის მეშვეობით. Global TV-ი და SilkSat-ი ემსახურებიან აბონენტებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აქვთ წვდომა IPTV ტექნოლოგიაზე.

ჩვენ ვართ ერთადერთი სატელეკომუნიკაციო პროვაიდერი საქართველოში, რომელმაც შექმნა საკუთარი IPTV პლატფორმა, და მიგვაჩნია, რომ ეს პლატფორმა საქართველოში საუკეთესოა.

ჩვენი შესაძლებლობა, შევთავაზოთ ჩვენს მომხმარებლებს პრემიუმ და ექსკლუზიური სპორტული კონტენტი, მნიშვნელოვანი ფაქტორია ახალი აბონენტების მოზიდვის კუთხით.
ჩვენი ფასიანი სატელევიზიო კონტენტის მიწოდება ხდება უფასო და ფასიანი არხების საშუალებით, რომლებიც ჩვენს pay TV პაკეტებში შედის. პაკეტები ასევე მოიცავს ჩვენს საკუთარ არხებს, რომლებზეც ხდება კონტენტის აგრეგაცია და მცირე დოზით კონტენტის წარმოება.

IPTV გადაცემები მომხმარებლებს სთავაზობს მრავალფეროვან კონტენტს, მათ შორის: სპორტს, ფილმებს, საბავშვო და სხვა პროგრამებს. მომსახურება ხელმისაწვდომია FTTH და DSL აბონენტებისთვის, თუმცა მხოლოდ FTTH აბონენტებს შეუძლიათ რამდენიმე ტელევიზორის დაკავშირება და მაღალი ხარისხის არხების მიღება.

Silk TV Go შეთავაზება მოიცავს ტელევიზორის ყურების შესაძლებლობას მრავალ ეკრანზე, ინტერაქტიული ფუნქციებით, მათ შორის, „catch-up TV“-ით (ეთერში გასული გადაცემების ხელახლა ყურება). ამჟამად Silk TV Go მოიცავს როგორც საკუთარ, ასევე პოპულარულ ქართულ და საერთაშორისო არხებს. გარდა ამისა, Silk TV Go მომხმარებლებს სთავაზობს VOD მომსახურებას, მათ შორის, Amediateka-ს.

ჩვენ ასევე გვაქვს ვებგვერდი silksport.ge, ვიდეოებისა და ახალი ამბების ონლაინპორტალი, რომელიც მოიცავს „სილქნეტის“ შიდა სპორტულ არხებს.

NPVR-ზე დაფუძნებული IPTV მომსახურების ძირითადი მახასიათებლები მოიცავს catch-up TV-ს, VOD მომსახურებას, ელექტრონული პროგრამების სახელმძღვანელოს, არხებისთვის პოზიციების მინიჭებისა და სხვა, დამატებითი ღირებულების შემქმნელი მომსახურებების ჩათვლით.

ჩვენ ასევე გთავაზობთ Amediateka-ს, სტრიმინგის მომსახურებას, რომელიც ხელმისაწვდომია VOD-ის/ინტერნეტის საშუალებით, ასევე Silk TV Go აპლიკაციით. ის მოიცავს 200-ზე მეტ ყველაზე რეიტინგულ სერიალსა და 300-მდე ფილმს, და ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი კონტენტის შეთავაზების გაფართოებას.

VOD მომსახურება, აგრეთვე, მოიცავს საშინაო სკოლას (Home School), საზოგადოებრივ პროექტს, რომელშიც თავმოყრილია მრავალი წინასწარ ჩაწერილი გაკვეთილი სკოლის ყველა ასაკის მოსწავლისთვის. ეს განსაკუთრებით აქტუალური გახდა COVID-19 პანდემიის პირობებში. გაკვეთილები უფასოდ არის ხელმისაწვდომი როგორც ჩვენს IPTV პლატფორმაზე, ასევე ინტერნეტში.

Silk Go აპლიკაცია და ვებგვერდი (www.silkgo.ge ან www.silktv.ge) მომხმარებელს საშუალებას აძლევს, უყუროს შერჩეულ სატელევიზიო პროგრამებს ნებისმიერი მობილური მოწყობილობის საშუალებით, რომელსაც ინტერნეტთან წვდომა გააჩნია.





ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება

ჩვენ ვთავაზობთ ფიქსირებულ სატელეფონო მომსახურებას B2C და B2B მომხმარებლებს, ორი ძირითადი ტექნოლოგიით:

- PSTN - სპილენძის ხაზებზე;
- VOIP - ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელზე და LTE-მომსახურება.

სხვა სატელეკომუნიკაციო ოპერატორების მსგავსად, ბოლო წლების განმავლობაში ჩვენთანაც PSTN აბონენტების მუდმივი კლება ფიქსირდება. აღნიშნული კლება, ძირითადად, ფიქსირებული ხაზის ტელეფონების მობილური ტელეფონებით ჩანაცვლების შედეგია, FTTH ქსელების გაფართოებასთან ერთად, რაც VOIP აბონენტების ზრდას განაპირობებს.



საბითუმო (ოპერატორების) მომსახურება

ჩვენი საბითუმო მომსახურება, ძირითადად, შედგება ფიქსირებული ურთიერთჩართვის მომსახურებისა და ინტერნეტმომსახურებისგან, რომლებიც მიეწოდება ეროვნულ და საერთაშორისო ოპერატორებს, და მოიცავს: ადგილობრივი და საერთაშორისო ზარების განხორციელებას, ტრანზიტს, ინტერნეტგადაყიდვას, აღჭურვილობის იჯარით გაცემასა და ნაღდი ფულის შეგროვებას.



სხვა ფიქსირებული მომსახურება

ჩვენ ვაწარმოებთ და გადავცემთ მრავალ სპორტულ, მხატვრული და დოკუმენტური ფილმების არხებს, ასევე, არხს ბავშვებისთვის.

ჩვენ ვიღებთ სამაუწყებლო მოსაკრებლებს სხვა პროვაიდერებისგან, რომლებიც „სილქნეტის“ არხებს გადასცემენ, სარეკლამო შემოსავალს ჩვენს საკუთარ არხებზე განთავსებული რეკლამებისთვის, ასევე ჩვენი სტრიმინგის მომსახურების საშუალებით.


ჩვენი აბონენტებისათვის ხელმისაწვდომია Pay TV არხები, რომლებიც განსხვავდება პაკეტების მიხედვით, და, 2017 წლიდან, გარკვეული სხვა pay TV ოპერატორებისთვისაც, სამაუწყებლო მოსაკრებლის სანაცვლოდ.

Euronews არხი ამოქმედდა 2020 წლის მაისში. დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ სექცია „კონტენტის პორტფელი“.

ჩვენ ასევე გამოვუშვით Silk Travel Insurance: 5-, 10- და 15-დღიანი სამოგზაურო დაზღვევის პოლისები, რომლებიც შედის საერთაშორისო როუმინგულ პაკეტებში.

გარდა ამისა, ჩვენ ვთავაზობთ Silk-ის სახლის დაზღვევას, მშობელთა მიერ კონტროლს და სხვა მომსახურებებს, რომლებიც ციფრული გაყიდვების არხისა და ეკოსისტემის შექმნის პირველ ნაბიჯებს წარმოადგენს.







ფინანსური შედეგები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

მილიონი ლარი	*2018 PF*	*2019 A*	*2020 A*	*CAGR*
შემოსავალი	**399.2**	**387.2**	**382.2**	**-2%**
კომერციული შემოსავალი	332.2	346.2	347.6	2%
შემოსავალი ოპერატორებისგან	67.0	41.0	34.6	-28%
EBITDA	**188.5**	**215.9**	**211.5**	**11%**
EBITDA მარჟა %	47%	56%	55%	
კაპიტალური დანახარჯები[1]	**99.0**	**101.7**	**114.0**	
კაპიტალური დანახარჯები/შემოსავალი%	25%	26%	30%	


PF=პრო ფორმა ჯეოსელის შესყიდვა, ფასს 16-ის გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული; A=ფაქტობრივი

უკანასკნელ წლებში ბაზარზე არსებული ძლიერი კონკურენტული ზეწოლის მიუხედავად, რომელსაც 2020 წლის მარტიდან COVID-19 პანდემიის უარყოფითი გავლენა დაემატა, კომერციული შემოსავალი საშუალოდ 2%-ით გაიზარდა უკანასკნელ ორ წელიწადში. ქსელში ინვესტიციებმა, განსაკუთრებით, მობილური ქსელის 4G-მდე გაუმჯობესებამ და ოპტიკური ქსელის გაფართოებამ ხელი შეუწყო კომერციული შემოსავლის ზრდას და მოსალოდნელია, რომ მომავალშიც მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება კომპანიის შემოსავლებისთვის. ოპერატორებისგან მიღებული შემოსავლების კლება 2019 წელს, ძირითადად, აიხსნება ურთიერთჩართვის ტარიფების შემცირებით, რომელიც ნაწილობრივ შევიდა ძალაში 2018 წელს, ხოლო სრულად - 2019 წელს (ურთიერთჩართვის ტარიფების ცვლილების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ სექციაში „მარეგულირებელი კანონმდებლობა“). 2020 წელს ოპერატორებისგან მიღებული შემოსავლების კლება მეტწილად აიხსნება უცხოელი ვიზიტორებისგან მიღებული როუმინგის შემოსავლის კლებით, რაც, თავის მხრივ, შემცირებულმა ტურიზმმა განაპირობა.

მიუხედავად მარეგულირებელი გარემოს ზეწოლისა და ლარის გაუფასურებისა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ, „ჯეოსელის“ შეძენის შედეგად მიღებულმა საოპერაციო სინერგიებმა და შემოსავლის ზრდამ საშუალება მოგვცა, 2019 წელს EBITDA-ს ორგანული ზრდისთვის მიგვეღწია. 2020 წელს მაღაზიებისა და ოფისების გარკვეული დროით დახურვითა და ადმინისტრაციული პროცესების მორგებით გარკვეული ხარჯების ოპტიმიზაცია მოვახერხეთ. თუმცა ლარის აშშ დოლარისა და ევროს მიმართ გაუფასურებამ გარკვეული საოპერაციო ხარჯების ზრდა გამოიწვია და 2020 წელს EBITDA 2%-ით შემცირდა. ფინანსური შედეგების ძირითადი განმაპირობებელი მიზეზები შემდეგ თავებშია განხილული.

[1]კაპიტალური დანახარჯები ნიშნავს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების დამატებებს და არ მოიცავს ერთჯერად პროექტებს და საინვესტიციო ქონების შეძენას, როგორებიცაა: 1) 2018, 2019 და 2020 წლებში 5 მილიონი, 8 მილიონი და 2 მილიონი ლარის ღირებულების IT ტრანსფორმაცია, შესაბამისად; 2) 2018 წელს 26 მილიონი ლარის ღირებულების სპექტრის გამოყენების ლიცენზიები; 3) 2019 და 2020 წლებში 30 მილიონი ლარის და 29 მილიონი ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთის შეძენა სათავო ოფისის მიზნებისთვის, შესაბამისად; 4) 2020 წელში 5 მილიონი ლარის „ევრონიუსის“ საოპერაციო ლიცენზია და 5) 2020 წელს ადგილობრივი ოპერატორებისგან 5 მილიონი ლარის ღირებულების საბონენტო კონტრაქტების შესყიდვა. 2018 წლის კაპიტალური დანახარჯები არ მოიცავს „ჯეოსელის“ კაპიტალურ დანახარჯებს 2018 წლის პირველი კვარტლისთვის (შესყიდვამდე)

გრაფიკი 35 EBITDA-ს ევოლუცია



არაორგანული ფაქტორები, რომლებმაც EBITDA-ზე იქონია გავლენა:

- ურთიერთჩართვის ხარჯების კლება: 2017 წელს მარეგულირებელმა კომისიამ დააანონსა LRIC-ის („Long-term Incremental Cost“) მეთოდით დათვლილი ურთიერთჩართვის ტარიფები, ორივე, მობილური და ფიქსირებული სატელეფონო მომსახურებებისთვის. ახალი ტარიფები ძველზე მნიშვნელოვნად დაბალია. ახალ ტარიფებზე გადასვლა ნაწილობრივ 2018 წელს, ხოლო სრულად 2019 წელს მოხდა. მეტი დეტალისთვის იხილეთ „მარეგულირებელი კანონმდებლობა“.
- ვალუტის ცვლილებები: ლარის დოლარის მიმართ 2019 წელს - 11%-ით, ხოლო 2020 წლის განმავლობაში 10%-ით გაუფასურება (საშუალო წლიურ გაცვლით კურსებზე დათვლილი). კომპანიის სენსიტიურობა სავალუტო ცვლილებებზე განხილულია ამ სექციაში.
- ორგანული ზრდა COVID-19-ის პანდემიამ დააკომპენსირა.

საკრედიტო რეიტინგი

ქართულ ფინანსურ ბაზრებზე რამდენიმე ტრანზაქციის შემდგომ (განხილულია ლევერიჯის სექციაში), 2019 წლის აპრილში გამოვუშვით 200 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ევროობლიგაციები, პირველი კორპორაციული (არაფინანსური ინსტიტუტი და არასუვერენულთან დაკავშირებული) გამოშვება საქართველოდან.

ჩვენ საკრედიტო რეიტინგი გვაქვს 2016 წლიდან. რეიტინგის უკანასკნელი განახლებები მოცემულია ქვედა ცხრილში:

	Moody's	Fitch
ბოლო განახლება	მარტი 2021	დეკემბერი
გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი	B1	B
პროგნოზი	ნეგატიური	სტაბილური



მოგება-ზარალის ანგარიშგება (დარეკლასიფიცირებული)

მილიონი ლარი	2018 PF	2019 A	2020 A	წ/წ 19-18	წ/წ 20-19
შემოსავალი:	**399.2**	**387.2**	**382.2**	**-3%**	**-1%**
კომერციული შემოსავალი	332.2	346.2	347.6	4%	0%
ოპერატორებისგან მიღებული შემოსავალი	67.0	41.0	34.6	-39%	-16%
ხარჯები:	**(210.7)**	**(171.3)**	**(170.7)**	**-19%**	**0%**
ხელფასები და სარგებელი	(57.5)	(56.2)	(57.1)	-2%	2%
სხვა ხარჯები	(22.5)	(22.0)	(19.0)	-2%	-14%
შეძენილი მომსახურება	(31.0)	(28.3)	(34.9)	-9%	23%
ინფრასტრუქტურული სიმძლავრის იჯარა, IRU და საიჯარო ხარჯები	(22.9)	(9.2)	(7.0)	-60%	-24%
ურთიერთჩართვის საფასური და როუმინგის ხარჯი	(39.0)	(17.8)	(16.2)	-54%	-9%
ქსელის მართვისა და ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები	(18.5)	(15.7)	(16.4)	-15%	5%
Pay TV კონტენტის თვითღირებულება	(10.0)	(11.2)	(12.9)	12%	15%
რეკლამა და მარკეტინგი	(4.9)	(8.0)	(6.2)	63%	-22%
სიმბარათების, სასაუბრო ბარათებისა და სხვა გაყიდვის ხარჯები	(4.5)	(2.8)	(0.9)	-38%	-67%
EBITDA	**188.5**	**215.8**	**211.5**	**14%**	**-2%**
ცვეთა და ამორტიზაცია	(111.7)	(111.7)	(117.4)	0%	5%
შესყიდვიდან მიღებული სავაჭრო მოგება	41.8	-	-	-100%	0%
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	-	-	(3.3)	0%	0%
კორექტირებები[1]	(42.3)	(14.9)	(10.3)	-65%	-31%
ფინანსური შემოსავალი	2.8	4.3	4.4	54%	3%
ფინანსური ხარჯები	(54.1)	(101.2)	(90.5)	87%	-11%
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ცვლილება	-	(1.4)	5.8		
უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული წმინდა ზარალი	(24.5)	(35.8)	(88.1)		
წმინდა ფინანსური ხარჯი	**(75.8)**	**(134.1)**	**(168.4)**		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე	**0.5**	**(44.9)**	**(87.9)**		
მოგების გადასახადი	(0.9)	(1.2)	0.7		
პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)	**(0.4)**	**(46.1)**	**(87.2)**		

PF=პრო ფორმა „ჯეოსელის“ შესყიდვა, ფასს 16-ის გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული;


A=ფაქტობრივი

[1]დეტალებისთვის იხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები


შემოსავალი

ჩვენ გვაქვს შემოსავლის ორი ძირითადი წყარო: კომერციული შემოსავალი და საბითუმო (ოპერატორებისგან მიღებული) შემოსავალი, რომლებიც, შესაბამისად, მთლიანი შემოსავლის 91% და 9%-ია. კომერციული შემოსავალი პირდაპირ აბონენტებისგან გენერირდება, ორივე B2B და B2C, ხოლო საბითუმო შემოსავალი გენერირდება ადგილობრივი და საერთაშორისო ოპერატორებისგან. მთლიანი შემოსავლის ჩაშლა მოცემულია ქვედა გრაფიკებზე:

გრაფიკი 36 2020 წლის შემოსავლის ჩაშლა




გრაფიკი 37 2020 წლის კომერციული შემოსავლის ჩაშლა



2020 წელს COVID-19 პანდემიის შედეგად, „სილქნეტის“ გარკვეულ სერვისებზე მოთხოვნა შემცირდა, რამაც კომერციულ შემოსავლებზე უარყოფითად იმოქმედა. შედეგად, ჩვენი გათვლებით, COVID-19-ის უარყოფითმა ეფექტმა შემოსავალზე დაახლოებით 32 მილიონი ლარი შეადგინა, რასაც ვითვლით შემდეგნაირად: იმ შემთხვევაში, თუ კომერციულ შემოსავალში 2020 წლის პირველი კვარტლის წ/წ ზრდა წლის დარჩენილ პერიოდზეც გავრცელდებოდა და უცხოელი ვიზიტორებისგან მიღებული როუმინგის შემოსავალი წინა წლის ტოლი იქნებოდა, შემოსავალი წინა წელთან შედარებით 32 მილიონი ლარით გაიზრდებოდა.

გრაფიკი 38 2020 წლის კომერციული შემოსავლის წ/წ ზრდა



მილიონი ლარი	2018 PF	2019 A	2020 A	წ/წ 19-18	წ/წ 20-19
კომერციული შემოსავალი	**332.2**	**346.2**	**347.6**	**4%**	**0%**
მობილური გამავალი ზარი	109.5	105.8	103.2	-3%	-2%
მობილური ინტერნეტი	51.8	57.9	66.3	12%	14%
ფიქსირებული ინტერნეტი	83.2	94.3	98.2	13%	4%
Pay TV	36	43	45.5	19%	6%
ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება	24.9	20.6	16.4	-17%	-20%
შემოსავალი სხვა სერვისებიდან	26.7	24.4	18.0	-9%	-26%
ოპერატორებისგან მიღებული შემოსავალი	**67.0**	**41**	**34.6**	**-39%**	**-16%**
ურთიერთჩართვის მომსახურება	51.1	24.3	22.6	-52%	-7%
ინფრასტრუქტურის სიმძლავრის იჯარის მომსახურება	7.0	7.8	7.8	11%	0%
შემოსავალი როუმინგიდან	7.1	6.8	2.0	-4%	-70%
საბითუმო ინტერნეტი	1.8	2.1	2.2	17%	4%
სულ შემოსავალი	**399.2**	**387.2**	**382.2**	**-3%**	**-1%**

PF=პრო ფორმა „ჯეოსელის“ შესყიდვა, ფასს 16-ის გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული; A=ფაქტობრივი

ზედა ცხრილში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა ფასს ფინანსურ ანგარიშგებებს. ზოგ შემთხვევაში, აღრიცხვის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს მცირე განსხვავება ფასს-ის მიხედვით და კომისიის მიხედვით მოცემულ რიცხვებს შორის.


კომერციული შემოსავალი უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში სტაბილურად იზრდებოდა, თუმცა 2020 წელს რაც შეეხება, COVID-19 პანდემიის გამო, დაახლოებით წინა წლის დონეზე დარჩა. ორგანულად, ზრდა განპირობებული იყო ქსელის გაფართოებისა და გაუმჯობესების შედეგად ფიქსირებული სააბონენტო ბაზის ეტაპობრივი ზრდითა და ერთ აბონენტზე ინტერნეტის საშუალო მოხმარების ზრდით.

- საგრძნობი ზრდა მობილურ ინტერნეტში ქსელში ინვესტიციების კვალდაკვალ, რის შედეგადაც 4G-ით მოსახლეობის დაფარვამ 2020 წელს 97%-ს მიაღწია, 2017 წელს 57%-თან შედარებით. გაუმჯობესებული დაფარვით და ქსელის ტევადობით, ერთ აბონენტზე საშუალო მოხმარებამ 2020 წელს სარეკორდო, 4.8GB-ს მიაღწია, 2018 წელს 1.6GB-სთან შედარებით. მოხმარების ორგანულ ზრდას 2020 წელს ხელი შეუწყო კომპანიის მიერ შეთავაზებულმა ულიმიტო პაკეტების აქციებმა. მობილური ინტერნეტის პენეტრაცია კვლავ დაბალი, 58%-ია, სმარტფონის 69%-იან პენეტრაციასთან შედარებით. თაობათა ცვლასთან ერთად, აღნიშნული სხვაობა მცირდება და ტენდენცია ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებით ვითარდება. ბაზრის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „სატელეკომუნიკაციო სექტორის მიმოხილვა“.

- ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების შემოსავლები ეტაპობრივად კლებულობს უკანასკნელ წლებში, თუმცა მობილური გამავალი ზარის მომსახურება დაახლოებით ერთ დონეზე რჩება. საქართველოს მოსახლეობა კვლავ მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მობილური გამავალი ზარის მომსახურებაზე. ბაზრის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „სატელეკომუნიკაციო სექტორის მიმოხილვა“.
- ფიქსირებულ სერვისებში დროებითი აქციების უმეტესობას 2019 წელს ვადა გაუვიდა, რასაც მყისიერად მოჰყვა ფასების ცვლილება და ახალი პაკეტები. მრავალფეროვანი სატელევიზიო კონტენტის შეთავაზებამ ხელი შეუწყო მომხმარებლების მიერ ხარჯვის ზრდას pay TV-ში. გაზრდილი ARPU-ს და სააბონენტო ბაზის საშუალებით, 2019 წლის განმავლობაში ორნიშნა ზრდა ვაჩვენეთ აღნიშნულ სეგმენტში, თუმცა 2020 წელზე უარყოფითი გავლენა მოახდინა HoReCa სექტორში ბიზნესების დროებითმა შეჩერებამ და შემოსავალი მხოლოდ 6%-ით გაიზარდა.
- სხვა სერვისები, ძირითადად, მოიცავს სარეკლამო შემოსავალს, ტელეფონებისა და აქსესუარების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს, SMS-ს და მობილურთან დაკავშირებულ სხვა დამატებით მომსახურებებს. კლებადი ტენდენცია ასახავს ტელეფონებისა და აქსესუარების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების კლებას.
- ოპერატორებისგან მიღებული შემოსავლის კლებადი ტენდენცია 2019 წელს, ძირითადად, ურთიერთჩართვის ახალი ტარიფებით არის გამოწვეული, ხოლო 2020 წელზე უარყოფითად იმოქმედა ტურიზმის შემცირებამ, რის გამოც უცხოელი ტურისტებისგან მიღებული შემოსავალი მკვეთრად შემცირდა.

საოპერაციო ხარჯები[1]


გრაფიკი 39 საოპერაციო ხარჯების[1] დინამიკა 2018-2020 (მილიონი ლარი)



[1] *არ მოიცავს არაგანგრძობით ხარჯებს; აუდიტირებულ რიცხვებთან რეკონსილაცია იხილეთ ამ სექციის ბოლოში*
2018 წლის რიცხვები არის ფასს 16-ის გარეშე და სალიზინგო ხარჯები „ინფრასტრუქტურული სიმძლავრის იჯარა, IRU და საიჯარო ხარჯებში“ შედის

კომპანიის საოპერაციო ხარჯების უმეტესობა ფიქსირებულია მოკლე ვადაში და პირდაპირ არ არის დაკავშირებული სააბონენტო ბაზის ცვლილებასთან. საოპერაციო ხარჯების ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული (დეტალური მსჯელობა მოცემულია „უცხოური ვალუტაზე დამოკიდებულების“ სექციაში ქვემოთ).

გრაფიკი 40 საოპერაციო ხარჯების ჩაშლა 2020




ხელფასები და სარგებელი

„ჯეოსელის“ შეძენის შემდეგ მოვახერხეთ სინერგიების რეალიზება ხელფასში და სარგებელში, რომლის ნაწილი -2018- ში, ხოლო სრულად 2019-ში რეალიზდა. აღნიშნული კლება დააკომპენსირა ძირითადი ბიზნესის ეტაპობრივმა ზრდამ და განვითარების რამდენიმე პროექტმა, როგორიცაა IT ტრანსფორმაცია. 2020 წლის განმავლობაში ხელფასი და სარგებელი დაახლოებით წინა წლის დონეზე დარჩა. 2020 წლის ბოლოსთვის კომპანიაში დასაქმებული იყო 2,075 ადამიანი, რითიც „სილქნეტი“ ქვეყნის ტოპ 20 დამსაქმებელში შედის.

ქვედა გრაფიკზე მოცემულია 2020 წლის ხელფასის და სარგებლის ჩაშლა მიმართულებების მიხედვით.

გრაფიკი 41 ხელფასის და სარგებლის ჩაშლა დეპარტამენტების მიხედვით



იჯარა

ჩვენ 1000-ზე მეტი საიჯარო ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული, რომლებიც ჩვენი სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის - ძირითადად, მობილური რადიოსადგურების და შესაბამისი აღჭურვილობის - განთავსებას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ქსელური აღჭურვილობა, ისევე როგორც პასიური ინფრასტრუქტურა (ანძა, ბოძი და ა.შ.) უმეტესად ჩვენს საკუთრებაშია, განთავსების ძირითადი ტერიტორია, უმრავლეს შემთხვევაში, საოპერაციო იჯარით არის აღებული. ამჟამად სახელშეკრულებო საიჯარო ვადები 1-15 წლამდე მერყეობს, საიდანაც 70%-ზე მეტი 1-6 წლამდე დიაპაზონშია.

მობილურის იჯარების უმრავლესობა ფასს 16-ის და right-of-use აქტივის ჩარჩოში ჯდება და სალიზინგო ვალდებულება ბალანსზე შესაბამისადაა აღიარებული. ფასს 16-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე მოცემულია ქვემოთ:

ფასს 16-ის გავლენა მოგება-ზარალის მუხლებზე	*2019*	*2020*
ინფრასტრუქტურული სიმძლავრის იჯარა, IRU და საიჯარო ხარჯები	(12.6)	(13.7)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	8.5	9.2
ფინანსური ხარჯი	6.9	6.1
უცხოური ვალუტის გადაფასებიდან წმინდა მოგება/(ზარალი)	0.8	1.8

ფასს 16-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე	*2019*	*2020*
შემოსავალი	-	-
EBITDA	12.6	13.7
წმინდა მოგება/(ზარალი)	(3.6)	(3.4)

მთლიანი აქტივები	52.9	44.1
მთლიანი ვალდებულებები	56.5	51.1
კაპიტალი	(3.6)	(7.0)

გარდა ამისა, კომპანიას აქვს მაღაზიებთან და აბონენტების მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა იჯარები. მათი უმრავლესობა მოკლევადიანია და, შესაბამისად, არ ხვდება ფასს 16-ის ჩარჩოში.

ურთიერთჩართვის საფასური და როუმინგის ხარჯი

ურთიერთჩართვის შემოსავლისა და ხარჯის შემცირება, ძირითადად, აიხსნება ურთიერთჩართვის ახალი ტარიფებით, რომლებიც ნაწილობრივ - 2018, ხოლო სრულად 2019 წლიდან არის აქტიური. ურთიერთჩართვის ტარიფებზე დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „მარეგულირებელი კანონმდებლობა“. ურთიერთჩართვის შემოსავლისა და ხარჯების დინამიკა მოცემულია ქვედა ცხრილში:

მილიონი ლარი	*2018 PF*	*2019 A*	*2020 A*	*წ/წ 19-18*	*წ/წ 20-19*
შემოსავალი ურთიერთჩართვიდან	51.1	24.3	22.6	-52%	-7%
ურთიერთჩართვის ხარჯი	37.1	16.5	15.8	-56%	-4%
წმინდა ურთიერთჩართვა	**13.9**	**7.8**	**6.8**	**-44%**	**-13%**


PF=პრო ფორმა ჯეოსელის შესყიდვა, ფასს 16-ის გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული; A=ფაქტობრივი

Pay TV კონტენტის თვითღირებულება


მომხმარებლებისთვის მრავალფეროვანი კონტენტის შეთავაზების მიზნით, მნიშვნელოვან ინვესტიციებს ვახორციელებთ, განსაკუთრებით, სპორტული კონტენტის მიმართულებით. ლიცენზიების დაახლოებით ნახევარი, ისინი, რომლებიც გრძელვადიანია და კომპანიას ექსკლუზიურ უფლებებს ანიჭებს, კაპიტალიზირდება, როგორც არამატერიალური აქტივი. დანარჩენის მოგება-ზარალში ხარჯად აღიარება ხდება.

2020 წლის pay TV კონტენტის თვითღირებულების ჩაშლა მოცემულია ქვედა გრაფიკებზე:

გრაფიკი 42 ჩაშლა კონტენტის ტიპის მიხედვით



გრაფიკი 43 ჩაშლა კატეგორიის მიხედვით



[1] *სილქნეტის არხებზე აგრეგირებული*


უცხოურ ვალუტაზე დამოკიდებულება

ჩვენი ფინანსური შედეგები გარკვეულწილად უცხოური ვალუტის ცვლილებაზეა დამოკიდებული. ამასთან დაკავშირებული რისკის შემსუბუქებას ადგილობრივ ბანკებთან ჰეჯირების ინსტრუმენტებითა და ფულადი სახსრების ბალანსის უცხოურ ვალუტაში შენახვით ვცდილობთ.


საქართველოში გრძელვადიანი ჰეჯირების ინსტრუმენტების აქტიური ბაზარი არ არსებობს. ევროობლიგაციებთან დაკავშირებული აშშ დოლარში დენომინირებული სავალუტო რისკის შესამცირებლად „თიბისი ბანკთან“ ხუთწლიანი ჯვარედინი საკურსო სვოპ ხელშეკრულება გავაფორმეთ, რომლის ფარგლებშიც კომპანიამ დეპოზიტზე დადო 35 მილიონი აშშ დოლარი (3.1%-იან საპროცენტო განაკვეთს დამატებული ექვსთვიანი LIBOR განაკვეთი) და აიღო ეკვივალენტური ოდენობის სესხი ლარში (5.14%-იან საპროცენტო განაკვეთს დამატებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთი).

2020 წლის 31 დეკემბრისთვის „სილქნეტის“ ბრუტო სესხის 95% დენომინირებულია აშშ დოლარში, საიდანაც 16% ჰეჯირებულია ჯვარედინი საკურსო სვოპ ხელშეკრულებით, ხოლო 5% - უცხოური ვალუტის ფულადი სახსრების ბალანსით.

გრაფიკი 44 ბრუტო სესხი




გრაფიკი 45 უცხოურ ვალუტაზე დამოკიდებულება



უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კაპიტალური დანახარჯები, ძირითადად, არის საერთაშორისო მომწოდებლებისგან, როგორებიცაა Ericsson-ი, Huawei, Juniper-ი, ZTE და ა.შ., შეძენილი აღჭურვილობა. რაც შეეხება საოპერაციო ხარჯებს, ძირითადი ხარჯები, რაც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, არის ტექნიკური მხარდაჭერა და pay TV კონტენტის თვითღირებულება. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული შემოსავლის უმეტესობა გენერირდება ოპერატორებისგან მიღებული შემოსავლებით.

ქვედა გრაფიკში მოცემულია ლარის გაცვლითი კურსის ევოლუცია უცხოური ვალუტების მიმართ:

გრაფიკი 46 ლარის გაცვლითი კურსი უცხოური ვალუტების მიმართ



წყარო: სებ-ი

საქართველოს ეროვნულ ბანკი (NBG) ლარის მიმართ იყენებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმს. აღნიშნული რეჟიმის ფარგლებში, NBG-ი ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ერევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანაში ჭარბი კაპიტალის დროებითი შემოდინებაა, რამაც შესაძლოა, ვალუტის მკვეთრი მოკლევადიანი რყევები გამოიწვიოს. ლარის მერყეობის სხვადასხვა გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზი არსებობს. NBG-ი ლარის ღირებულების მდგრად დონეზე შესანარჩუნებლად სხვადასხვა მექანიზმს იყენებს. NBG-ის მიერ გამოყენებული მექანიზმები მოიცავს მონეტარული პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტს, როგორიცაა რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება (NBG-მ რეფინანსირების განაკვეთი 2020 წლის დასაწყისიდან ბოლომდე 1%-ით, 9%-დან 8%-მდე შეამცირა). NBG-ის მიზანია ასევე საერთაშორისო რეზერვების ადეკვატურ დონეზე შენარჩუნება.

2020 წელს ლარის მკვეთრი გაუფასურება, ძირითადად, გამოწვეულია COVID-19-თან დაკავშირებული ეკონომიკური გაურკვევლობით როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ ბაზრებზე. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სექცია „COVID-19“.

მოგების გადასახადი

ამჟამად საქართველოში მოგების გადასახადი ფაქტობრივად არ არსებობს. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო მოგების გადასახადის შესახებ კანონი (ცნობილი, როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელი), რის მიხედვითაც მოგება მხოლოდ იმ შემთხვევაში იბეგრება, თუ ის ნაწილდება ფიზიკურ ან საქართველოს არარეზიდენტზე პირზე. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან. 2019 წლის 19 აპრილიდან „სილქნეტის“ პირდაპირი მშობელი კომპანია არის ადგილობრივი შპს „სილქნეტ ჰოლდინგი“.

შემოკლებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მილიონი ლარი	*31.12.2018 A*	*31.12.2019 A*	*31.12.2020 A*
მთლიანი აქტივები	697.6	837.4	881.8
მთლიანი ვალდებულებები	623.1	809.5	941.1
მთლიანი კაპიტალი	74.5	27.8	(59.3)
ფიქსირებული აქტივები	582.6	607.0	653.2
ბრუტო სესხი	480.7	634.8	709.1
ფულადი სახსრები	9.3	74.9	77.8
წმინდა სესხი	471.4	559.9	631.3

A=ფაქტიური

კაპიტალური დანახარჯები

გლობალური ტექნოლოგიური ტენდენციებისა და აბონენტების სამომხმარებლო ქცევის შესაბამისად, ქსელის გაუმჯობესების მიზნით ინვესტიციებს მუდმივად ვახორციელებთ. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განვითარების კუთხით ინვესტიციები განხორციელდა, ძირითადად, შემდეგი მიმართულებებით: მობილურ ქსელში 4G/LTE-ის დაფარვის ზრდა, რის შედეგადაც 4G/LTE-ით მოსახლეობის დაფარვა ორი წლის წინ არსებული 75%-დან 97%-მდე გაიზარდა; მობილურ ქსელში Gigabit-LTE (4.9G) ტექნოლოგიის დანერგვა და ოპტიკური ქსელის გაფართოება. დღევანდელი მდგომარეობით, კომპანიის ოპტიკური ქსელი 650,000-ზე მეტ ბინამდე მიდის, რაც ქვეყნის მასშტაბით არსებული ოჯახების დაახლოებით 60%-ია.

მაუწყებლობის უფლებები და ლიცენზიები წარმოადგენს pay TV-ის უფლებებისა და ლიცენზიების იმ ნაწილის განახლებას, რომლებიც ხარჯში აღიარების ნაცვლად კაპიტალიზირდება. აბონენტების აყვანასთან დაკავშირებული კაპიტალური დანახარჯები, მეტწილად, მოიცავს აბონენტის აყვანასთან დაკავშირებულ სააბონენტო აღჭურვილობასა და ინსტალაციის შესაბამის ხარჯებს. სააბონენტო აღჭურვილობა ჩვენ გვეკუთვნის და აბონენტებისთვის მისი გამოყენება უფასოა.


კაპიტალური დანახარჯების ევოლუცია

მილიონი ლარი	*2018 PF*	*2019 A*	*2020 A*
კაპიტალური დანახარჯები[1]	**99.0**	**101.7**	**114.0**
ფიქსირებული სერვისები	60.8	63.0	59.5
მობილური სერვისები	30.3	34.6	43.5
სხვა	7.9	4.1	11.0
კაპიტალური დანახარჯები/შემოსავალი %	**25%**	**26%**	**30%**


PF=პრო ფორმა „ჯეოსელის“ შესყიდვა, ფასს 16-ის გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული; A=ფაქტიური

[1] კაპიტალური დანახარჯები ნიშნავს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების დამატებებს და არ მოიცავს ერთჯერად პროექტებსა და საინვესტიციო ქონების შეძენას, როგორებიცაა: 1) 2018, 2019 და 2020 წლებში 5 მილიონი, 8 მილიონი და 2 მილიონი ლარის ღირებულების IT ტრანსფორმაცია, შესაბამისად; 2) 2018 წელს, 26 მილიონი ლარის ღირებულების სპექტრის გამოყენების ლიცენზიები; 3) 2019 და 2020 წლებში, 30 მილიონი ლარის და 29 მილიონი ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთის შეძენა სათავო ოფისის მიზნებისთვის, შესაბამისად; 4) 2020 წელში 5 მილიონი ლარის „ევრონიუსის“ საოპერაციო ლიცენზია და 5) 2020 წელს ადგილობრივი ოპერატორებისგან 5 მილიონი ლარის ღირებულების სააბონენტო კონტრაქტების შესყიდვა. 2018 წლის კაპიტალური დანახარჯები არ მოიცავს „ჯეოსელის“ კაპიტალურ დანახარჯებს 2018 წლის პირველი კვარტლისთვის (შესყიდვამდე).

გრაფიკი 47 მობილური კაპიტალური დანახარჯების ჩაშლა



გრაფიკი 48 ფიქსირებული კაპიტალური დანახარჯების ჩაშლა



ფინანსური დავალიანება

2019 წლის აპრილში გამოვუშვით 200 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ევროობლიგაციები და დავფარეთ ყველა არსებული საბანკო სესხი და თამასუქი. 2019 წლის მაისში აქციონერის სესხის ნაწილი გადაკონვერტირდა კაპიტალში, ხოლო დანარჩენი დაიფარა.


ბრუტო სესხის ევოლუცია

მილიონი ლარი	*31 დეკ 18*	*31 დეკ 19*	*31 დეკ 20*
ევროობლიგაცია	-	571.6	641.8
„სილქნეტის“ 2017 წლის ობლიგაცია	34.4	34.5	34.5
„სილქნეტის“ არასაჯარო ობლიგაცია	26.8	28.7	32.8
„ჯეოსელის“ აქციონერის სუბორდინირებული სესხი	30.5	-	-
„ჯეოსელის“ სინდიცირებული სასესხო შეთანხმება	261.5	-	-
„ჯეოსელის“ სუბორდინირებული სასესხო შეთანხმება	26.9	-	-
„ჯეოსელის“ სესხი	25.7	-	-
„სილქნეტის“ სესხი	37.6	-	-
თამასუქი	37.3	-	-
ბრუტო სესხი	**480.7**	**634.8**	**709.1**
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები	(9.3)	(74.9)	(77.8)
წმინდა სესხი	**471.4**	**559.9**	**631.3**
ლევერიჯი (წმინდა სესხი/EBITDA)	**2.50**	**2.59**	**2.98**

ობლიგაციების გამოშვების პირობების თანახმად, „სილქნეტს“ რამდენიმე შეზღუდვა აქვს. მნიშვნელოვანი შეზღუდვები არის შემდეგი: კონსოლიდირებული ლევერიჯის კოეფიციენტი (წმინდა სესხი/EBITDA) 3.5x-ის ქვემოთ (ე.წ. incurrence პირობით) და დივიდენდის გადახდის შესაძლებლობა მაქსიმუმ 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული კუმულატიური წმინდა მოგების 50%-ის ოდენობით.

ამას გარდა, „სილქნეტი“ ვალდებულია, შეინარჩუნოს მინიმუმ 20 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საკრედიტო ხაზი ევროობლიგაციებზე კუპონის გადახდების უზრუნველსაყოფად. 2019 წლის მარტში „სილქნეტმა“ „თიბისი ბანკთან“ გააფორმა ხუთწლიანი ხელშეკრულება 20 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების განახლებად საკრედიტო ხაზზე, რომელიც დღემდე გამოუყენებელია. შეზღუდვების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ 200 მილიონი აშშ დოლარის ევროობლიგაციების პროსპექტი.

FIGURE 49 სესხების ვადიანობა, მილიონი ლარი



[1]კომპანიამ 10 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების არასაჯარო ობლიგაცია, რომელსაც ვადა 2021 წლის 31 მარტს გაუვიდა, მთლიანად დაფარა.

ფულადი სახსრები და ლიკვიდობის მართვა

თავისუფალი ფულადი სახსრების გენერირებას კომპანიაში ხელს უწყობს შემოსავლების ზრდა, ხარჯების ოპტიმიზაცია და საბრუნავი კაპიტალის ეფექტური მართვა.

- უკანასკნელი წლების განმავლობაში საოპერაციო ნაკადებით მიღებული ფულადი სახსრები იყო დაფინანსების ერთადერთი წყარო კაპიტალური დანახარჯებისთვის;
- საბრუნავი კაპიტალის ეფექტური მართვა და ფულადი სახსრების უცხოურ ვალუტაში შენარჩუნება ხელს უწყობს ლიკვიდურობას ვალუტის მერყეობის პირობებში.

დეტალებისთვის იხილეთ კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დარეკლასიფიცირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების რეკონსილაცია აუდიტირებულ კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებასთან

მილიონი ლარი	2018 PF			2019 A			2020 A		
	ფასს მოგება-ზარალი	კორექტირებები	დარეკლასიფიცირებული მოგება-ზარალი	ფასს მოგება-ზარალი	კორექტირებები	დარეკლასიფიცირებული მოგება-ზარალი	ფასს მოგება-ზარალი	კორექტირებები	დარეკლასიფიცირებული მოგება-ზარალი
შემოსავალი:	**399.2**	-	**399.2**	**387.2**	-	**387.2**	**382.2**	-	**382.2**
კომერციული შემოსავალი	332.2	-	332.2	346.2	-	346.2	347.6	-	347.6
ოპერატორებისგან მიღებული შემოსავალი	67.0	-	67.0	41.0	-	41.0	34.6	-	34.6
ხარჯები:	**(253.0)**	**42.3**	**(210.7)**	**(186.2)**	**14.9**	**(171.3)**	**(180.9)**	**10.3**	**(170.7)**
ხელფასები და სარგებელი	(64.1)	6.6	(57.5)	(58.1)	1.9	(56.2)	(57.1)	-	(57.1)
სხვა ხარჯები	(37.3)	14.8	(22.5)	(31.9)	9.9	(22.0)	(25.4)	6.4	(19.0)
შეძენილი მომსახურება	(51.9)	20.9	(31.0)	(31.4)	3.1	(28.3)	(38.7)	3.8	(34.9)
ინფრასტრუქტურული სიმძლავრის იჯარა, IRU და საიჯარო ხარჯები	(22.9)	-	(22.9)	(9.2)	-	(9.2)	(7.0)	-	(7.0)
ურთიერთჩართვის საფასური და როუმინგის ხარჯი	(39.0)	-	(39.0)	(17.8)	-	(17.8)	(16.2)	-	(16.2)
ქსელის მართვისა და ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები	(18.5)	-	(18.5)	(15.7)	-	(15.7)	(16.4)	-	(16.4)
Pay TV კონტენტის თვითღირებულება	(10.0)	-	(10.0)	(11.2)	-	(11.2)	(12.9)	-	(12.9)
რეკლამა და მარკეტინგი	(4.9)	-	(4.9)	(8.0)	-	(8.0)	(6.2)	-	(6.2)
სიმბარათების, სასაუბრო ბარათებისა და სხვა გაყიდვის ხარჯები	(4.5)	-	(4.5)	(2.8)	-	(2.8)	(0.9)	-	(0.9)
EBITDA	**146.2**	**42.3**	**188.5**	**200.9**	**14.9**	**215.8**	**201.2**	**10.3**	**211.5**
ცვეთა და ამორტიზაცია	(111.7)	-	(111.7)	(111.7)	-	(111.7)	(117.4)	-	(117.4)
შესყიდვიდან მიღებული სავაჭრო მოგება	41.8	-	41.8	-	-	-	-	-	-
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	-	-	-	-	-	-	(3.3)	-	(3.3)
კორექტირებები[1]	-	(42.3)	(42.3)	-	(14.9)	(14.9)	-	(10.3)	(10.3)
ფინანსური შემოსავალი	2.8	-	2.8	4.3	-	4.3	4.4	-	4.4
ფინანსური ხარჯები	(54.1)	-	(54.1)	(101.2)	-	(101.2)	(90.5)	-	(90.5)
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ცვლილება	-	-	-	(1.4)	-	(1.4)	5.8	-	5.8
უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული წმინდა ზარალი	(24.5)	-	(24.5)	(35.8)	-	(35.8)	(88.1)	-	(88.1)
წმინდა ფინანსური ხარჯი	**(75.8)**	-	**(75.8)**	**(134.1)**	-	**(134.1)**	**(168.4)**	-	**(168.4)**
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე	**0.5**	-	**0.5**	**(44.9)**	-	(44.9)	(87.9)	-	(87.9)
					-				
მოგების გადასახადი	(0.9)	-	(0.9)	(1.2)	-	(1.2)	0.7	-	0.7
		-			-				
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	**(0.4)**	-	**(0.4)**	**(46.1)**	-	**(46.1)**	**(87.2)**	-	**(87.2)**

PF=პრო ფორმა ჯეოსელის შესყიდვა, ფასს 16-ის გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული; A=ფაქტობრივი

[1] *კორექტირებებზე დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება*

განმარტებები და ფინანსური ინფორმაციის წყაროები

2018 წელი არის პრო ფორმა ფინანსური ანგარიშგებები, შედგენილი „სილქნეტის“ მიერ ფინანსურ ანგარიშგებებზე „ჯეოსელის“ ყიდვის ეფექტის საილუსტრაციოდ და ეყრდნობა დაშვებას, რომ ყიდვა განხორციელდა პერიოდის დასაწყისში. პრო ფორმა ანგარიშგებების მომზადების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ 200 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ევროობლიგაციების პროსპექტი „სილქნეტის“ საიტზე.

2019 და 2020 წლის რიცხვები ეყრდნობა აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

დარეკლასიფიცირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება მომზადებულია „სილქნეტის“ მიერ და ეყრდნობა აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ითვალისწინებს კორექტირებებს. დარეკლასიფიცირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებისა და აუდიტირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების რეკონსილაცია მოცემულია ზემოთ.

EBITDA ამ ანგარიშში არის იგივე, რაც კორექტირებული EBITDA აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში და ითვლება წმინდა მოგება/ზარალის დაკორექტირებით. წმინდა მოგება/ზარალი დაკორექტირებულია შემდეგი მუხლებით:

- ფინანსური ხარჯები და ფინანსური შემოსავალი;
- მოგების გადასახადი და ნებისმიერი სხვა, დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებული გადასახადები;
- გრძელვადიანი აქტივების ცვეთა, ამორტიზაცია, გადაფასება, გაუფასურება (ზარალი/აღდგენა);
- გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული წმინდა შემოსავალი/ (ზარალი), შემოსავალი/ (ზარალი) ჰეჯირების ინსტრუმენტებზე, სავალუტო ფორვარდ ხელშეკრულებების და ნებისმიერი სხვა შემოსავალი/(ზარალის) ჩათვლით, რომლებიც მიკუთვნებადია უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებაზე;
- კორექტირებები, ქვემოთ განმარტებულის შესაბამისად:

კორექტირებები მათი ზომის, ხასიათისა და გავრცელების მიხედვით დგინდება. კორექტირებებია: ა) გრძელვადიანი აქტივების და ნებისმიერი სხვა არაფულადი ერთეულების ჩამოწერასთან ან გაყიდვასთან დაკავშირებული შემოსავალი ან ზარალი; ბ) ერთჯერადი, არაძირითადი და არასაოპერაციო შემოსავალი ან ხარჯები, რომლებიც არსებითია მათი ხასიათის ან ზომის მიხედვით (მაგალითად, სავაჭრო ამონაგები ბიზნესშეძენაზე, ბიზნესის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები, სახსრების შეგროვებასა და კომპანიის ფასიანი ქაღალდების ლისტინგთან დაკავშირებული ხარჯები, გაცემული სესხის ჩამოწერა, ერთჯერადი პროფესიული საფასური, და ა.შ.).

გარკვეული რიცხვები მოცემულ ანგარიშში არის დაუმრგვალებელი, ერთი და იგივე მონაცემი სხვადასხვა ცხრილში შესაძლოა მცირედით განსხვავდებოდეს და ნაჩვენები ჯამები შესაძლოა, მცირედით განსხვავდებოდეს მისი შემადგენლების მათემატიკური ჯამისგან.



ჩვენი ბიზნესმოდელი და სტრატეგია

„მეტი“ წარმოადგენს ჩვენი ხედვის მოკლე შეჯამებას - ინფრასტრუქტურის მუდმივი გაუმჯობესების საშუალებით შევთავაზოთ ჩვენს კლიენტებს უფრო მეტი დახვეწილი პროდუქტი და მომსახურება.

ჩვენი ძირითადი რესურსები და ურთიერთობები არის ის, რასაც ვეყრდნობით ღირებულების შექმნის პროცესში, ამავდროულად, ისინი წარმოადგენენ აღნიშნული ღირებულების შექმნის შედეგსაც.





კონკურენტული უპირატესობები

ბაზარზე წამყვანი პოზიციის მქონე კონვერგენტული სატელეკომუნიკაციო ოპერატორი

ჩვენი სტატუსი, როგორც კონვერგენტული სატელეკომუნიკაციო ოპერატორისა, რომელსაც წამყვანი პოზიციები უკავია ძირითადი მომსახურების სეგმენტებში, გვაძლევს საშუალებას, მივიღოთ სარგებელი გლობალურ სატელეკომუნიკაციო ბაზრებზე არსებული ტენდენციებიდან. დიდი ალბათობით, ეს ტენდენციები საქართველოშიც იქნება დანერგილი, გაერთიანებული და კომბინირებული პროდუქტების პაკეტების შეთავაზების მიმართულებით, რომელიც მოიცავს ფიქსირებულ ინტერნეტს, pay TV-ს, ფიქსირებულ სატელეფონო მომსახურებას და მობილურ მომსახურებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენი ქსელისა და პრემიუმ და ექსკლუზიურ კონტენტზე დაფუძნებული პროდუქტების დიფერენციაციასთან გაერთიანებით, ასევე, კომპლექსური მომსახურების ჯვარედინი გაყიდვების საშუალებით არსებობს მნიშვნელოვანი შესაძლებლობები შემოსავლების ზრდის კუთხით.

იხილეთ „ჩვენი მომხმარებლები“.

ქსელის უპირატესობა

ჩვენი ქსელი წარმოადგენს ძირითად აქტივს და ის საშუალებას გვაძლევს, მომხმარებელს გავუწიოთ მომსახურება, რომელსაც ჩვენი აბონენტები აფასებენ დღეს და დასჭირდებათ მომავალში.

როგორც ფიქსირებული ქსელის ოპერატორმა, ჩვენ შევქმენით ფართომასშტაბიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური და დაშვების ქსელი. ჩვენ ვართ ერთადერთი ოპერატორი საქართველოში, რომელსაც აქვს, სულ მცირე, ერთი სასაზღვრო გადაკვეთა თითოეულ მეზობელ ქვეყანასთან, ეს კი უზრუნველყოფს წვდომას გლობალურ რესურსებზე და, ასევე, ქსელის მდგრადობას. ამასთანავე, გვაქვს ადგილობრივი ქეშირების შეთანხმებები წამყვან საერთაშორისო მოთამაშეებთან, რათა უზრუნველვყოთ პოპულარულ მომსახურებაზე უფრო სწრაფი წვდომა.

ჩვენი ოპტიკურ-ბოჭკოვანი დაშვების ქსელი უკვე ფარავს საქართველოში არსებული ბინების 60%-ს, და აწვდის თანამედროვე ინტერნეტ და IPTV მომსახურებას საქართველოს ურბანული მოსახლეობის უმეტესობას. ჩვენ 2019 წელს მოვიპოვეთ ელექტროენერგიის განაწილების ბოძებზე წვდომა.

ჩვენ ვაგრძელებთ ქსელის გაფართოებას დისციპლინირებულად, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ტენდენციების გათვალისწინებით, მათ შორის, ურბანიზაციის ჩათვლით. ჩვენ ვაფართოებთ ჩვენს ქსელს, განსაკუთრებით, თბილისის ფარგლებს გარეთ. თუმცა ჩვენი მიდგომა ამ მხრივ რჩება შერჩევითი და ჩვენ არ ვცდილობთ დავფაროთ ყველა სოფელი და ოჯახი.

„ჯეოსელის“ შეძენის დღიდან მობილური ქსელის სწრაფი მოდერნიზაციის წყალობით, ახლა ჩვენ ვფარავთ საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 97%-ს 4G/LTE-ით, ორი წლის წინანდელ 57%-თან

შედარებით, რაც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ინტერნეტზე წვდომას საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის. მოდერნიზაციის პროგრამამ საშუალება მოგვცა, დაგვეძლია სხვაობა წამყვან კონკურენტთან მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში და Gigabit-LTE-ს დანერგვით მოგვეპოვებინა ასევე ტექნოლოგიური ლიდერობაც, რის შედეგადაც ჩვენი ქსელის სისწრაფე მნიშვნელოვნად აღემატება კონკურენტებისას; ამისი დასტურია ცნობილი ამერიკული კომპანია Ookla®-ს Speedtest®-ის მიერ „სილქნეტის“ ქსელის აღიარება საქართველოში ყველაზე სწრაფი მობილური ინტერნეტის მქონე ქსელად 2020 წლის მე-2 ნახევრის მონაცემებით („Georgia's Fastest Mobile Network“ Award).

ჩვენი მიდგომა მობილური ქსელის განვითარებისადმი ბევრ ასპექტში ჰგავს ფიქსირებულ ქსელს - ჩვენ მიზნად ვისახავთ, უზრუნველვყოთ მომხმარებელთა ძალიან კარგი მომსახურება (განსაკუთრებით, დასახლებულ რაიონებში და მთავარ გზებზე). „სილქნეტის“ მიერ ფართომასშტაბიანი სიხშირული სპექტრის ფლობა აბონენტთა მომსახურების უზრუნველყოფის საშუალებას მოგვცემს უახლოეს მომავალშიც, მაშინ როდესაც ჩვენს აბონენტებს უფრო და უფრო მეტი კავშირი დასჭირდებათ.

იხილეთ „ქსელი და ინფრასტრუქტურა“

მაღალი ხარისხის მომხმარებელთა ბაზა

მიუხედავად საქართველოში გრძელვადიანი სამომხმარებლო კონტრაქტების არარსებობისა, ჩვენ გვაქვს ძლიერი მომხმარებელთა ბაზა.

იხილეთ „ჩვენი მომხმარებლები“

ექსკლუზიური ხელშეკრულებებით წარმოქმნილი უნიკალური და დივერსიფიცირებული კონტენტის პორტფელი

ჩვენ ვართ ერთადერთი სატელეკომუნიკაციო პროვაიდერი საქართველოში, რომელმაც შექმნა საკუთარი IPTV პლატფორმა. ჩვენ ასევე პირდაპირ ვიღებთ მხატვრული და დოკუმენტური ფილმების, გასართობი და სპორტული კონტენტის უფლებებს ჩვენი არხებისთვის და ჩვენს აბონენტებს ვაწვდით ქართულენოვან პროგრამებს. ჩვენი უნარი, მომხმარებლებს შევთავაზოთ პრემიუმ და ექსკლუზიური სპორტული კონტენტი, გახდა მნიშვნელოვანი ფაქტორი ახალი აბონენტების მოზიდვის უნარის ჩამოყალიბებაში.

იხილეთ „კონტენტის პორტფელი“

ფინანსური უპირატესობა

კომპანიამ 2020 წლის განმავლობაში, პანდემიის პირობებში აჩვენა მდგრადობა და შემოსავლები დაახლოებით წინა წლის დონეზე შეინარჩუნა, პანდემიის მიზეზით კონკრეტულ სეგმენტებში შემცირებული მოთხოვნის მიუხედავად, როგორებიცაა შემომავალი ტურისტების მიერ როუმინგული და ადგილობრივი მობილური მომსახურების მოხმარება, ტურიზმზე დამოკიდებული ქართული კომპანიების მიერ „სილქნეტის“ სერვისების მოხმარება და სხვა. ამავე პერიოდში ჩვენ შევძელით ქსელის გაფართოების მაღალი ტემპებით გაგრძელება. დივერსიფიცირებული სააბონენტო ბაზა, მოქნილი სატარიფო პოლიტიკა და HoReCa სექტორების მიმართ ლიმიტირებული დამოკიდებულება კომპანიის ფინანსური მდგრადობის დამატებითი ფაქტორია. ბოლო წლებში საოპერაციო ფულადი ნაკადები კაპიტალური დანახარჯების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენდა. კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე წვდომა ამ მხრივ კიდევ ერთ უპირატესობად არის მიჩნეული: ჩვენ ერთადერთი ქართული სატელეკომუნიკაციო კომპანია ვართ, რომელსაც აქვს საკრედიტო რეიტინგი ორი სააგენტოსგან, აგრეთვე, ოპერაციები საერთაშორისო და ადგილობრივ სასესხო კაპიტალის ბაზრებზე.
ჩვენ გვჯერა, რომ ძლიერი საოპერაციო მაჩვენებლები და ფინანსური მდგომარეობა, რისკების გონივრულ მართვასთან ერთად, საშუალებას მოგვცემს, გავაგრძელოთ კონკურენტულ გარემოზე დაკვირვება, რათა ვისარგებლოთ ახალი შესაძლებლობებით საქართველოში, მათი გამოჩენისთანავე.

იხილეთ „ფინანსური მდგომარეობა“



ჩვენი სტრატეგია

მომხმარებელთა კმაყოფილება

კომპანიის ღირებულების ზრდა და მომხმარებელთა მზარდი კმაყოფილების უზრუნველყოფა ქსელის ხარისხის ზრდის, პროდუქტების შეთავაზების გაუმჯობესების და მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საშუალებით.

იხილეთ „ჩვენი ქსელი და ინფრასტრუქტურა“, „ჩვენი მომხმარებლები“ .

ტექნოლოგიური ლიდერობა

ქსელის უმაღლესი ხარისხის უზრუნველყოფა იმ რეგიონებში, რომლებსაც ვემსახურებით.

ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) გამოყენება, პროდუქტის უკეთესად განვითარების, ბაზარზე მოქნილობისა და ჩვენს მომხმარებელთა საჭიროებებზე ყველაზე კარგად მორგებული პროდუქტების უზრუნველსაყოფად. ამ ყველაფრის შესრულების მიზნით ჩვენ მოვახდინეთ IT ტრანსფორმაცია.

იხილეთ „ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT)“.

საოპერაციო ეფექტურობა

საოპერაციო ეფექტურობის მისაღწევად ქსელური რესურსების დაგეგმვისა და გამოყენების ოპტიმიზაცია, აგრეთვე, კონტენტის მართვა.

ამის შემდგომი უზრუნველყოფა დისციპლინირებული შესყიდვებისა და გონივრული ფინანსური მართვის საშუალებით.

იხილეთ „ფინანსური მდგომარეობა“.

ეკოსისტემის შექმნა


პროდუქტის უფრო ფართო სპექტრის მეშვეობით, ჯვარედინი გაყიდვების და მომიჯნავე პროდუქტების დამატებითი გაყიდვები, ღირებულების დამატება პარტნიორული ურთიერთობების საშუალებით და მომხმარებელთა ბაზისა და მონაცემების გამოყენებით.



ქსელი და ინფრასტრუქტურა

კომპანიის მიზანია, მეტი რაოდენობის აბონენტს მოემსახუროს უკეთესი ხარისხით. ამ მიზნის მისაღწევად კომპანია ავითარებს და აფართოებს მაგისტრალურ ინფრასტრუქტურას.

ქვემოთ მოცემულ რუკაზე წარმოდგენილია ძირითადი მაგისტრალური კავშირები, რომლებსაც კომპანია იყენებს როგორც ფიქსირებული, ასევე, გარკვეულწილად, მობილური სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად.



სატრანსპორტო ქსელი

DWDM ქსელი

„სილქნეტი“ ფლობს ორ ფართომასშტაბიან ოპტიკურ საყრდენ DWDM ქსელს, რომელიც თბილისს საქართველოს დიდ ქალაქებთან აკავშირებს: ერთს - ფიქსირებული, ხოლო მეორეს - მობილური მომსახურებისთვის. „სილქნეტის“ DWDM ქსელი ასევე გამოიყენება მეზობელ ქვეყნებთან ტრანსსასაზღვრო კავშირისა და საერთაშორისო ტრაფიკის გადაცემისთვის.

IP/MPLS სატრანსპორტო ქსელი


„სილქნეტის“ ფიქსირებული IP/MPLS სატრანსპორტო ქსელი ამჟამად აგებულია Cisco-ს და Juniper-ის როუტერების და კომუტატორების საფუძველზე, რომლებიც წლების განმავლობაში მუდმივად ახლდებოდა კომპანიის ქსელისა და აბონენტების რაოდენობის ზრდასთან ერთად. IP/MPLS ქსელი გამოიყენება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის („FBB“), IPTV VoIP და მობილური მომსახურებისთვის, B2C და B2B აბონენტებისთვის. სხვა ქსელების მსგავსად, გამძლეობის ზრდისათვის IP/MPLS ქსელი იყენებს წრიულ ტოპოლოგიას. 2020 წელს კომპანიამ მოახდინა IP/MPLS ქსელის მოდერნიზება, რის შედეგადაც „სილქნეტის“ მონაცემთა გადაცემის ქსელის თითოეული მაგისტრალური კვანძი განახლებულია ახალი, თანამედროვე ტიპის აპარატურით. განახლებული ქსელის ჯამური გამტარობა დაახლოებით 2.5-ჯერ – 1.4 ტბ/წმ-მდე გაიზარდა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სხვადასხვა კვანძის მიმდინარე ტიპი, რაოდენობა და ადგილმდებარეობა ჩვენს ფიქსირებულ და მობილურ IP/MPLS ქსელში:

კვანძის ტიპი	*მწარმოებელი*	*ადგილმდებარეობა*
ფიქსირებული IP/MPLS ბირთვი	Juniper	თბილისი, ქუთაისი და ბათუმი
IP / MPLS PE (provider edge) როუტერების განაწილება	Juniper	თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ხაშური, რუსთავი
ფიქსირებული IP/MPLS აგრეგაციის სადგურები	Juniper/Cisco	ყველა ძირითადი სადგური (68 სადგური რეგიონებში და 37 - თბილისში)
ფიქსირებული IPTV სათავო სადგური	Juniper/Cisco	თბილისი
სასაზღვრო როუტერები	Juniper/Cisco	თბილისი, სოფია, ფრანკფურტი
მობილური IP/MPLS ბირთვი	Cisco	თბილისი, ქუთაისი, ბათუმი
მობილური IP/MPLS აგრეგაცია	Cisco	განლაგებულია მობილური კავშირის ძირითად სადგურებზე, სადაც
მობილური IP/MPLS სადგურის როუტერები	Cisco	ოპტიკური ინფრასტრუქტურა დასრულებულია. განლაგებულია მობილური ქსელის ყველა სადგურზე, სადაც ოპტიკური ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში წარმოდგენილია აღნიშნული საერთაშორისო კავშირები:

ინტერნეტარხი



ჩვენ ვიყენებთ Google-ს, Facebook-ისა და Akamai-ს ქეშ (Cache) სერვერებს რამდენიმე ადგილმდებარეობაზე, საერთაშორისო ტრაფიკის ოპტიმიზაციის მიზნით, ასევე, პოპულარული ინტერნეტსერვისებისთვის საუკეთესო ხარისხისა და მომხმარებლის კმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

რადიოსარელეო ტრანსმისიის ქსელი

კომპანიის მიერ ფიქსირებული მომსახურების გაწევა სულ უფრო მეტად ხდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის საშუალებით. თუმცა ზოგიერთ პატარა დასახლებაში, სადაც გეოგრაფიული შეზღუდვები ან ეკონომიკური მდგომარეობა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირის გამოყენების საშუალებას არ იძლევა, კომპანია ტრანსმისიის უზრუნველსაყოფად კვლავაც რადიოსარელეო შეერთებებს იყენებს.

წინა წლებში მობილური ქსელის საბაზო სადგურები და კვანძები ურთიერთდაკავშირებული იყო, ძირითადად, რადიოსარელეო ტრანსმისიის ქსელის საშუალებით, თუმცა უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო მეტი სადგურის ჩართვა მოხერხდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი შეერთებების საშუალებით, რამაც უზრუნველყო უფრო მაღალი გამტარუნარიანობა, მზარდი ტრაფიკის დასაკმაყოფილებლად. ამჟამად სადგურების დაახლოებით 46% (მიკროსადგურების ჩათვლით) ჩართულია ოპტიკურ-ბოჭკოვანი შეერთებების მეშვეობით, ხოლო დანარჩენი სადგურებისათვის კომპანია კვლავაც მხოლოდ რადიოსარელეო ტრანსმისიის ქსელს იყენებს.


სატრანსპორტო ქსელის მდგრადობა

2020 წელს კომპანიის სატრანსპორტო ქსელმა მდგრადობა აჩვენა და პანდემიის პირობებში 20-30%-ის ფარგლებში გაზრდილი დატვირთვის გამკლავება შეძლო.

ფიქსირებული ქსელი (DSL, FTTH)

კომპანია აბონენტებს FBB და IPTV მომსახურებას აწვდის შემდეგი ტექნოლოგიების საშუალებით: DSL, FTTH, GPON და წერტილოვანი P2P კავშირებით. 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ქსელი ემსახურება დაახლოებით 22 ათას - DSL, 259 ათას - FTTH, 203 ათას - IPTV, 34 ათას - VoIP და 174 ათას PSTN აბონენტს. კომპანიის DSL მომსახურება მოძველებულ სპილენძის ხაზებზე, მათი ხარისხის გამო, შეზღუდულია. შესაბამისად, კომპანიას შეუძლია, თავის DSL აბონენტებს შესთავაზოს შეზღუდული გამტარუნარიანობა, ხოლო კომპანიის IPTV მომსახურება შემოიფარგლება თითო ხაზზე ერთი „სეთ-თოფ ბოქსით“ და არ სთავაზობს აბონენტებს HD არხებს. მეორე მხრივ, FTTH აბონენტებს შეუძლიათ მიიღონ 100 მბ/წმ-მდე ინტერნეტის სიჩქარე, რაც დამოკიდებულია მათ სატარიფო გეგმაზე, და აქვთ რამდენიმე „სეთ-თოფ ბოქსის“ გამოყენების საშუალება თითოეულ ხაზზე.

გრაფიკი 50 ფიქსირებული ინტერნეტისა და ტელევიზიის გამტარუნარიანობა (Gb/წამი)



უსადენო მობილური ქსელი

კომპანია ინარჩუნებს მობილური უსადენო მომსახურების ფართო სპექტრს საქართველოში როგორც სატელეფონო, ასევე ინტერნეტმომსახურების მხრივ. ქვემოთ მოცემულია მობილური ქსელის ძირითადი სტრუქტურული სეგმენტები::

- რადიო დაშვების ქსელი Radio Access Network („RAN“), რომელიც მოიცავს:
  - საბაზო გადამცემ სადგურებს BTS (2G) / Node B-ს (3G) / eNode B-ს (4G);
  - საბაზო სადგურების კონტროლერებს BSC-ს (2G) / რადიოქსელის კონტროლერებს RNC-ს (3G).
- კომუტაციის ძირითად ქსელს, რომელიც მოიცავს:
  - ხმოვანი კომუტაციის ძირითად ქსელს – Circuit Switched Core-ს (“CS”) (მათ შორის, MSC-ს და MGW-ს);
  - პაკეტური კომუტაციის ძირითად ქსელს – PS Core / EPC-ს (მათ შორის, SGSN/MME-ს, GGSN/EPG-ს);
  - აბონენტების მონაცემთა ბაზას – Home Location Register 2G/3G (“HLR”) / Home Subscriber Server 4G-ს („HSS“).

Ericsson-ი არის კომუტაციის ძირითადი ქსელის, ისევე როგორც RAN ინფრასტრუქტურის, მიმწოდებელი თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო Huawei არის RAN–ის მიმწოდებელი დასავლეთ საქართველოში.

მობილური რადიო დაშვების ქსელი

2020 წლის დეკემბრის მონაცემებით, „სილქნეტი“ უზრუნველყოფდა ქვეყნის მობილური ქსელით დაფარვას 1,587 ფიზიკური წერტილის, 1,330 მაკროსადგურისა და 257 მიკროსადგურის საშუალებით.

2018 წლის მარტში, „ჯეოსელის“ შეძენის შემდეგ, კომპანიამ დაიწყო მობილური ქსელის მოდერნიზაციის მასშტაბური პროგრამის განხორციელება. „ჯეოსელი“ 4G/LTE მომსახურებისთვის მხოლოდ 1800-მეგაჰერციან სიხშირულ დიაპაზონს იყენებდა და დაფარვით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა თავის კონკურენტებს, რომლებიც ასევე იყენებდნენ 800-მეგაჰერციან სიხშირულ დიაპაზონს, უკეთესი დაფარვისა და შენობაში შეღწევის უზრუნველსაყოფად.


„სილქნეტის“ მოდერნიზაციის პროგრამის ძირითადი ასპექტები:

- სიხშირული ლიცენზიები
  - 2x5-მეგაჰერციანი რადიოსიხშირული სპექტრის ლიცენზიის შეძენა 800-მეგაჰერციან დიაპაზონში;
  - არსებული 2x5 მეგაჰერცის გადართვა 900-მეგაჰერციან დიაპაზონში 2G-დან 4G/LTE– მდე, 2G ხმის გადაცემის ხარისხის დაკარგვის გარეშე;
  - მობილური მომსახურებისთვის მაღალი ტრაფიკის მქონე რაიონებში „სილქნეტმა“ დაიწყო 2300-მეგაჰერციანი სპექტრის გამოყენება, რომელიც ადრე ფიქსირებული უსადენო LTE ინტერნეტისთვის გამოიყენებოდა.
- ქსელის განვითარება
  - არსებული მაკრო საბაზო სადგურების უმეტესობას დაემატა 4G/LTE და 3G/HSPA (საჭიროების შემთხვევაში) ტექნოლოგია, რითიც საგრძნობლად გაიზარდა 4G/LTE დაფარვა მთელ საქართველოში;
  - დაინერგა სიხშირული ზოლების აგრეგაცია (ე.წ. „4.5G“), რამაც კიდევ უფრო გაუმჯობესა მობილური ინტერნეტის სიჩქარე;
  - „სილქნეტმა“ საქართველოში პირველმა დანერგა ე.წ. Gigabit-LTE ტექნოლოგია, რომელიც 1 გბ/წმ-დე სიჩქარის მიღების საშუალებას იძლევა რამდენიმე უახლესი ფუნქციონალის გამოყენებით, როგორებიცაა: სამი სიხშირული ზოლის აგრეგაცია (20 მჰც 1800-მჰც-იან დიაპაზონში + 2 x 20 მჰც 2300-მჰც-იან დიაპაზონში), 4x4 MIMO (multiple-input and multiple-output) და 256 QAM (მაღალი დონის მოდულაცია). Gigabit-LTE ტექნოლოგია დაემატა საერთო ჯამში 260-ზე მეტ საიტზე, რის შედეგადაც აღნიშნული ტექნოლოგია დღეისათვის ხელმისაწვდომია საქართველოს ყველა დიდ ქალაქსა და მსხვილ დასახლებულ პუნქტში, აგრეთვე, მნიშვნელოვან კურორტებში;
  - დაემატა დაახლოებით 260 ახალი 3G & 4G მიკროსადგური, ძირითადად, თბილისში, შენობების შიგნით და ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ უბნებში მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. მოცემული პროექტის ფარგლებში 3G & 4G სიგნალით დაიფარა თბილისის მეტროპოლიტენის სადგურები.

ზემოაღნიშნულმა ინვესტიციებმა განაპირობა ის, რომ კომპანიის ქსელის ხელმისაწვდომობა, ხარისხი და მობილური ინტერნეტის მომხმარებლების კმაყოფილება, უმეტეს შემთხვევაში, აღემატება საქართველოს ნებისმიერი სხვა მობილური ქსელის მომხმარებლისას. ამ ფაქტის მორიგი დასტურია ცნობილი ამერიკული კომპანიის, Ookla®-ს Speedtest®-ის მიერ „სილქნეტის“ ქსელის აღიარება საქართველოში ყველაზე სწრაფი მობილური ინტერნეტის მქონე ქსელად 2020 წლის მე-2 ნახევრის მონაცემებით („Georgia's Fastest Mobile Network“ Award).


4G/LTE დაფარვა გაიზარდა ტერიტორიის 17%-იდან და მოსახლეობის 57%-იდან 2017 წლის ბოლოს, ტერიტორიის 65%-მდე და მოსახლეობის 97%-მდე 2020 წლის ბოლოს, რაც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ რუკებზე:

4G/LTE დაფარვის რუკა 2018 წლის ბოლოს



წყარო: კომპანიის ინფორმაცია

4G/LTE დაფარვის რუკა 2020 წლის ბოლოს



წყარო: კომპანიის ინფორმაცია

მობილური კომუტაციის ძირითადი ქსელი

კომპანიის მობილური კომუტაციის ძირითადი ქსელი „CS Core“ (ხმოვანი კომუტაციის) და „PS Core“-ისგან (პაკეტური კომუტაციის) ქსელისაგან შედგება. CS Core ემსახურება ხმოვან და SMS მომსახურებას და შედგება ქსელის ელემენტებისგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ხმოვანი კომუნიკაციისა და კავშირის მართვაზე, როგორც ეს წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ქსელის კვანძი	მოკლე სახელი	ფუნქციონალობა
MSC სერვერი	MSC	Mobile switching center („MSC“) პასუხისმგებელია ხმოვანი და SMS მომსახურებისთვის ინფორმაციის მართვაზე, ზარების მარშრუტიზაციასა და აბონენტების ადგილმდებარეობის პერიოდულ განახლებაზე.
მულტიმედიური შლუზი	MGW	Media gateway („MGW“) უზრუნველყოფს მედიანაკადების გარდაქმნასა და მიმოცვლას, რომლებიც იყენებენ ქსელის სხვადასხვა სტანდარტს, საკომუნიკაციო პროტოკოლებს, კოდეკებსა და ფიზიკურ კავშირებს ისე, რომ სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენებით ქსელში მიმდინარე სატელეფონო ზარები გამართულად ხორციელდებოდეს.
2G & 3G აბონენტების ბაზა	HLR	Home Location Registry („HLR“) არის მონაცემთა ბაზა, სადაც ინახება ყველა მობილური აბონენტისგან მიღებული ინფორმაცია. HLR-ი მოიცავს ინფორმაციას აბონენტის, ტელეფონის ნომრის, მასთან დაკავშირებული მომსახურების შესახებ და ზოგად ინფორმაციას აბონენტის ადგილმდებარეობის შესახებ.

მობილური პაკეტური კომუტაციის ძირითადი ქსელი (PS Core) საშუალებას აძლევს 2G/3G/4G ქსელის აბონენტებს, მოახდინონ IP პაკეტების მიმოცვლა გარე ქსელებთან, როგორიცაა, მაგალითად, ინტერნეტი. პაკეტების ამგვარი მიმოცვლა ხორციელდება Enhanced GPRS ((E)GPRS), High Speed Packet Access („HSPA“) და LTE (A) სერვისების საშუალებით. აღნიშნული სერვისების გამოყენებით აბონენტებს შეუძლიათ ფაილების ჩამოტვირთვა/ატვირთვა ან მობილური აპლიკაციების გამოყენება, როგორებიცაა: WhatsApp-ი, Viber-ი, Skype, Facebook-ი, YouTube და ა.შ.

კომპანიის პაკეტური კომუტაციის ძირითადი ქსელი შედგება ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩამოთვლილი ელემენტებისგან:

ქსელის კვანძი	მოკლე სახელი	ფუნქციონალობა
Serving GPRS Support Node / Mobility Management Entity	SGSN/MME	Serving GPRS Support Node („SGSN“) წარმოადგენს GPRS და 3G/HSPA ქსელის ძირითადი კომპონენტს, რომელიც ამუშავებს პაკეტური კომუტაციისა და სასიგნალო მონაცემებს, აგრეთვე, ახორციელებს ისეთ ფუნქციებს, როგორებიცაა, მაგალითად: მობილობის მართვა და მომხმარებლების ავტორიზაცია. SGSN-ი მობილური ინტერნეტისთვის დაახლოებით იმავე ფუნქციებს ასრულებს, რასაც MSC-ი – ხმოვანი ტრაფიკისთვის.
Gateway GPRS Support Node / Evolved Packet Gateway	GGSN / EPG	GGSN/EPG-ი ინახავს ინფორმაციას მობილური ინტერნეტის აბონენტებისა და იმ SGSN-ის შესახებ, რომელზედაც ეს მობილური მომხმარებლები არიან მიერთებულნი. იგი მობილურ მომხმარებლებს IP მისამართებს ანიჭებს, ემსახურება საკუთრივ მობილური ინტერნეტის მონაცემთა გატარებას და ურთიერთქმედებს საბილინგო სისტემასთან.
Home Subscriber Server	HSS	HSS-ი წარმოადგენს აბონენტების მონაცემთა ბაზას, რომელიც ინახავს ინფორმაციას ყველა 4G მობილური აბონენტის შესახებ. HSS-ი მოიცავს ინფორმაციას აბონენტის, მისი ტელეფონის ნომრის, მის მიერ გააქტიურებული სერვისების შესახებ და ზოგად ინფორმაციას 4G ქსელში აბონენტის ადგილმდებარეობის შესახებ.

სიხშირული ლიცენზიები


დიაპაზონი	სილქნეტი	მაგთიკომი	ვიონი საქართველო
	მეგაჰერცი	მეგაჰერცი	მეგაჰერცი
800 მეგაჰერცი	2 x 5.00	2 x 5.00	2 x 10.00
900 მეგაჰერცი	2 x 11.80	2 x 13.20	2 x 5.49
1800 მეგაჰერცი	2 x 29.90	2 x 29.90	2 x 10.00
2100 მეგაჰერცი	2 x 15.00	2 x 15.00	2 x 10.00
2300 მეგაჰერცი	50.00		
სულ 800/900/1800/2100/2300	173.40	126.20	80.98

წყარო: კომისია



ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT)

ჩვენი IT პორტფელი მოიცავს მრავალ პროგრამულ აპლიკაციას, მოდულსა და პლატფორმას, რომლებიც შექმნილია ისეთი ფუნქციების მხარდასაჭერად, როგორებიცაა მომხმარებელთან ურთიერთობის მართვა („CRM“), ბილინგი, მომსახურებისა და რესურსების მართვა, პროდუქტის, მომსახურების, მიწოდებისა და პარტნიორების მართვა და სტრატეგიული მენეჯმენტი.



მიმდინარე IT ტრანსფორმაცია

2021 წლის პირველ კვარტალში დავასრულეთ IT ტრანსფორმაციის პროგრამა, რომელიც შემუშავებულია კომპანიაში გაუმჯობესებული და სტანდარტიზებული პროცესების დანერგვის მიზნით.

ჩვენ გვაქვს სამი ძირითადი IT მიმართულება: 1. ბიზნესის მხარდაჭერის მომსახურება („BSS“), რომელიც მოიცავს ბილინგს, CRM-სა და მასთან დაკავშირებულ მომსახურებებს, როგორიცაა ანგარიშგება; 2. საწარმოს რესურსების დაგეგმვა („ERP'“); და 3. საოპერაციო მხარდაჭერის მომსახურება („OSS“).

IT ტრანსფორმაციის პროგრამის ძირითადი ნაწილი უკავშირდება BSS მოდულების შეცვლას, მათ შორის, შუამავლობასა და უზრუნველყოფას. ასევე შეიცვალა გარკვეული OSS მოდულები, მათ შორის: პრობლემების მართვის, საწარმოო პერსონალის მართვის და ქსელური მომსახურების ინვენტარის მოდულები. ERP მოდულებში ცვლილებები არ ყოფილა.

ამ პროექტში ჩვენი ძირითადი მომწოდებელი იყო Whale Cloud-ი, Ali Baba-ს შვილობილი კომპანია.

მიზნები

ჩვენ ველით, რომ ჩვენი ახალი IT სისტემები გაზრდის მომხმარებელთა კმაყოფილებას და შეამცირებს მიწოდების ვადებს, მნიშვნელოვნად შეამცირებს ახალი პროდუქტებისა და მომსახურების ბაზარზე რეაგირების დროს და ასევე, გააუმჯობესებს მომხმარებელთა სეგმენტაციას და მომხმარებელთა მონაცემების „real-time“ ანალიზს.

ახალი სისტემა გააუმჯობესებს მომხმარებელთა მომსახურების ხარისხს, კლიენტებისთვის მობილურ აპლიკაციებში ელექტრონული მომსახურების და ელექტრონული მაღაზიების ახალი პლატფორმების დანერგვით, ასევე, ახალი CRM მოდულით, რომელიც უზრუნველყოფს ამომწურავ ინფორმაციას თითოეული მომხმარებლის შესახებ.
ახალი სისტემა ასევე შეამცირებს ახალი პროდუქტებისა და მომსახურების ბაზარზე რეაგირების დროს, ბიზნესპროცესების თანამედროვე ინსტრუმენტების დანერგვით BPMN 2.0 სტანდარტების შესაბამისად, რაც ახალი პროცესების დანერგვის ან არსებული პროცესების განახლების საშუალებას მოგვცემს, დეველოპერების მიერ მოთხოვნილი ახალი კოდირების აუცილებლობის გარეშე.

მომხმარებელთა სეგმენტაცია და მონაცემთა „real-time“ ანალიზი გაუმჯობესდება ბილინგის ერთიანი მოდულის გამოყენებით; ეს კი მომხმარებელთა ქცევის სიღრმისეული ანალიზის საშუალებას მოგვცემს, რაც, თავის მხრივ, სარეკლამო აქციებისა და მომსახურების „real-time“ ანალიზის საშუალებას იძლევა.

სხვა

ჩვენ ვაგროვებთ და ვინახავთ ჩვენი მომხმარებლების შესახებ მონაცემთა მნიშვნელოვან რაოდენობას, რომლის შენახვასა და გამოყენებაზე მოქმედებს რეგულაციები. რადგან ბოლო წლების განმავლობაში სატელეკომუნიკაციო სექტორი სულ უფრო ციფრული, ავტომატიზებული და ინტერნეტზე დაფუძნებული გახდა, ჩვენ ასევე უსაფრთხოების ზომების გამკაცრებამ მოგვიწია, რათა მინიმუმამდე შეგვემცირებინა სისტემის გატეხვისა და ზოგადი ინფორმაციული ტექნოლოგიის სისტემის გაუმართაობის შედეგად მონაცემთა უნებართვო ან უნებლიე გაცემის რისკი.

ამჟამად ჩვენ არ გვაქვს მონაცემთა აღდგენის დისტანციური ცენტრი. ამ საკითხის მოგვარებას ვგეგმავთ მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში.



ოპერაციები და მნიშვნელოვანი მომწოდებლები

პოლიტიკა აბონენტთა მოხმარებაში არსებულ აღჭურვილობასთან („CPE“) დაკავშირებით

CPE აღჭურვილობა, როგორებიცაა მოდემები, „სეთ თოფ ბოქსები“, მარშრუტიზატორები და ა.შ. ჩვენ გვეკუთვნის და კლიენტებს მათი გამოყენებისთვის საფასურს არ ვახდევინებთ. ეს მიდგომა შეესაბამება ბაზარზე არსებული სხვა მოთამაშეების მიდგომას და აუცილებელია მომხმარებელთა მოზიდვის ბარიერების დაბალ დონეზე შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიდგომა ასევე გავლენას ახდენს მომხმარებელთა ბრუნვაზე.

CPE აღჭურვილობასთან და მის შესაბამის ინსტალაციასთან დაკავშირებული ხარჯები ჩვენი კაპიტალური დანახარჯების მნიშვნელოვან ნაწილს (19.0% 2020 წელს) წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ ეს რეგულარული ხარჯია, ჩვენ მუდმივად ვმუშაობთ ფასების ოპტიმიზაციასა და მიწოდების ჯაჭვის გაუმჯობესებაზე.

იჯარები

ჩვენ 1000-ზე მეტი საიჯარო ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული, რომლებიც ჩვენი სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის - ძირითადად, მობილური რადიოსადგურებისა და შესაბამისი აღჭურვილობის - განთავსებას უკავშირდება.

მიუხედავად იმისა, რომ ქსელური აღჭურვილობა, ისევე როგორც პასიური ინფრასტრუქტურა (ანძა, ბოძი და ა.შ.), ძირითადად, ჩვენს საკუთრებაშია, განთავსების ძირითადი ტერიტორია, უმეტეს შემთხვევაში, საოპერაციო იჯარით არის აღებული. ამჟამად სახელშეკრულებო საიჯარო ვადები 1-15 წლამდე მერყეობს, საიდანაც 70%-ზე მეტი 1-6 წლამდე დიაპაზონშია.

2019 წლიდან იჯარების აღრიცხვის პოლიტიკაში ცვლილებები შევიტანეთ ფასს 16-ის შესაბამისად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სექცია „ფასს 16“ კონსოლიდირებულ ფინანსურ

ძირითადი მომწოდებლები

Ericsson-ი, Cisco, Juniper-ი, Huawei, ZTE და Whale-cloud-ი ტექნიკური აღჭურვილობის, პროგრამული უზრუნველყოფისა და მომსახურების სხვა მსხვილი მომწოდებლები.

შპს „სერვისნეტი“

ჩვენ ვახორციელებთ საკაბელო ქსელის ტექნიკური მხარდაჭერის, აბონენტების მოზიდვისა და ტექნიკური მომსახურების და მობილური ქსელის საველე ტექნიკური მომსახურების აუთსორსინგს შპს „სერვისნეტზე“.

ქსელის ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯებისთვის, იხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 8.

შპს „ქარვა“

„ქარვა“ უზრუნველყოფს პროგრამულ, საოპერაციო და ტექნიკურ მხარდაჭერას კომპანიის IPTV მომსახურებისთვის. გარდა ამისა, „ქარვა“ ავითარებს პროგრამულ უზრუნველყოფას და ამატებს ახალ ფუნქციებს, კომპანიის მოთხოვნის მიხედვით. „ქარვას“ მიერ კომპანიისთვის შექმნილი ნებისმიერი ახალი პროდუქტი ეკუთვნის კომპანიას ან კომპანიას მასზე შეუზღუდავი უფლებები გააჩნია.

„ქარვა“ სთავაზობს კომპანიას ექსკლუზიურ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში არ აქვს უფლება, შესთავაზოს ანალოგიური მომსახურება (კონსულტაციის ჩათვლით) მესამე მხარეებს საქართველოს ტერიტორიაზე, კომპანიის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

კომპანია ფლობს „ქარვას“ კაპიტალის 51%-იან წილს, ხოლო „ქარვას“ ხელმძღვანელობა - დანარჩენ 49%-ს.

კონტენტის პორტფელი

ჩვენმა უნიკალურმა კონტენტის პორტფელმა pay TV-მ აბონენტების მოზიდვაში მნიშნელოვანი როლი შეასრულა. მომხმარებლებს ვთავაზობთ:

- მრავალფეროვან სპორტულ დაფარვას მოცემული ანგარიშის გამოშვების თარიღისთვის ექსკლუზიური უფლებებით ჩემპიონთა ლიგაზე, ესპანეთის ლა ლიგაზე, ევროპის ლიგაზე, NBA კალათბურთზე, სხვადასხვა საჩოგბურთო ტურნირსა და სხვა სპორტულ კონტენტზე;
- Silksport.ge-ს, სპორტულ პორტალს, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, იხილონ კონტენტი ინტერნეტით;
- ექსკლუზიურ უფლებებს 25 რუსულენოვან გასართობ არხზე;
- ექსკლუზიურ VOD შეთავაზებას Amediateka-ს საშუალებით;
- 020 წელს „სილქნეტმა“ „აჭარასპორტთან“ მიაღწია შემოსავლის გაყოფის შეთანხებას მის ორ არხთან დაკავშირებით („აჭარასპორტ 1“ და „აჭარასპორტ 2“), რის შედეგადაც ჩვენს არხებზე ხელმისაწვდომია ინგლისის პრემიერლიგა;
- უფლება „სეტანტა სპორტის“ არხებზე, რომლებსაც ფლობს „აჭარასპორტი“ და სადაც ხელმისაწვდომია სხვადასხვა სპორტული ტურნირი, მათ შორის, გერმანიის ბუნდელიგა, იტალიის სერია ა, საფრანგეთის ლიგა 1, ფორმულა 1, UFC და სხვა სპორტული კონტენტი;

ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი კონტენტის შეთავაზების განვითარებას Euronews Georgia-ს საშუალებით, რომელიც 2020 წლის მაისში იქნა გაშვებული (იხილეთ ქვემოთ).

ჩვენ ვართ ციფრული ტექნოლოგიების პიონერი ქართულ ბაზარზე, მუდმივად ვავითარებთ სტრიმინგის აპლიკაციებს Android-ისთვის, iOS-ისა და პერსონალური კომპიუტერებისთვის.
მთავარი გამოწვევა, რომელიც აფერხებს მოთხოვნას VOD მომსახურებაზე, არის „პირატული კონტენტი“. თუმცა არსებობს გარკვეული დადებითი ტენდენციები აღნიშნული მიმართულებით, რაც განხილულია სექციაში „მარეგულირებელი კანონმდებლობა“.



Euronews Georgia

Euronews Georgia - არის ახალი ამბების არხი და ციფრული პლატფორმა, რომლის მიზანია, ადგილობრივ კონტენტთან ერთად, ქართულენოვან აუდიტორიაზე მორგებული საერთაშორისო კონტენტის შეთავაზება.

არხი შეიქმნა „სილქნეტსა“ და Euronews-ს (ნომერ პირველი საერთაშორისო ახალი ამბების არხი ევროპაში) შორის დადებული სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზე. Euronews Georgia 2020 წლის მაისიდან ხელმისაწვდომია უფასოდ. ჩვენ მას შპს „სილქ მედიას“ საშუალებით გადავცემთ, რომელიც ჯგუფის ახალშექმნილი 100%-იანი შვილობილი კომპანიაა (იხილეთ ჩვენი კორპორაციული სტრუქტურა სექციაში „კორპორაციული მართვა“).

მისი სარედაქციო ხაზის „All Views“ დამსახურებით, Euronews-ი ყოველთვის იყო აღიარებული, როგორც სანდო და დამოუკიდებელი მედიაწყარო. Euronews-ი აკონტროლებს Euronews Georgia-ს სარედაქციო პოლიტიკას და დანიშნა ახალი ამბების დირექტორი - ვასილის ბიცისი, რომელიც იყო Euronews-საბერძნეთის დირექტორი. Euronews-ი ასევე უზიარებს კონტენტს Euronews Georgia-ს, ხოლო ეს უკანასკნელი ამზადებს გარკვეულ ადგილობრივ კონტენტს Euronews-თან გასაზიარებლად.

შედეგად, Euronews Georgia ისარგებლებს Euronews–ის ბრენდის ცნობადობითა და რეპუტაციით.







ჩვენი მომხმარებლები

მიმზიდველი მომხმარებელთა ბაზა

გრძელვადიანი ხელშეკრულებების არარსებობის გამო, საქართველოს ბაზარზე აბონენტებისთვის შემოსვლის და გასვლის დაბალი ბარიერებია, რაც პაკეტურ შეთავაზებას მომხმარებელთა ბაზის ხარისხის ძირითად მაჩვენებლად აქცევს. პაკეტური შეთავაზებების მაღალი მაჩვენებლები მომხმარებელთა ბაზის მაღალ ხარისხზე მიუთითებს და მომხმარებელთა ბრუნვის შემცირებას იწვევს.

ჩვენი ფიქსირებული მომსახურება, ძირითადად, პაკეტური შეთავაზებებისგან შედგება

- B2C FTTH აბონენტების 83%-ს სარგებლობს IPTV მომსახურებით;
- ჩვენი ფიქსირებული ქსელის აბონენტების უმეტესობა სარგებლობს ხმოვანი მომსახურებით.

ჩვენი მობილური კავშირის აბონენტები სულ უფრო მეტად იყენებენ პაკეტურ შეთავაზებებს

- B2C აბონენტების დაახლოებით 30 % ყიდულობს პაკეტებს „მეტი“ (ხმოვანი/ინტერნეტი/ SMS);
- 61% ინტერნეტის პენეტრაცია.

ჩვენი მომხმარებლები სარგებლობენ მაღალი ხარისხის სტრიმინგის მომსახურებით, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მობილური ინტერნეტის მოხმარებას. ჩვენი კონტენტზე დაფუძნებული კონვერგენციის სტრატეგია ასევე ხელს უწყობს ინტერნეტთან დაკავშირებულ მომსახურებაზე მომხმარებელთა მოთხოვნის მზარდ ტენდენციას.

კონვერგენცია

ინტერნეტ და IPTV პაკეტური შეთავაზების მქონე აბონენტები, რომლებიც ასევე დიდი ალბათობით იყენებენ ჩვენს ფიქსირებულ სატელეფონო მომსახურებას, წარმოადგენენ მობილური მომსახურების ჯვარედინი გაყიდვების მთავარ სამიზნეს, რადგან შინამეურნეობებში შესვლის ბარიერები არსებითად უფრო მაღალია, ვიდრე მობილური ოპერატორის შეცვლის ბარიერები.

კონვერგენცია იზრდება - 18 ათასზე მეტი Silk + აბონენტი (38 ათასზე მეტი სიმბარათით), ან FTTH B2C აბონენტების 6.8%, 2018 წლის მეოთხე მეოთხედში, საქართველოში პირველი (არსებითად) ფიქსირებული მობილური კონვერგენტული შეთავაზებების დაწყების შემდეგ.

მომხმარებლებთან კონტაქტის წერტილები

ჩვენ მიერ გამოყენებული ძირითადი არხები შემდეგ მთავარ მიზნებს ემსახურება:

	მობილური გაყიდვები	ფიქსირებული გაყიდვები	მარკეტინგი	მომხმარებელთა მომსახურება	ფიქსირებული მომსახურების მონტაჟი	კონტენტი
მაღაზიები	✓		✓	✓		
შემომავალი ზარების ცენტრი	✓	✓		✓		
გამავალი ზარების ცენტრი		✓				
silknet.com			✓	✓		
mysilknet.com		✓	✓	✓		
აპლიკაცია My Silknet-ი	✓		✓	✓		
გაყიდვების აგენტები		✓				
მესამე მხარის ინსტალატორები					✓	
მესამე მხარის დილერები	✓					
Facebook-ი			✓	✓		
Instagram-ი			✓			
Viber გაერთიანება			✓	✓		
YouTube არხი			✓			
USSD მომსახურება	✓					
SMS მომსახურება			✓	✓		
Silktv.ge			✓			✓
აპლიკაცია Silk Go & silkgo.ge			✓			✓
silksport.ge			✓			✓

მომხმარებლებთან კონტაქტის წერტილები



52 მაღაზია


2 საცალო ჯიხური

მობილური: 737 გარე საცალო ვაჭრობის წერტილი მესამე მხარეების დილერების საშუალებით

133 სილქნეტის აგენტი თბილისსა და რეგიონებში
17 ოპერატორი

2020 წლის 31 დეკემბრისთვის

გრაფიკი 51 B2C სიმბარათების გაყიდვები



ჩვენი გუნდი

ჩვენი გუნდი ჩვენი ბიზნესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ჩვენ ვქმნით დასაქმების შესაძლებლობებს სხვადასხვა პროფილის მქონე ადამიანებისთვის და მიზნად ვისახავთ უსაფრთხო გარემოს შექმნას, რომელშიც ისინი თავს ჩართულად და მხარდაჭერილად იგრძნობენ. ჩვენი საკადრო პროცესები მუდმივად ვითარდება აღნიშნული მიზნის მისაღწევად.

სექციაში „კორპორაციული მართვა“ აღწერილის მიხედვით, ჩვენ ვიცავთ „ქცევის კოდექსს“ და დარღვევების შეფასების გამჭვირვალე პროცესი გვაქვს. ჩვენ დასაქმების გამჭვირვალე პროცესი გვაქვს და მიზნად ვისახავთ კომპანიის უკვე არსებული თანამშრომლების დაწინაურებას - ჩვენი ვაკანსიები, როგორც წესი, ჯერ კომპანიის შიგნით ცხადდება ყველა თანამშრომლისთვის, მანამ, სანამ ისინი კომპანიის გარეთ გამოცხადდება.

ჩვენ დასაქმების და ანაზღაურების პოლიტიკის, ასევე სხვა პრაქტიკების შემდგომ დახვეწას ვგეგმავთ, რათა გავზარდოთ თანამშრომლების ჩართულობა და უკეთ მოვარგოთ ისინი ჩვენს მიზნებსა და სტრატეგიას.








ძირითადი მონაცემები თანამშრომლების შესახებ

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, 2,075 თანამშრომლით, ჩვენ ქვეყნის 20 საუკეთესო დამსაქმებელთა შორის ვართ.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, ჩვენს დასაქმებულთა საშუალო ასაკი არის 40 წელი.

გრაფიკი 52 თანამშრომელთა რაოდენობა დეპარტამენტების მიხედვით



თანამშრომლების რაოდენობა მოცემულ სექციაში მოიცავს მხოლოდ სრული განაკვეთით დასაქმებულ თანამშრომლებს და არ მოიცავს შვილობილ კომპანიებში დასაქმებულ თანამშრომლებს; [1]მოიცავს HR, იურიდიულ, PR, მაუწყებლობის, საოპერატორო მომსახურების, სტრატეგიული დაგეგმვის, კომპანიის განვითარების, პროექტების, საკონსულტაციო ჯგუფის, IT ტრანსფორმაციის პროექტების მართვისა და ინფორმაციული უსაფრთხოების განყოფილებებს

2,075 თანამშრომლიდან 454 ჩვენთან მუშაობს კომპანიის დაფუძნების დღიდან.

2020 წლის ბოლოს ჩვენი თანამშრომლების 52% და ჩვენი მაღალი და საშუალო რგოლის ხელმძღვანელობის 34% იყო ქალი. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქალ დასაქმებულთა საშუალო ხელფასმა 1,566 ლარი შეადგინა, ხოლო მამაკაცთა - 2,154 ლარი. გენდერული თანასწორობა დეტალურად განხილულია ქვემოთ.


თანამშრომელთა შენარჩუნების კოეფიციენტი 2020 წელს იყო 89%, ხოლო ბრუნვა - 8%, შესაბამისად, 86%-თან და 18%-თან შედარებით 2019 წელს.


თანასწორობისა და ინტეგრაციის კულტურა

ჩვენი კორპორაციული კულტურის საფუძველია თანასწორობა და ინტეგრაცია. ჩვენ მხარს ვუჭერთ თანაბარი შესაძლებლობების შექმნას და ინტეგრაციას, და დისკრიმინაციის აკრძალვას ვნერგავთ პრაქტიკაში; შესაბამისად, ყველა ჩვენი პოლიტიკა და პროცესი სრულად ემსახურება ადამიანთა უფლებების დაცვას და გენდერულად მგრძნობიარე გარემოს შექმნას. ჩვენ ხელს ვუწყობთ ქალებს, თანაბარი შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების უზრუნველყოფით.

თანასწორობაზე ორიენტირებული გარემოს შექმნისა და შენარჩუნების მიზნით, ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ორგანიზაციებთან UN Women-ი და UN Global Compact Office in Georgia. მათი საპარტნიორო ინიციატივის - ქალთა გაძლიერების პრინციპების (WEP) - დახმარებით, ჩვენ რეგულარულად განვიხილავთ ჩვენს არსებულ პრაქტიკას, რომელიც ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას სამუშაო ადგილზე და ამ მიმართულებით ვცდილობთ გაუმჯობესებას. ჩვენმა მზადყოფნამ მსგავსი თანამშრომლობისთვის გამოიწვია უფრო მჭიდრო ურთიერთობა გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან და ინიციატივა WEP პროგრამისთვის, რათა უზრუნველყოს „gender lens“-ი, რაც ჩვენი მიმდინარე პრაქტიკის, სტანდარტებისა და ანგარიშგების კვლევასა და ანალიზში დაგვეხმარება.

გრაფიკი 53 ასაკობრივი მრავალფეროვნება





.

ხელფასები და ბონუსები

ჩვენ თვალს ვადევნებთ სახელფასო ანაზღაურების ტენდენციებს შრომის ბაზრის კვლევების საშუალებით და ჩვენი ხელფასების კონკურენტუნარიანობას უზრუნველვყოფთ.

ჩვენ ვთავაზობთ ჩვენს თანამშრომლებს იმაზე მეტ სარგებელს, ვიდრე ამას მოითხოვს კანონმდებლობა. მაგალითად, ყველა ჩვენი ქალი თანამშრომელი იღებს სრულად ანაზღაურებად 6-თვიან დეკრეტულ შვებულებას. ჩვენ ასევე უზრუნველვყოფთ სხვა ნებაყოფლობით სარგებელს, მათ შორის, ჯანმრთელობის დაზღვევას და დამატებით ფინანსურ დახმარებას განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში (მაგალითად, ბავშვის დაბადების ან ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში).

ამასთანავე, ჩვენი თანამშრომლებისთვის დავაარსეთ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ფონდი - ის ფარავს ჯანდაცვის იმ ხარჯებს, რომლებიც სადაზღვევო გადახდებს აჭარბებს, და უზრუნველყოფს მხარდაჭერას განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული დაზღვევით. ასეთ შემთხვევებში იგულისხმება მკურნალობა, რომლის გავლა თანამშრომლებს შესაძლოა, უცხოეთში დასჭირდეთ.

პენსია

საქართველოში მოქმედი ახალი კანონმდებლობა სახელმწიფო პენსიის შესახებ გულისხმობს განსაზღვრულ შენატანებზე დაფუძნებულ სისტემას. ამ კანონის მიხედვით, კომპანია, თანამშრომელი და საქართველოს მთავრობა ახორციელებენ გადახდებს, რომელიც დასაქმებულის ხელფასის 2%-ს შეადგენს (სულ 6%). ახალი სისტემა ამოქმედდა 2019 წლის 1 იანვრიდან და სავალდებულოა 40 წლამდე ასაკის დასაქმებული პირებისთვის.

სტაჟირებისა და სტიპენდიის შესაძლებლობები

„სილქნეტი“ აქტიურად თანამშრომლობს ქვეყნის უდიდეს უნივერსიტეტებთან და მათ საუკეთესო სტუდენტებს სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობებს სთავაზობს.



ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

მთელი ჩვენი საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპია ყველა იმ ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა, ვინც ჩვენთან ერთად ან ჩვენთვის მუშაობს, უბედური შემთხვევების, ინციდენტების, დაზიანებებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება. ჩვენი მიზანია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა და მისი მუდმივი გაუმჯობესება. ამ მიზნით, ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ჩვენს სამუშაო გარემოსა და პროცესებში არ იქნას დაშვებული და რეაგირება მოხდეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამომწვევ პირობებზე; ჩვენ თანამშრომლებისა და კონტრაქტორების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ ზომებს ვიღებთ. ჩვენ გვაქვს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის (OHS) პოლიტიკა, რომელიც ამ მიმართულებით ჩვენი მუშაობის წარმართვისა და მართვის საფუძველს უზრუნველყოფს. ჩვენ ამ პოლიტიკას ვაცნობთ ყველა თანამშრომელს და მუდმივად ვაკვირდებით მის განხორციელებას. „სილქნეტის მომწოდებლის ქცევის კოდექსის“ საშუალებით ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ჩვენმა მომწოდებლებმა და სხვა ბიზნესპარტნიორებმა იგივე სტანდარტები დაიცვან.

ამჟამად ჩვენ ვნერგავთ უფრო სტრუქტურირებულ პროცესს, რომელიც მოიცავს: ჯანმრთელობის გაუმჯობესებას; რისკების გამოვლენას და შემცირებას ან თავიდან აცილებას; და გაუარესებულ ჯანმრთელობაზე სწრაფად რეაგირებას

„სილქნეტში“ ყველა დონის მენეჯერებს აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებლობა, რომ დანარჩენ თანამშრომლებს ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების შენარჩუნების კარგი მაგალითი აჩვენონ და მოახდინონ დემონსტრირება იმისა, თუ როგორ არის აღნიშნული დაკავშირებული ჩვენი თანამშრომლებისა და სტუმრების კეთილდღეობასთან, ისევე როგორც ჩვენი ბიზნესის მოგებიანობასთან.

„სილქნეტი“ საზოგადოებაში

ჩვენი საქმიანობის მეშვეობით, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მომსახურების მიწოდებასთან ერთად, ჩვენ ვაღიარებთ ჩვენს პასუხისმგებლობას ფართო საზოგადოების წინაშე და აქტიურ ნაბიჯებს ვდგამთ მისი განვითარების მხარდასაჭერად.

ამ კუთხით, ჩვენი ძალისხმევის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები მოიცავს განათლებას, კულტურასა და სპორტს. ამ მიმართულებით განხორციელებული ჩვენი რამდენიმე პროექტი აღწერილია ქვემოთ.

გარდა ამისა, ჩვენ 2020 წელს მივიღეთ დამატებითი ზომები COVID-19 პანდემიის დროს ჩვენი საზოგადოების მხარდასაჭერად:


- მხარდაჭერის გუნდის 24-საათიანი სამუშაო რეჟიმის დანერგვა, მათ შორის, საკარანტინე ზონებისთვის;
- საკარანტინე ზონებისთვის, დამატებითი საფასურის გარეშე, დამატებითი სიჩქარეების უზრუნველყოფა;
- ჩვენი კონტენტის მეტი ხელმისაწვდომობით, მათ შორის, აპრილში ჩვენი აბონენტებისთვის Silk Go სტრიმინგის უსასყიდლო მიწოდება;
- ჩვენს IPTV პლატფორმაზე საშინაო სკოლის (Home School) უფასოდ მიწოდება;
- ციფრული აყვანისა და SIM ბარათების მიწოდების მომსახურების დამატება;
- StopCov ფონდში, რომელიც საქართველოს მთავრობამ COVID-19-ით დაზარალებული პირების მხარდასაჭერად შექმნა, 2 მილიონი ლარის გადარიცხვა.

National Geographic Georgia (განათლება, გარემო, კულტურა)

2012 წელს ჩვენ დავაარსეთ ა(ა)იპ National Geographic Georgia („NGG“), რომელიც მიზნად ისახავს ქართული საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ბუნებრივი, ისტორიული ან სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერებების, ასევე, ტექნოლოგიების შესახებ.

დაარსების დღიდან, ჩვენი დაფინანსებით, NGG-ი აღნიშნულს აკეთებს ჟურნალ „National Geographic“-ის ქართულენოვანი ვერსიის გამოქვეყნებით და საქართველოსთან დაკავშირებული მასალების გლობალური გამოყენებისთვის მომზადებით. ჩვენი მხარდაჭერით, იგი ასევე ატარებს უამრავ ღონისძიებას, როგორებიცაა გამოფენები, პრეზენტაციები, ლექციები და რეგიონული საგანმანათლებლო ინიციატივები.

გასულ წელს, როდესაც COVID-19 პანდემიის გამო ჟურნალის ბეჭდვა შეჩერებული იყო, შეიქმნა TV გადაცემათა სერიები, სახელად „ადამიანი და ბუნება“, რომლებიც „სილქნეტის“ არხებით გადმოიცემოდა. TV პროგრამა მოიცავდა მსოფლიოში ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერების საინტერესო საუბრებს სხვადასხვა მეცნიერული ფენომენის შესახებ.



წინანდლის ფესტივალი (კულტურა, განათლება)

ჩვენ ვართ საქართველოში უდიდესი, კლასიკური მუსიკისადმი მიძღვნილი ღონისძიების მთავარი სპონსორი - წინანდლის ფესტივალი არის ღონისძიება, რომელიც იზიდავს მსოფლიოს საუკეთესო შემსრულებლებს, დირიჟორებს, კომპოზიტორებსა და მუსიკოსებს. ეს ხელს უწყობს საქართველოს, გახდეს კლასიკური მუსიკის გლობალური ცენტრი. ფესტივალის მთავარი მიზანია მუსიკის ენის პოპულარიზაცია ჩვენს რეგიონში.



წინანდლის პირველი ფესტივალი 2019 წელს ჩატარდა და დიდ წარმატებას მიაღწია.

ფესტივალმა როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური მედიის წარმომადგენლების ყურადღება მიიპყრო და, ძალიან წარმატებული სადებიუტო ღონისძიების შემდეგ, გადაწყდა ფესტივალის ყოველწლიურად ჩატარება.





2020 წლის სექტემბერში, როდესაც COVID-19 პანდემიის სიტუაცია მეტ-ნაკლებად დასტაბილურდა, ფესტივალის ჩატარება, შედარებით მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც მოხერხდა და ოთხი დღე გაგრძელდა. წინა წლის მსგავსად, ფესტივალმა უმასპინძლა კლასიკური მუსიკის გამოჩენილ შემსრულებლებს, მათ შორის: მარტა არგერიხს, ლიზა ბათიაშვილს, ნელსონ გორნერს, ალექსანდრე კანტოროვს, დენიელ ლოზაკოვიჩს და ნიკოლოზ რაჭველს.





„სილქნეტის“ მიერ სპორტის მხარდაჭერა

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჩვენი ორი სპორტული ინიციატივა: „საფეხბურთო გუნდი ლოკომოტივი თბილისის“ მხარდაჭერა და საქართველოს სათხილამურო ფედერაციის სპონსორობა.

ჩვენ ვაფინანსებთ „ლოკომოტივის“ ბავშვთა საფეხბურთო აკადემიას, რომელიც მართავს ორ საფეხბურთო სკოლას ქალაქში. სკოლები სრულად არიან აღჭურვილი თანამედროვე საშუალებებით და მოსწავლეებს უზრუნველყოფენ ყველა საჭირო აღჭურვილობითა და ინვენტარით. აკადემია იყო პირველი საქართველოში, რომელმაც გახსნა კარი ფეხბურთელი გოგონებისთვის. „სილქნეტის“ მხარდაჭერით, იგი აქტიურად თანამშრომლობს United Nations Population Fund Georgia-სთან, რათა მეტი გოგონა მოიზიდოს ფეხბურთში და შექმნას თანაბარი შესაძლებლობები სპორტში.

სათხილამურო სპორტი საქართველოში ძალიან პოპულარულია. მთავრობის მხრიდან უწყვეტი ძალისხმევისა და „სილქნეტის“ მუდმივი მხარდაჭერის წყალობით, ქვეყანა საერთაშორისო ტურისტებისთვის სულ უფრო მიმზიდველი ადგილი ხდება სათხილამურო სპორტის მიმართულებით.



COVID-19-თან დაკავშირებული სიტუაციის მიუხედავად, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, 2021 წლის მარტიდან სათხილამურო საბაგიროების გახსნის ნებართვა გაეცა. როგორც წესი, საქართველოში სათხილამურო კურორტების ძირითად ნაწილში სეზონი აპრილის ბოლომდეც კი გრძელდება.

2020-2021 წლის სეზონში ქართულ კურორტებზე საერთაშორისო შეჯიბრებებიც ჩატარდა. კერძოდ, ბაკურიანმა, „სილქნეტის“ სპონსორობით, „სქი ქროსის“ მსოფლიო თასის ეტაპს უმასპინძლა, ხოლო გუდაურში სნოუბორდში ევროპის ჩემპიონატი გაიმართა.

ჩვენ უკვე 12 წელია, რაც საქართველოს სათხილამურო ფედერაციის გენერალური სპონსორი ვართ. თუმცა ჩვენი მხრიდან სათხილამურო სპორტის მხარდაჭერა მხოლოდ ფინანსური წვლილით არ შემოიფარგლება: მრავალი წლის განმავლობაში ჩვენი ხელმძღვანელობა და ჩვენი დამფუძნებელი, გიორგი რამიშვილი, აქტიურად თანამშრომლობდნენ საქართველოს მთავრობასთან ამ სპორტის ქვეყანასა და მსოფლიოში პოპულარიზაციისთვის. აღნიშნული ძალისხმევის შედეგად, საქართველო 2023 წლის თავისუფალი სტილის და სნოუბორდით სრიალის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყნად იქნა არჩეული.

„სილქნეტის“ მხარდაჭერით, საქართველოს ეროვნულ გუნდს ყოველწლიურად ეძლევა უნიკალური შესაძლებლობა, ივარჯიშოს მსოფლიოს საუკეთესო სათხილამურო კურორტებზე, მაგალითად, ავსტრიაში. შედეგად, ქართველი მოთხილამურე სპორტსმენების საერთაშორისო კონკურსებში ასპარეზობისას უკვე არაერთი წარმატების ისტორია გვაქვს.



დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი (სხვა)

„დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდის“ შექმნით, ჩვენ გავხდით პირველი კერძო საწარმო საქართველოში, რომელიც დაჭრილი ვეტერანების საზოგადოებაში ინტეგრაციას უწყობს ხელს და მათ აძლევს იმ პატივისცემასა და აღიარებას, რომელსაც ისინი იმსახურებენ.

„სილქნეტისა“ და საზოგადოებრივი შემოწირულობების დაფინანსებით, WWSF-ი მიზნად ისახავს იმ ჯარისკაცების მხარდაჭერას, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომებში მონაწილეობდნენ და, ასევე, მათი, ვინც საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მსახურობდნენ. ის აგრეთვე ზრუნავს დაჭრილ მებრძოლთა ჯანმრთელობაზე, უმაღლესი განათლების მიღებასა და პროფესიულ გადამზადებაზე და ეხმარება მათ არასრულწლოვან ბავშვებს.



ჩვენი სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აქტიურად არიან ჩართულნი ფონდის მართვაში.



Forbes Georgia-მ სილქნეტი „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდის“ დაარსებისთვის 2018 წლის „Forbes Social Impact“ ჯილდოს გამარჯვებულად დაასახელა.



სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტიპენდიები (განათლება)

2018 წელს ჩვენ გავაფორმეთ ხელშეკრულება სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან, საუკეთესო ქართველი სტუდენტებისთვის სტიპენდიების გადაცემის თაობაზე, რომლებიც ელექტრონული ინჟინერიის, კომპიუტერული ინჟინერიისა და ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამებზე სწავლობენ. ამ პროგრამის ფარგლებში, ჩვენ უნივერსიტეტის მიერ შერჩეულ 3-6 სტუდენტს, ვაწვდით მათ საჭიროებებზე მორგებულ, ნაწილობრივ ან სრულ დაფინანსებას.





„შემოდგომის ლეგენდა“ (განათლება, კულტურა)

„შემოდგომის ლეგენდა“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „სილქნეტის“ ერთობლივი პროექტი - ყოველწლიური სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი, რომლის მიზანია ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლების აღმოჩენა და მათი განვითარების ხელშეწყობა. კონკურსში მონაწილეობის მიღება უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს შეუძლია მთელი ქვეყნიდან, ბოლოს კი ათი გამარჯვებული რომანი წიგნად გამოიცემა.

კონკურსი წარმატებით სარგებლობს ქართულ სალიტერატურო წრეებში და მრავალ ახალგაზრდა ქართველ მწერალს გაუხსნა გზა წარმატებისკენ.

2020 წელს, COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე, პროექტი ნაწილობრივ ონლაინ ჩატარდა.







რისკის მართვა

მმართველი გუნდი (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „მმართველობითი სტრუქტურა“), სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად, აკონტროლებს ჩვენი რისკების მართვას.

შიდა კონტროლისა და სტანდარტიზაციის განყოფილება აკონტროლებს ჩვენს ბიზნესპროცესებს. ეს განყოფილება ნაწილობრივ ახორციელებს შიდა აუდიტის ფუნქციას. ნებისმიერი პრობლემის შესახებ ხდება ხელმძღვანელობის შეტყობინება.

ამასთანავე, „სილქნეტის“ თითოეული განყოფილება პასუხისმგებელია საკუთარ სფეროში რისკების მართვაზე, მაგალითად, ხაზინა, აბონენტთა მომსახურება და ა.შ.

ჩვენ მუდმივად ვცდილობთ, რისკების გამოვლენისა და მართვის პროცესები გავაუმჯობესოთ.

ძირითადი რისკები

ჩვენ ვდგავართ რამდენიმე ძირითადი რისკისა და გაურკვევლობის წინაშე, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ ჩვენს ოპერაციებზე, შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ჩვენ მუდმივად ვაუმჯობესებთ პროცესებს, რათა თავიდან ავიცილოთ რისკების მატერიალიზაცია ან, თუ მათი თავიდან აცილება შეუძლებელია, ვიღებთ ზომებს მათი გავლენის მინიმუმამდე შესამცირებლად.

სტრატეგიული

მაკროეკონომიკური	
აღწერა	**როგორ ვმართავთ/ვამცირებთ რისკს**
▶ ჩვენი საქმიანობა, ძირითადად, საქართველოში ხორციელდება და, შედეგად, ჩვენზე არსებითად ზემოქმედებს საქართველოში მიმდინარე ან მასზე გავლენის მქონე პოლიტიკური, ფინანსური და ეკონომიკური მოვლენები. რთულმა გლობალურმა ეკონომიკურმა პირობებმა, რეგიონულმა დაძაბულობამ და მეზობელ ბაზრებზე მომხდარმა მოვლენებმა შეიძლება, უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე.	▶ ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით მაკროეკონომიკურ მოვლენებს და სხვა ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ ჩვენს ბიზნესზე და ვიღებთ ზომებს პოტენციური უარყოფითი გავლენის მინიმუმამდე შესამცირებლად. დამატებითი ანალიზისთვის იხილეთ „ბაზრის მიმოხილვა“.
▶ ისეთმა ფაქტორებმა, როგორებიცაა მშპ, ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და ვალუტის გაცვლითი კურსი, უმუშევრობის დონე, პირადი შემოსავალი, ტურისტული საქმიანობა და კორპორაციების ფინანსური მდგომარეობა, შეიძლება, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ ჩვენს პროდუქტებსა და მომსახურებაზე არსებულ მოთხოვნაზე. საქართველოს ეკონომიკის ზრდის შენელებამ შეიძლება, უარყოფითი გავლენა იქონიოს ჩვენს შემოსავლებსა და მოგებაზე.	

მოთხოვნა	
აღწერა	**როგორ ვმართავთ/ვამცირებთ რისკს**
▶ ბაზარზე გრძელდება ინტერნეტთან დაკავშირებული კომუნიკაციების გამოყენების ზრდის ტენდენცია, რაც გავლენას ახდენს ტრადიციულ სატელეკომუნიკაციო შემოსავლის წყაროებზე, როგორიც არის ფიქსირებული და მობილური ხმოვანი მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი. ჩვენ შეიძლება მნიშვნელოვან დაბრკოლებებთან გამკლავება მოგვიხდეს სატელეკომუნიკაციო ბაზრის ფიქსირებული და მობილური ხმოვანი მომსახურებისგან კიდევ უფრო დაშორების პარალალურად.	▶ ჩვენ მუდმივად ვავითარებთ ჩვენს ტექნოლოგიურ პლატფორმებს, რათა კლიენტებს მივცეთ წვდომა კონტენტზე სახლის მოწყობილობების საშუალებით, ასევე, ინტერნეტისა და მობილური აპლიკაციების მეშვეობით.
▶ ჩვენი შემოსავალი და აბონენტთა რაოდენობა ნაწილობრივ დამოკიდებულია ჩვენს IPTV შეთავაზებაზე, რომელზე მოთხოვნაც შეიძლება შემცირდეს ტელევიზორის მაყურებელთა რაოდენობის შემცირების შემთხვევაში. მსგავსი ტენდენციები დაფიქსირდა რამდენიმე განვითარებულ ქვეყანაში: იცვლება ზოგიერთი მომხმარებლების, ძირითადად ახალგაზრდების, ვიდეო კონტენტის მოხმარების ჩვევები. უფრო მეტია ალბათობა იმისა, რომ მათ კონტენტზე წვდომა სხვა მოწყობილობების საშუალებით მიიღონ, მაგალითად მობილური ტელეფონების ან ნოუთბუქების საშუალებით, მათ შორის კონტენტი მოთხოვნით, მოკლე ფორმატის კონტენტი და მომხმარებლების მიერ გენერირებული კონტენტი. მსგავსი ვიდეოკონტენტი მიეწოდება მომხმარებლებს ძირითადად სოციალური ქსელების და ე.წ. OTT (Over-The-Top) მომსახურების საშუალებით (მაგალითად, YouTube, Facebook-ი, Netflix-ი და Amazon Prime-ი).	▶ ჩვენ ორიენტირებული ვართ მობილური ინტერნეტით მომხმარებლის კმაყოფილების გაზრდასა და ექსკლუზიური კონტენტის მიწოდებაზე, რათა ხელი შევუწყოთ ზრდას აღნიშნულ სეგმენტში და მოვერგოთ კონტენტის მოხმარების ჩვევებში ცვლილებებს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „ჩვენი ბიზნესმოდელი და სტრატეგია“ და „სატელეკომუნიკაციო სექტორის მიმოხილვა“.

კონკურენცია

აღწერა	როგორ ვმართავთ/ვამცირებთ რისკს
▶ ბოლო წლების განმავლობაში კონკურენცია გამძაფრდა და ჩვენს შედეგებზე შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კონკურენტების ქმედებებმა, სხვადასხვა მიზეზების გამო, მათ შორისაა: (i) უფრო დაბალი ფასები ან უფრო მაღალი ხარისხის მომსახურება, მახასიათებლები ან კონტენტი; (ii) ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტებისა და მომსახურების უფრო სწრაფი განვითარება და განთავსება; (iii) მათი ქსელების უფრო სწრაფი გაფართოება ან (iv) MVNO-ები, რომლებიც წარმატებით აერთიანებენ თავიანთ მომსახურებას არასატელეკომუნიკაციო მომსახურებასთან, რომელიც არ მიეკუთვნება სატელეკომუნიკაციო სექტორს (MVNO-ებთან დაკავშირებით მარეგულირებელი ცვლილებების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „მარეგულირებელი კანონმდებლობა“).	▶ ჩვენ ვაგრძელებთ მომხმარებლებისთვის ღირებული და მიმზიდველი პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდებას. ▶ ჩვენი სტრატეგია ორიენტირებულია ჩვენი ქსელის, შეთავაზებების გაუმჯობესებაზე და ტექნოლოგიების განვითარებაზე, პროდუქტის უკეთესი განვითარებისათვის და ბაზარზე მოქნილობის დროის შესამცირებლად. ▶ ჩვენ ვაპირებთ, ყურადღებით დავაკვირდეთ MVNO–ს პოტენციურ საქმიანობას და მოვამზადოთ საბითუმო შეთავაზებები, რომლებიც ღირებულების ზრდას შეუწყობს ხელს.

მარეგულირებელი

აღწერა	როგორ ვმართავთ/ვამცირებთ რისკს
▶ მარეგულირებელ კანონმდებლობასა და პოლიტიკაში ცვლილებებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ჩვენს ბიზნესზე. დაბრკოლებები შეიძლება წარმოიშვას საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ვალდებულებებთან დაკავშირებით, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნის შესახებ შეთანხმების („DCFTA“) კუთხით. აღნიშნული ცვლილებების შედეგად, მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობისთვის შეიძლება დაგვჭირდეს ჩვენი პოლიტიკისა და პროცედურების განახლება შესაბამისი ხარჯების გაწევით. ამასთანავე, განახლებული პროცედურების შესრულების მონიტორინგს შესაძლებელია, დამატებითი ხარჯების გაწევა დასჭირდეს, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ჩვენს მოგებიანობაზე. ▶ საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში ცვლილებებმა შეიძლება გაზარდოს კონკურენცია, დააწესოს შეზღუდვები და შეაფერხოს ჩვენი ზრდა და ასევე დაუქვემდებაროს ჩვენი ზრდის გეგმები ანტიმონოპოლიურ თუ სხვა კვლევას და სამართლებრივ პროცესებს.	▶ ჩვენ აქტიურად ვაკვირდებით პოტენციურ ცვლილებებს რეგულაციებში და ვიღებთ ზომებს ჩვენს ბიზნესზე პოტენციური გავლენის სამართავად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სექცია „მარეგულირებელი კანონმდებლობა“.

ფინანსური

დაფინანსების ხელმისაწვდომობა კაპიტალური ინვესტიციებისთვის	
აღწერა	**როგორ ვმართავთ/ვამცირებთ**
▶ ჩვენი ბიზნესი მოითხოვს მნიშვნელოვან კაპიტალურ ინვესტიციებს, ჩვენი ქსელის მუდმივი გაუმჯობესებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად კომპანიის შიგნით გენერირებული ფულადი ნაკადების გამოყენებას ვგეგმავთ, მომავალში შეიძლება დამატებითი დაფინანსება დაგვჭირდეს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ტრანსფორმაციული შესყიდვა იქნება განხილული (2018 წელს „ჯეოსელის“ შესყიდვის მსგავსი). ამასთანავე, დიდი ალბათობაა იმისა, რომ ჩვენ შეიძლება დაგვჭირდეს ჩვენი არსებული სასესხო ინსტრუმენტების რეფინანსირება მათი დაფარვის ვადის დადგომისას.	▶ ჩვენი წინდახედული ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა და დაფინანსების მრავალფეროვან წყაროებზე წვდომის შენარჩუნებაზე ორიენტირებულობა ამ დაბრკოლებების შემსუბუქებაზეა მიმართული. ▶ ჩვენ აქტიურად ვურთიერთობთ სასესხო კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებთან და დროდადრო ვაფასებთ ჩვენი დაფინანსების წყაროების გაუმჯობესებისა და შემდგომი დივერსიფიცირებისთვის ხელმისაწვდომი სხვადასხვა შესაძლებლობის გამოყენების ვარიანტებს.
▶ თუმცა მსგავსი კაპიტალის წყაროები შეიძლება არ იყოს ჩვენთვის ხელმისაწვდომი კომერციულად გონივრული პირობებით. ჩვენი გარე დაფინანსების მოზიდვის უნარი და მსგავსი დაფინანსების ხარჯი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის, ჩვენს მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე, ზოგადი ეკონომიკური და კაპიტალის ბაზრების პირობებზე, საპროცენტო განაკვეთებზე, ბანკებისა და სხვა მსესხებლებისგან საკრედიტო ხელმისაწვდომობაზე, ინვესტორების ნდობაზე, შესაბამის საგადასახადო და ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობაზე, და საქართველოში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე.	

სავალუტო	
აღწერა	**როგორ ვმართავთ/ვამცირებთ რისკს**
▶ ჩვენი შემოსავლები, ძირითადად, დენომინირებულია ლარში, მაშინ როდესაც ჩვენი სესხის არსებითი ნაწილი დენომინირებულია აშშ დოლარში. ამასთანავე, ჩვენ კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯების არსებით ნაწილს გავწევთ აშშ დოლარსა ან ევროში, შესაბამისად. უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებებმა შეიძლება არსებითი გავლენა იქონიონ ჩვენი საოპერაციო საქმიანობის შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე მომავალ პერიოდებში, რადგან ჰეჯირების ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობა საქართველოში შეზღუდულია.	▶ ჩვენ ვიყენებთ ჰეჯირების სხვადასხვა სტრატეგიას, რომელიც საქართველოს ბაზარზე ხელმისაწვდომობისა და ფასის მიხედვით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „ფინანსური შედეგები“.

საოპერაციო

მომსახურების შეწყვეტა და მიწოდების ჯაჭვი	
აღწერა	**როგორ ვმართავთ/ვამცირებთ რისკს**
▶ ჩვენი მომსახურება ქსელების, ტექნიკური აღჭურვილობისა და მომწოდებლების გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული. ▶ ამასთანავე, ჩვენი ტექნიკური ინფრასტრუქტურა მგრძნობიარეა საომარი მოქმედებებით, ტერორიზმით, განზრახი დანაშაულით, ადამიანური შეცდომებითა და მსგავსი მოვლენებით გამოწვეული დაზიანების და შეფერხების მიმართ. ჩვენს ობიექტებში გაუთვალისწინებელმა პრობლემებმა, სისტემის გაუმართაობამ, აპარატურის ან პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობამ, კომპიუტერულმა ვირუსებმა ან ჰაკერულმა შეტევებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ჩვენი მომსახურების ხარისხზე და გამოიწვიოს მომსახურების შეფერხება. ▶ ჩვენ დიდწილად დამოკიდებული ვართ შეზღუდული რაოდენობის ტექნიკური აღჭურვილობისა და მომსახურების მომწოდებელთა გამართულ მუშაობაზე (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „ოპერაციები და მნიშვნელოვანი მომწოდებლები“). კომერციული პირობების გაუარესებამ ან მომწოდებლების მხრიდან შესაბამისი აღჭურვილობისა ან მომსახურების დროულად მოწოდების შეფერხებამ შეიძლება ჩვენი მომსახურების შეფერხება გამოიწვიოს. ▶ „სილქნეტს“ არ აქვს მონაცემთა აღდგენის დისტანციური ცენტრი. ჩვენი კომპიუტერული ან საინფორმაციო სისტემების შეფერხების ან დაკარგვის შემთხვევამ შეიძლება გამოიწვიოს ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობის შეფერხება, შემოსავლისა და აბონენტების დაკარგვა, ან ზიანი მიაყენოს ჩვენს ბრენდს.	▶ ჩვენ დიდ ინვესტიციებს ვდებთ ჩვენს ქსელში და მივიღეთ ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ გაუმართაობის შემთხვევაში იგი ჩვეულებრივ განაგრძობდეს ფუნქციონირებას. ▶ ჩვენ ვცდილობთ, შევინარჩუნოთ ეფექტური ალტერნატივები ქსელის დაგეგმვასა და აღჭურვილობის შეძენაში, კომერციული და ტექნიკური რისკების შესამცირებლად. ▶ ჩვენ ვგეგმავთ მონაცემთა აღდგენის ცენტრის საკითხის მოგვარებას მოკლე ან საშუალოვადიან პერიოდში.

პროდუქტის გაუმჯობესება

აღწერა	როგორ ვმართავთ/ვამცირებთ რისკს
▶ უკანასკნელ წლებში მრავალპროდუქტიანი პაკეტები სულ უფრო პოპულარული ხდება მომხმარებელთა შორის საქართველოში. გაერთიანებული პროდუქტების შეთავაზება შეიძლება რთული იყოს ტექნოლოგიური, ლოგისტიკური და ფასის პრობლემების გამო, რაც ორი ან მეტი მომსახურების კონკურენტუნარიან ფასად ერთიან შეთავაზებად გაერთიანებას უკავშირდება.	▶ ჩვენი სტრატეგია ახალი და გაუმჯობესებული პროდუქტის შეთავაზებაზეა ორიენტირებული.
▶ მომავალში მიმზიდველი ახალი გაერთიანებული პროდუქტების შეთავაზების ან მსგავსი შეთავაზებების წარმატებული მარკეტინგის უუნარობამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ჩვენს შესაძლებლობაზე, გამოვიყენოთ ჩვენი პლატფორმა „multi-play“ კლიენტების მოზიდვისა და შენარჩუნებისთვის.	▶ ჩვენ ვატარებთ ბაზრის კვლევას პოტენციური მოთხოვნის შესწავლისა და ახალი პროდუქტების ფასების განსაზღვრის მიზნით.
▶ ჩვენ განუწყვეტლივ ვავითარებთ ახალ პროდუქტებსა და მომსახურებას. ჩვენი პროდუქტებისა და მომსახურების უმეტესობა ტექნოლოგიურად ინტენსიურია და, შედეგად, შეიძლება მოითხოვოს ინვესტიციები ახალ ინფრასტრუქტურასა და ტექნოლოგიებში იმისათვის, რომ კონკურენტუნარიანი დარჩეს. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ახალი პროდუქტებისა და მომსახურების დროულად და მიმზიდველ ფასად განვითარებას, ჩვენ შეიძლება დავკარგოთ არსებული კლიენტები, ვერ მოვიზიდოთ ახალი მომხმარებლები ან მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევა მოგვიწიოს.	

ტალანტების მოზიდვა და შენარჩუნება

აღწერა	როგორ ვმართავთ/ვამცირებთ რისკს
▶ სატელეკომუნიკაციო ინდუსტრიაში დიდი მოთხოვნაა გამოცდილ და მცოდნე პერსონალზე და სამუშაო ბაზარზე მზარდია კონკურენცია ტალანტების მოზიდვის მხრივ. კვალიფიციური და გამოცდილი მენეჯერების, ინჟინრებისა და სხვა კვალიფიციური პერსონალის შენარჩუნების და მოზიდვის შეუძლებლობამ შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა იქონიოს ჩვენს ბიზნესსაქმიანობაზე.	▶ ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი საკადრო პროცესების დახვეწას, მათ შორის, სამუშაოდ აყვანის, პროფესიული განვითარებისა და ტალანტების შენარჩუნების თვალსაზრისით.


კორპორაციული მართვა

ჩვენი კორპორაციული სტრუქტურა

2020 წლის აგვისტოში Prometheus Holding Limited-ის („სილქ როუდ ჯგუფის“ („SRG“) მფლობელი კომპანია) 38.2% წილის შესყიდვის შემდეგ იერკინ ტატიშევი გახდა „სილქნეტის“ ბენეფიციარი აქციონერი 36.3%-იანი კაპიტალის წილის არაპირდაპირი მფლობელობით „სილქნეტში“. იერკინ ტატიშევი არის Kusto Group-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და დამფუძნებელი. Kusto Group-ი (www.kustogroup.com) არის სინგაპურში დაფუძნებული ინდუსტრიული ჰოლდინგი 1.5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი წლიური ბრუნვით. იერკინ ტატიშევი დიდი ხნის განმავლობაში ახორციელებდა ინვესტიციებს საქართველოში სხვადასხვა პროექტში SRG-სთან ერთად. იერკინ ტატიშევი კაპიტალის საკუთარ წილს „სილქნეტში“ გრძელვადიან ფინანსურ ინვესტიციად მიიჩნევს. აღნიშნული აქციონერული ცვლილება გავლენას არ იქონიებს „სილქნეტის“ სტრატეგიაზე და სამეთვალყურეო საბჭოს ან აღმასრულებელი მენეჯმენტის დონეზე ცვლილებები არ არის მოსალოდნელი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს „სილქნეტის“ განახლებულ კორპორაციულ სტრუქტურას.

საბოლოო ბენეფიციარი აქციონერები



შენიშვნა: ზემოთ მოცემული კორპორაციული სტრუქტურა არ მოიცავს ყველა შუალედურ ჰოლდინგურ საწარმოს

ძლიერი აქციონერი

ჩვენ SRG-ს ნაწილს წარმოვადგენთ, ერთ-ერთი წამყვანი კერძო საინვესტიციო ჯგუფის, რომელიც კავკასიის რეგიონში მოქმედებს, წილებით საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში და 1.2 მილიარდ ლარზე მეტი აქტივებით, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. SRG-ს საქმიანობა ოთხ ძირითად სექტორს მოიცავს. ესენია:

- ტრანსპორტირება: საქართველოს აკავშირებს ცენტრალურ აზიასთან ინფრასტრუქტურაზე, ტერმინალებზე, სარკინიგზო ცისტერნებსა და კონტეინერებზე წვდომის საშუალებით;
- სატელეკომუნიკაციო და ფინანსური მომსახურება: „სილქნეტი“ და „სილქ როუდ ბანკი“, რომლებმაც შეიძლება, ერთობლივი ფინანსური მომსახურება შესთავაზონ „სილქნეტის“ აბონენტებს მომავალში;
- უძრავი ქონება, მასპინძლობა და გართობა: უძრავი ქონების პორტფელი (რომელიც შედგება განვითარებული და განუვითარებელი საკუთრებისა და მიწებისგან) და 10-წლიანი გამოცდილება მასპინძლობისა და გართობის სექტორში (სასტუმროები, რესტორნები, კაზინოები, კლუბები, სპორტული ცენტრები და ა.შ.);
- ენერგეტიკა: მდინარეზე აშენებული ჰიდრო-ელექტროსადგურის მართვა, რომლის დადგმული სიმძლავრეა 9.8 მეგავატი.

ჩვენი გზა გამჭირვალობისკენ და კორპორაციული მმართველობის განვითარებისკენ

საიმედო კორპორაციული მართვა ჩვენი ბიზნესმოდელისა და სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ჩვენ მნიშვნელოვნად გავიზარდეთ და განვვითარდით უკანასკნელ წლებში და, ამასთან ერთად, ჩვენი მიდგომა კორპორაციული მმართველობის მიმართ უმჯობესდებოდა.

ჩვენ ჯერ კიდევ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი, მაგრამ განუწყვეტლივ ვცდილობთ, გავაუმჯობესოთ ჩვენი ხელმძღვანელობისა და მართვის სისტემების ეფექტურობა, საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. აღნიშნულის მხარდასაჭერად ჩვენ სხვადასხვა შიდა რეგულაცია მივიღეთ, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და აღრიცხვისუნარიანობას და არეგულირებს ურთიერთობებს აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოს, ხელმძღვანელობასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის.

2019: მივიღეთ კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო მითითებები („მმართველობის სახელმძღვანელო მითითებები“), რომლებიც მიზნად ისახავს კომპანიის მართვის საკითხებზე სახელმძღვანელო მითითებების უზრუნველყოფას და აუდიტის კომიტეტისა და შესაბამისობის კომიტეტის შექმნას, „სილქნეტის“ სამეთვალყურეო საბჭოს ქვეორგანოების სახით.

2020: გამოვუშვით პირველი წლიური ანგარიში



2019: გამოვუშვით ევრობლიგაციები და მივიღეთ პირველი რეიტინგი „Moody's“-სგან.

2017: გამოვუშვით პირველი ობლიგაცია საქართველოში. დავნიშნეთ ტედ ჯონასი, საერთაშორისო იურიდიული ფირმა Dentons-ის გამოცდილი იურისტი, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად.

2016: მივიღეთ პირველი რეიტინგი „Fitch“-ისგან.

ჩვენი წესდება და საქართველოს კანონი სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობასა და პასუხისმგებლობებთან დაკავშირებულ გარკვეულ საკითხებს განიხილავს. ჩვენი მმართველობითი სახელმძღვანელო მითითებები წესდებისა და საქართველოს კანონის მოთხოვნების სრულყოფას ისახავს მიზნად, რათა „სილქნეტის“ კორპორაციული მართვა უფრო მეტად მოვიდეს შესაბამისობაში საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებთან და, ამავდროულად, არ მოვიდეს წინააღმდეგობაში ადგილობრივი კანონის სავალდებულო დებულებებთან.

კულტურა და ფასეულობები

ჩვენ გვაქვს „პასუხისმგებლიანი ბიზნესქცევის კოდექსი“ („ქცევის კოდექსი“), რომელიც ეთიკური ქცევის ჩვენს სტანდარტებს განსაზღვრავს და განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ინტერესთა კონფლიქტი, პასუხისმგებლიანი შესყიდვები, ფულის გათეთრება, მექრთამეობის საწინააღმდეგო ზომები, კორუფცია და ა.შ. ჩვენი ყველა თანამშრომელი უნდა დაემორჩილოს ქცევის კოდექსს.

„სილქნეტის“ ნებისმიერმა თანამშრომელმა, რომელიც „ქცევის კოდექსის“ დარღვევის შესახებ ეჭვობს, უნდა შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მის უშუალო მენეჯერს (გარდა შემთხვევებისა, როდესაც უშუალო მენეჯერი არის პირი, რომელიც ეჭვმიტანილია დარღვევაში; ამ შემთხვევაში თანამშრომელმა უნდა შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მის ზემდგომ მენეჯერს) და ეთიკისა და შესაბამისობის („E&C“) ოფიცერს.

კომპანია E&C პოლიტიკებისა და ინსტრუქციების სრული ნაკრების შემუშავების, დახვეწისა და დანერგვის პროცესშია. პოლიტიკები და ინსტრუქციები შედგენილია E&C ოფიცრის მიერ, გადაიხედება სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის მიერ და საბოლოო მიღებამდე დაზუსტებულია უშუალო მენეჯერებთან. ჩვენ ასევე გვაქვს „მომწოდებელთა ქცევის კოდექსი“, რომელიც ასევე დაფუძნებულია E&C-ის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია ჩვენს ვებგვერდზე. ჩვენ ვადგენთ ჩვენს „მომწოდებელთა ქცევის კოდექსთან“ შესაბამისობას ყველა ჩვენი მომწოდებლის ხელშეკრულებისთვის.

ინტერესთა კონფლიქტი

გარდა ქვემოთ მითითებული შემთხვევებისა, არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი სამეთვალყურეო საბჭოს ან აღმასრულებელი ხელმძღვანელობის მოვალეობებსა და მათ შესაბამის პირად ინტერესებსა ან სხვა მოვალეობებს შორის.

გიორგი რამიშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ალექსი თოფურია და დევიდ ფრანც ბორგერი, რომლებიც არიან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, არიან „სილქნეტის“ საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეები და მათ აქვთ უფლება, გავლენა მოახდინონ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებზე.

ინფორმაციის გამჟღავნება და გამჭვირვალობა

ჩვენ გვჯერა, რომ ინფორმაციის დროული და ადეკვატური გამჟღავნება აუმჯობესებს ჩვენს დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გამჭვირვალობას და კარგი მმართველობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. შედეგად, ჩვენ რეგულარულად გამოვცემთ საკომუნიკაციო დოკუმენტებს ჩვენი ინვესტორებისთვის, ისევე როგორც ყოველკვარტალურ განახლებებსა და პრეზენტაციებს.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მიმდინარე ბიზნესსაქმიანობის ფარგლებში კომპანიას უწევს დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების დადება.

ჩვენს წესდებაში მოცემულია გარკვეული შეზღუდვები დაკავშირებულ მხარეებთან დადებულ გარიგებებთან დაკავშირებით. მაგალითად,

ნებისმიერი დაკავშირებული მხარის გარიგება, რომლის ღირებულება 1 მილიონ ლარს აჭარბებს, ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარ დამტკიცებას, ხოლო თუ დაკავშირებული მხარის გარიგების ღირებულება აღემატება 5 მილიონ ლარს, მაშინ სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მოიპოვოს დამოუკიდებელი შემფასებლის დასკვნა იმის შესახებ, რომ მსგავსი დაკავშირებული მხარის გარიგება არ არის ჯგუფისთვის საზიანო, ფინანსური თვალსაზრისით.

დაკავშირებული მხარის გარიგებების შესახებ საწესდებო დებულებებთან ერთად, სამეთვალყურეო საბჭომ მიიღო დაკავშირებული მხარის პოლიტიკა, რომელიც გარიგებების საბაზრო პირობებზე განხორციელებას ისახავს მიზნად. პოლიტიკა შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების, აგრეთვე, ფასს-ის მოთხოვნებს.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, „სილქნეტი“ „ანგარიშვალდებულ საწარმოს“ წარმოადგენს. ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი ადგენს გარკვეულ მოთხოვნებს იმ გარიგებების დამტკიცებისა და გამჭვირვალობის შესახებ, რომლებშიც ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოების წევრები ან მისი აქციების 20%-ის ან მეტის პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელები განიხილებიან, როგორც დაინტერესებული მხარეები. მსგავსი შემთხვევები განისაზღვრება კანონში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 25-ე შენიშვნაში.

ევროობლიგაციები და კომპანიის მიერ გამოშვებული სხვა ფინანსური ინსტრუმენტები ასევე ექვემდებარება კოვენანტებს დაკავშირებულ მხარეებთან დადებულ გარიგებებთან მიმართებაში. კომპანიამ არ უნდა დადოს გარიგება დაკავშირებულ მხარესთან გარიგების სამართლიან საბაზრო ღირებულებაზე მეტად ხელსაყრელ პირობებზე. თუ გარიგება მოიცავს ჯამური აქტივების 5%-ზე მეტ გადახდებს ან ღირებულებას, ჩვენ ვალდებული ვართ, მივიღოთ წერილობითი დასკვნა აუდიტორული კომპანიისგან ან მესამე მხარის ექსპერტისგან იმის შესახებ, რომ მსგავსი გარიგება არის დადებული სამართლიანი საბაზრო ღირებულებით და არის სამართლიანი ფინანსური თვალსაზრისით.

მმართველობითი სტრუქტურა

ჩვენი მმართველობითი და ხელმძღვანელობის სისტემის სტრუქტურა შემდეგნაირია:



სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო ამჟამად მხოლოდ არააღმასრულებელი წევრებისგან შედგება.

წევრები 31 დეკემბრის მდგომარეობით:

გიორგი რამიშვილი – თავმჯდომარე
ალექსი თოფურია – წევრი დევიდ ფრანც ბორგერი – წევრი
მამუკა შურღაია – წევრი
ვასილ კენკიშვილი – თავმჯდომარის მოადგილე
ტედ ჯონასი – დამოუკიდებელი წევრი

ძირითადი მოვალეობები

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია შემდეგზე:

- „სილქნეტის“ სტრატეგიისა და სამომავლო გეგმების განსაზღვრა;
- გენერალური დირექტორის დანიშვნა და ზედამხედველობა;
- კომპანიის კვარტალური და წლიური შედეგების, კომპანიის მოგების განაწილებისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიმოხილვა და შედეგების აქციონერთა საერთო კრებისთვის წარდგენა;
- კომპანიის შიდა კონტროლისა და ხელმძღვანელობის ეფექტურობის მიმოხილვა და შედეგების აქციონერთა საერთო კრებისთვის წარდგენა;
- რისკების მართვის პოლიტიკებისა და სისტემების ეფექტურობის უზრუნველყოფა;
- კორპორაციული მართვის ზედამხედველობა, გაუმჯობესება და კონტროლი;
- საქართველოს კანონმდებლობით და ჩვენი წესდებით განსაზღვრული სხვა უფლებები და მოვალეობები. წესდება იხილეთ ჩვენს ვებგვერდზე silknet.com.

სამეთვალყურეო საბჭო მიზნად ისახავს გრძელვადიან სტრატეგიასა და მოკლევადიან შესასრულებელ საკითხებს შორის ბალანსის მიღწევას.

დანიშვნა, საქმიანობა და შეფასება

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შერჩევა ხდება 5 წლის ვადით, აქციონერთა საერთო კრებაზე დამსწრე და ხმის მიმცემი აქციონერების 50% -ზე მეტით.

საბჭოს წევრები უნდა იყვნენ სხვადასხვა ბიზნეს და პროფესიულ სფეროში გამოცდილების მქონე პირები, რომლებსაც აქვთ უდავო მაღალი ეთიკური სტანდარტები, პროფესიული მიღწევები, ცოდნა და გამოცდილება.

ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ საბჭოს წევრთა უფლებამოსილებების ვადის შეზღუდვა (გარდა წესდებით განსაზღვრული შემთხვევებისა) არის სავალდებულო ან იქნებოდა კომპანიის ინტერესებში მიმდინარე პერიოდში, რადგან მსგავსმა შეზღუდვებმა შეიძლება ხელი შეუშალოს საბჭოს წევრებს იმ ცოდნისა და გამოცდილების ჩამოყალიბებაში, რომელიც სამსახურის ვადას უკავშირდება. თუმცა საბჭო და შესაბამისობის კომიტეტი განაგრძობენ ამ საკითხის პერიოდულად განხილვას.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, ერთ დამოუკიდებელ წევრს, თუ იგი წარმოადგენს ანგარიშვალდებულ საწარმოს, როგორც ამას განსაზღვრავს საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ.

შესაბამისობის კომიტეტი შეიმუშავებს თვითშეფასების კითხვარს, რომელიც უნდა შეავსოს სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრმა და ყოველწლიურად გააკონტროლებს საბჭოს და კომიტეტის თვითშეფასებას, რათა დაადგინოს, თუ რამდენად ეფექტურად ფუნქციონირებენ საბჭო და მისი კომიტეტები. თვითშეფასება უნდა იყოს ორიენტირებული იმ წვლილზე, რომელიც საბჭომ და მისმა კომიტეტებმა შეიტანეს კომპანიაში, და განსაკუთრებით იმ სფეროებზე, რომლებსაც, საბჭოს ან მისი კომიტეტის აზრით, გაუმჯობესება სჭირდება.

აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან შედგება, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც არის დამოუკიდებელი წევრი. აუდიტის კომიტეტის საქმიანობა რეგულირდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი კომიტეტის რეგულაციებით. 2020 წლიდან შიდა აუდიტი აუდიტის კომიტეტს დაქვემდებარებაში შევიდა.

წევრები

ტედ ჯონასი – დამოუკიდებელი წევრი/თავმჯდომარე
მამუკა შურღაია – წევრი
დევიდ ფრანც ბორგერი – წევრი
ვასილ კენკიშვილი – წევრი

პასუხისმგებლობები და საქმიანობა

აუდიტის კომიტეტის ფუნქციები და მოვალეობები განისაზღვრება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონით და „მეწარმეთა შესახებ“ კანონით.

შიდა კონტროლი

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია შიდა კონტროლის სისტემების შესაბამისობაზე. აუდიტის კომიტეტი უზრუნველყოფს ჯგუფის შიდა კონტროლის სისტემის ფუნქციონირებას, მის ობიექტურობასა და სიზუსტეს.

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები

- ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკები, ძირითადი შეფასებები და მსჯელობები, მათ შორის, ფასს 16-ზე გადასვლა;
- ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების შესაბამისობა, როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი;
- ნორმატიული ფინანსური ანგარიშგება.

გარე აუდიტი

- დამოუკიდებლობა და ობიექტურობა;
- აუდიტორული და არააუდიტორული საფასური;
- ეფექტურობა;
- ძირითადი აუდიტორული საკითხები და გამოვლენილი კონტროლის ხარვეზები.

შესაბამისობის კომიტეტი

პასუხისმგებლობები და საქმიანობა

- ჯგუფის მმართველობის გაუმჯობესების შესახებ რეკომენდაციების გაცემა და მათი სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერებისთვის წარდგენა;
- ეთიკისა და შესაბამისობის პროგრამის

„სილქნეტში“ დანერგვის შესახებ რეკომენდაციების მომზადება და პროგრამის შესრულების მონიტორინგი.

წევრები

ტედ ჯონასი – დამოუკიდებელი წევრი/თავმჯდომარე
დევიდ ფრანც ბორგერი - წევრი
ვასილ კენკიშვილი – წევრი
ალექსი თოფურია – წევრი

ხელმძღვანელობა

პასუხისმგებლობები, დანიშვნა და შეფასება

გენერალური დირექტორი (CEO)

„სილქნეტის“ გენერალური დირექტორი უფლებამოსილია და პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მართვასა და კომპანიის წარმომადგენლობაზე, კომპანიის აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი სტრატეგიისა და გეგმის შესრულების ხელმძღვანელობასა და წარმართვაზე.

გენერალურ დირექტორს ნიშნავს და აფასებს სამეთვალყურეო საბჭო და იგი მართავს კომპანიის საქმიანობას მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით, კომპანიის წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების შესაბამისად.

გენერალური დირექტორის მოადგილეები

გენერალური დირექტორის მოადგილეების უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის მიერ გაცემული ბრძანებით.

გენერალური დირექტორის მოადგილეებს ნიშნავს აღმასრულებელი დირექტორი, კონკრეტული დარგის მართვის მიზნით, გენერალური დირექტორის მიერ გაცემული ბრძანების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს „სილქნეტის“ გენერალური დირექტორის მოადგილეების კომპეტენციას, პასუხისმგებლობასა და საქმიანობის სფეროს.

გენერალური დირექტორის მოადგილეები ანგარიშს აბარებენ და ფასდებიან გენერალური დირექტორის მიერ.

ხელმძღვანელობა 2020 წლის 31 დეკემბრისთვის

დავით მამულაიშვილი, გენერალური დირექტორი
ლილი ფშავლიშვილი, ფინანსური დირექტორი
ლევან ბუჩუკური, სტრატეგიული განვითარების მიმართულების დირექტორი
ნუგზარ ჩინჩალაძე, კომერციული დირექტორი
ვერა დუდუჩავა, საოპერაციო მიმართულების დირექტორი
ირაკლი სიყმაშვილი, ტექნიკური დირექტორი, ფიქსირებული სერვისები
დავით ხეჩინაშვილი, ტექნიკური დირექტორი, მობილური სერვისები
შოთა ღვინიანიძე, ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დირექტორი
რუსუდან სვანი, აბონენტთა მომსახურების მიმართულების დირექტორი

სამეთვალყურეო საბჭოს და ხელმძღვანელობის ანაზღაურება

თავმჯდომარე ყოველწლიურად მიმოიხილავს და საბჭოს და კომპანიის აქციონერთა კრებას აძლევს რეკომენდაციას საბჭოს წევრების ანაზღაურებისა და სარგებლის ოდენობისა და ფორმის შესახებ. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს გენერალური დირექტორის ანაზღაურებას.

გენერალური დირექტორის მოადგილეების ანაზღაურების წესსა და პოლიტიკას გენერალური დირექტორი განსაზღვრავს, აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი კომპანიის სტრატეგიისა და გეგმის მიხედვით.

ჩვენი კორპორაციული მმართველობითი სტრუქტურის განვითარების ფარგლებში, ჩვენ ანაზღაურების პრაქტიკების გადახედვასა და გაუმჯობესებას ვგეგმავთ, რათა უკეთესად დავაკავშიროთ კომპანიის მოკლე და გრძელვადიანი მიზნები.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები



გიორგი რამიშვილი
თავმჯდომარე

გიორგი რამიშვილი არის „სილქნეტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და „სილქ როუდ ჯგუფის“ დამფუძნებელი, აქციონერი და თავმჯდომარე. გიორგი რამიშვილი ფლობს თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხარისხს ჰიდროტექნიკურ ინჟინერიაში (1984-1985) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს „ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში“ (1987-1992). გიორგი რამიშვილს აქვს ახალი კომპანიების გახსნისა და წარმატებით მართვის 25 წელზე მეტი გამოცდილება, ფართო სოციალური ქსელისა და კარგი ბიზნესმიდგომის გამოყენებით. მისი ინდუსტრიული უნარ-ჩვევები მოიცავს ტრანსპორტირებას, ვაჭრობას, უძრავ ქონებას, ტურიზმსა და ენერგეტიკას. გიორგი რამიშვილი რამდენიმე წლის განმავლობაში იყო საქართველოს სათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტი და დღემდე მხარს უჭერს საქართველოში ზამთრის სპორტის განვითარებას. იგი ასევე არის რამდენიმე სამხატვრო და კულტურული ორგანიზაციის საერთაშორისო საბჭოს და ლონდონის ფილარმონიული ორკესტრის საერთაშორისო საბჭოს წევრი. იგი ასევე არის National Geographic Georgia-ს და წინანდლის კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის საბჭოს თავმჯდომარე.



ალექსი თოფურია
წევრი

ალექსი თოფურია არის „სილქ როუდ ჯგუფის“ აქციონერი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ასევე, „სილქნეტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ალექსი თოფურიას კავკასიის, კასპიის და შუა აზიის რეგიონებში ახალი ბიზნესების განვითარების 20 წელზე მეტი პროფესიული გამოცდილება აქვს. ის არის ექსპერტი ფინანსებისა და საოპერაციო მმართველობის სფეროში. მისი ინდუსტრიული უნარ-ჩვევები მოიცავს ტელეკომუნიკაციებს, ტრანსპორტირებას და ვაჭრობას. ალექსი თოფურიამ დააფუძნა საფეხბურთო სკოლა თბილისის გარეუბანში, საქართველოში ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხელშესაწყობად. ალექსი ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (საქართველო) ხარისხს ეკონომიკასა და გეოგრაფიაში (1984-1989, ორწლიანი წყვეტით სამხედრო სამსახურის გამო), ასევე, გოეთეს ინსტიტუტის ხარისხს გერმანულ ენაში (იზერლონი, გერმანია (1990-1991)), და გავლილი აქვს ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სიღრმისეული შესწავლის კურსები Witten/Herdecke University-ში (გერმანია (1991-1997)). ალექსი თოფურია არის National Geographic Georgia-ს საბჭოს წევრი.



დევიდ ფრანც ბორგერი
წევრი

დევიდ ფრანც ბორგერი შეუერთდა „სილქ როუდ ჯგუფს“, „სილქნეტის“ აქციონერს, როგორც პარტნიორი, 2005 წელს. მას აქვს ლონდონის ეკონომიკის სკოლის დოქტორის ხარისხი ბუღალტერიაში და ფინანსებში და მუშაობდა ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მსხვილ IT და საკონსულტაციო კომპანიებთან. „სილქ როუდ ჯგუფში“ მუშაობის დაწყებამდე, იგი იყო პროექტის ლიდერი ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფში. ის ოჯახთან ერთად მიუნხენში ცხოვრობს.



მამუკა შურღაია
წევრი

მამუკა შურღაია არის „სილქნეტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და შპს „SRG Investments“-ის („სილქ როუდ ჯგუფის“ ნაწილი) ფინანსური დირექტორი. მამუკა „სილქ როუდ ჯგუფს“ 2011 წელს შეუერთდა, როგორც ფინანსური დირექტორის მოადგილე, და 1 წლის განმავლობაში ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე დაწინაურდა. მას ასევე უკავია დირექტორის თანამდებობა შპს „SRG Real Estate“-ში, კომპანიაში, რომელიც „სილქ როუდ ჯგუფის“ უძრავი ქონების საქმიანობას მართავს საქართველოში. „სილქ როუდ ჯგუფში“ მუშაობის დაწყებამდე მამუკა შურღაია იყო უფროსი აუდიტორი შპს „Ernst & Young Audit“ - თბილისში, და მუშაობდა, როგორც მენეჯერი „თიბისი ბანკის“ ანგარიშების გუნდში. მამუკა შურღაია ფლობს კავკასიის ბიზნესსკოლის ხარისხს ფინანსებში (2006) და Grenoble Ecole De Management-ის მაგისტრის ხარისხს ბიზნესადმინისტრირებაში (2016).



ვასილ კენკიშვილი
თავმჯდომარის მოადგილე

ვასილ კენკიშვილი არის „სილქნეტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და შპს „SRG Investments“–ის გენერალური დირექტორი, რომელიც „სილქ როუდ ჯგუფის“ შემადგენლობაში შედის. ვასილ კენკიშვილი „სილქ როუდ ჯგუფს“ 2006 წელს შეუერთდა, როგორც კონსულტანტი, და 3 წელიწადში გენერალური დირექტორის პოზიცია დაიკავა. „სილქ როუდ ჯგუფში“ მუშაობის დაწყებამდე, 2004-2006 წლებში, იგი იკავებდა შპს „საქართველოს რკინიგზაში“ იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის პოზიციას რესტრუქტურიზების მიმართულებით. ასევე, 2001-2003 წლებში იგი იკავებდა მთავარი იურისტის პოზიციას საქართველოს პარლამენტში (პარლამენტის აპარატში) და 1999 წლიდან 2001 წლამდე მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში. ვასილ კენკიშვილმა მიიღო იურისტის ხარისხი (JD ეკვივალენტური) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2000 წელს, ხოლო LLM ხარისხი მიიღო ამერიკულ უნივერსიტეტში, ვაშინგტონის სამართლის კოლეჯში (ვაშინგტონი, აშშ) 2004 წელს.



ტედ ჯონასი
დამოუკიდებელი წევრი

ტედ ჯონასი არის საერთაშორისო იურიდიული ფირმა „Denton-s“-ის თბილისის ოფისის უფროსი მრჩეველი. მანამდე ის იყო DLA Piper-ის პარტნიორი 10 წლის განმავლობაში და თბილისის ოფისის მმართველი პარტნიორი. „სილქნეტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობასთან ერთად, ის არის ანაკლიის (პორტის) განვითარების კონსორციუმის არაღმასრულებელი დირექტორი და კავკასიის ბუნების ფონდის (ფრანკფურტში (გერმანია) დაარსებული სამხრეთ კავკასიის კონსერვაციის ფონდი) სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ასევე, იურისპრუდენციაში 25-წლიან კერძო პრაქტიკასთან ერთად, ის უწევდა იურიდიულ დახმარებას აშშ-ს წარმომადგენელთა პალატას, მუშაობდა აშშ-ს ფედერალურ სააპელაციო სასამართლოში, როგორც იურიდიული მდივანი და როგორც საქართველოს საპარლამენტო პროგრამების მენეჯერი საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტში (NDI). 1984 წელს ტედმა მიიღო კორნელის უნივერსიტეტის B.A. ისტორიაში და 1991 წელს წარჩინებით მიიღო კორნელის იურიდიული სკოლის J.D.

მმართველი გუნდის წევრების ბიოგრაფიები



დავით მამულაიშვილი
გენერალური დირექტორი

დავით მამულაიშვილი გენერალურ დირექტორად 2016 წელს დაინიშნა. 2010 წლიდან იგი იკავებდა შიდა კონტროლისა და სტანდარტიზაციის განყოფილების უფროსის თანამდებობას. „სილქნეტში“ მუშაობის დაწყებამდე ბატონი დავითი ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას და იყო რამდენიმე მსხვილი კომპანიის (მათ შორის, „ლომისი“ და „ინტერპლასტი“) თანადამფუძნებელი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში დავით მამულაიშვილი მუშაობდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე.



ლილი ფშავლიშვილი
ფინანსური დირექტორი

ლილი ფშავლიშვილი ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე 2010 წელს დაინიშნა. „სილქნეტში“ მუშაობის დაწყებამდე, იგი საქართველოს ბანკის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დირექტორის პოზიციას იკავებდა. მანამდე ლილი ფშავლიშვილი „სილქ როუდ ბანკის“ კომერციული დირექტორი იყო. კარიერის დასაწყისში იგი საქართველოს ეროვნული ბანკის სხვადასხვა მმართველ პოზიციაზე მუშაობდა.



ლევან ბუჩუკური
სტრატეგიული განვითარების მიმართულების დირექტორი

ლევან ბუჩუკური „სილქნეტის“ სტრატეგიული განვითარების მიმართულების დირექტორის თანამდებობაზე 2020 წელს დაინიშნა. 2018-2020 წლებში იგი აბონენტთა მომსახურების მიმართულების დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა. 2016-2018 წლებში იგი იყო სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, 2011-დან 2016 წლამდე კი - „სილქნეტის“ გენერალური დირექტორი, ხოლო წინა წლებში მუშობდა „სილქნეტში“ სხვადასხვა პოზიციაზე: (გენერალური დირექტორის მოადგილე, კომერციული დირექტორი, ტექნიკური დირექტორი). მას სატელეკომუნიკაციო სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. 2009–2010 წლებში იგი, ასევე, იყო შპს „ნოვუსის“ დირექტორი, 2007-2009 წლებში მას შპს „ტექნოსერვისის“ - დირექტორის, ხოლო 2004-2007 წლებში შპს „იბერიატელის“ დირექტორის თანამდებობები ეკავა. ლევან ბუჩუკური 7 წლის განმავლობაში მუშაობდა შპს „მაგთიკომში“, სადაც იყო გაყიდვებისა და მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი (1997-1999), აბონენტთა მომსახურების დეპარტამენტის უფროსი (1999-2000), გენერალური დირექტორის მოადგილე (2000-2001) და გენერალური დირექტორი (2001-2004).
1995-1997 წლებში ლევან ბუჩუკური მუშაობდა შპს „მეგაკომში“ გაყიდვების მენეჯერის პოზიციაზე. ბატონი ბუჩუკური ფლობს ბაკალავრის ხარისხის ეკვივალენტს ელექტრონიკაში და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში (1988-1994; 1989-1992 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი).



ნუგზარ ჩინჩალაძე
კომერციული დირექტორი

ნუგზარ ჩინჩალაძე „სილქნეტის“ კომერციული დირექტორის თანამდებობაზე 2012 წელს დაინიშნა. 2010-2012 წლებში იგი „სილქნეტში“ სხვადასხვა მმართველ თანამდებობაზე მუშაობდა. მას აქვს ათწლიანი სამუშაო გამოცდილება სატელეკომუნიკაციო ინდუსტრიაში. „სილქნეტში“ მისი კარიერის განმავლობაში მან წარმატებით უხელმძღვანელა რამდენიმე ძირითად ბიზნესის განვითარების პროექტს.



ვერა დუდუჩავა
საოპერაციო მიმართულების დირექტორი

ვერა დუდუჩავა „სილქნეტის“ საოპერაციო მიმართულების დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა 2019 წლის აგვისტოში. აღნიშნული პოზიციის დაკავებამდე იგი ხელმძღვანელობდა „სილქნეტის“ IT ტრანსფორმაციის პროექტს 2018 წელს. მანამდე იგი „ჯეოსელის“ აღმასრულებელი მენეჯმენტის გუნდის წევრი იყო, სადაც მან 2000 წელს დაიწყო თავისი კარიერა აბონენტებთან მომსახურების განყოფილებაში. წლების განმავლობაში ამავე განყოფილებაში სხვადასხვა ხელმძღვანელ პოზიციაზე მუშაობდა. ასევე, იგი მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში, ამავე მიმართულებით. 2013 წლიდან ვერა დუდუჩავა იყო „ჯეოსელის“ აბონენტთა მომსახურების დეპარტამენტის დირექტორი, რის შემდეგაც კარიერა „სილქნეტში“ გააგრძელა. ვერა დუდუჩავა გარკვეული პერიოდით იკავებდა საოპერაციო მიმართულების დირექტორის თანამდებობას კომპანია „Nexus Enterprises“-ში.



დავით ხეჩინაშვილი
ტექნიკური დირექტორი, მობილური სერვისები

2020 წლის მარტში დავით ხეჩინაშვილი დაინიშნა „სილქნეტის“ მობილური მომსახურების ტექნიკურ დირექტორად. ამ თანამდებობაზე მუშაობის დაწყებამდე ის იყო ტექნიკური დირექტორის მოადგილე (2018 წლის ივლისი - 2020 წლის თებერვალი) და ქსელის განვითარების განყოფილების უფროსი (2017 წლის იანვარი - 2018 წლის ივნისი). „სილქნეტში“ მუშაობის დაწყებამდე, იგი მუშაობდა „ნოკიაში“ (2011-2016) როგორც უფროსი კონსულტანტი, რომელიც ხელმძღვანელობდა პროფესიული მომსახურების ბიზნესს კავკასიის რეგიონში და ცენტრალურ აზიაში და Motorola–ში (2006–2011), როგორც კავკასიის პროფესიული მომსახურების ხელმძღვანელი. დავითს აქვს დოქტორის ხარისხი ფიზიკაში (ვარშავის უნივერსიტეტი, 2000). მას აქვს სამეცნიერო კვლევების ჩატარების და ასევე, მისი აკადემიური კარიერის განმავლობაში, ევროპის რამდენიმე უნივერსიტეტში სწავლების გამოცდილება: იგი იყო პოლონეთის ზიელონა გორას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი (2000 -2006) და მუშაობდა, როგორც დოქტორანტი KU Leuven-ში (ბელგია (2004-2005), რადბუდის უნივერსიტეტში (ნიდერლანდები (2003-2004)), Ecole Polytechnique-ში, (საფრანგეთი (2000-2001)) და Caltech-ში (აშშ (1997)).



ირაკლი სიყმაშვილი

ტექნიკური დირექტორი, ფიქსირებული სერვისები

ირაკლი სიყმაშვილი „სილქნეტის“ ფიქსირებული მომსახურების ტექნიკურ დირექტორად დაინიშნა 2019 წლის თებერვალში. „სილქნეტში“ მუშაობის დაწყებამდე, 2016 წლიდან, იგი იყო ააიპ „ოუფენ ნეტის“ საოპერაციო მიმართულების დირექტორი. 2007-დან 2016 წლამდე ირაკლი სიყმაშვილი იკავებდა სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციას „სილქნეტის“ ტექნიკურ განყოფილებაში, ხოლო 2000-2006 წლებში იგი ინჟინრის პოზიციაზე მუშაობდა კომპანია „ჯეოსელში“.



რუსუდან სვანი

აბონენტთა მომსახურების მიმართულების დირექტორი

რუსუდან სვანი „სილქნეტის“ აბონენტთა მომსახურების მიმართულების დირექტორის თანამდებობაზე 2020 წელს დაინიშნა. 2010-2020 წლებში იგი „სილქნეტის“ ქოლცენტრის უფროსის თანამდებობას იკავებდა, ხოლო მანამდე რამდენიმე კომპანიაში მმართველ პოზიციაზე მუშაობდა.



შოთა ღვინიანიძე

ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დირექტორი

შოთა ღვინიანიძე „სილქნეტში“ 2019 წლის სექტემბრიდან მუშაობს. „სილქნეტში“ მუშაობის დაწყებამდე იგი მუშაობდა შპს „მაგთიკომში“, სადაც მან კარიერული გზა პროგრამისტის პოზიციიდან საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელამდე გაიარა. „მაგთიკომში“ მუშაობის დაწყებამდე შოთა ღვინიანიძე საქართველოს ეროვნული ბანკში მუშაობდა, სადაც მისი მონაწილეობით საინფორმაციო ტექნოლოგიების და ანგარიშსწორების სისტემების დარგში რამდენიმე დიდი პროექტი განხორციელდა.

სს "სილქნეტი"

2020 წლის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11

შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „სილქნეტის“ აქციონერებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს "სილქნეტის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში "ჯგუფი"), კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას ამავე თარიღებით დასრულებული წლისთვის, ასევე საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, ხსენებული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ „ჯგუფისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში „IESBA“ კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს.

აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხები

აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხები მოიცავს საკითხებს, რომლებიც ჩვენი პროფესიონალური მსჯელობით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში. ეს საკითხები გათვალიწინებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში არის და ჩვენ არ გავცემთ ცალკე დასკვნას მათთან დაკავშირებით.

შპს “KPMG Georgia”, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited.

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასება	
აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხები	**შესაბამისი აუდიტორული პროცედურები**
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მეთხუთმეტე შენიშვნაში აღწერილის შესაბამისად, ჯგუფმა, გარე დამოუკიდებელი ქონების შემფასებლის დახმარებით, განსაზღვრა მისი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება ფასს 13-ის შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საინვესტიციო ქონების შეფასება აუდიტის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რადგან მას აქვს არსებითი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე და ჯგუფის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს არსებითი მსჯელობისა და შეფასებების გამოყენებას.	აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხის გადასაჭრელად, ჩვენ განვახორციელეთ შემდეგი პროცედურები: • ჩვენ შევაფასეთ გარე შემფასებლის დამოუკიდებლობა, ობიექტურობა და კომპეტენტურობა; • ჩვენი შეფასების სპეციალისტის დახმარებით, შევაფასეთ გამოყენებული მეთოდოლოგია და ძირითადი დაშვებები, რომლებიც წარმოადგენს კორექტირებებს არადაკვირვებად მონაცემებზე შესადარისი ქონების ჩვენეულ გაგებასთან მიმართებაში; • ჩვენ შევადარეთ გამოყენებული მონაცემები, კერძოდ შესადარისი ქონების ფასები, გარედან მოპოვებულ მონაცემებს; • ჩვენ შევაფასეთ საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების ადეკვატურობა.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს, ჯგუფის წლიურ ანგარიშს და მმართველობით ანგარიშს, რომელიც მომზადებულია კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით. სხვა ინფორმაცია არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს აუდიტის დასკვნას აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. სხვა ინფორმაცია ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება წინამდებარე აუდიტორული დასკვნის გაცემის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არ გავცემთ მასთან დაკავშირებულ დასკვნას.

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული სხვა ინფორმაციის გაცნობას, როდესაც ის ხელმისაწვდომი გახდება. განსაზღვრას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან შეიცავს თუ არა ის არსებით უზუსტობებს.

კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნებისთვის მომზადებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, სხვა ინფორმაცია:

- შეესაბამება თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ხომ არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება "საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ".

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, მათი თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ჯგუფის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეცდომის ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორთა დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მოიაზრებოდნენ არსებითად, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მათ შეუძლიათ ცალკე ან ერთობლივად, გავლენა იქონიონ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

საოპერაციო სეგმენტი არის ჯგუფის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც უკავია ბიზნესის ისეთი ნაწილი, სადაც ეწევა ხარჯებს და შესაძლებელია ამონაგების მიღება (იმ ამონაგებისა და ხარჯების ჩათვლით, რომელიც დაკავშირებულია ჯგუფის სხვა კომპონენტებთან); რომლის საოპერაციო შედეგებს რეგულარულად იხილავს საწარმოში საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი, ამ სეგმენტზე რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად და მისი საქმიანობის შედეგების შესაფასებლად და რომლისთვისაც ცალკე ფინანსური ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი.

სს "სილქნეტი"

2020 წლის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11

სოფიო გაბანია

შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „სილქნეტის“ აქციონერებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს "სილქნეტის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში "ჯგუფი"), კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას ამავე თარიღებით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, ხსენებული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ „ჯგუფისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში „IESBA“ კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს.

აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხები

აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხები მოიცავს საკითხებს, რომლებიც ჩვენი პროფესიონალური მსჯელობით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში. ეს საკითხები გათვალიწინებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში არის და ჩვენ არ გავცემთ ცალკე დასკვნას მათთან დაკავშირებით.

შპს "KPMG Georgia", საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited.

სოფიო კაპანაძე

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასება	
აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხები	**შესაბამისი აუდიტორული პროცედურები**
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მეთხუთმეტე შენიშვნაში აღწერილის შესაბამისად, ჯგუფმა, გარე დამოუკიდებელი ქონების შემფასებლის დახმარებით, განსაზღვრა მისი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება ფასს 13-ის შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საინვესტიციო ქონების შეფასება აუდიტის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რადგან მას აქვს არსებითი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე და ჯგუფის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს არსებითი მსჯელობისა და შეფასებების გამოყენებას.	აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხის გადასაჭრელად, ჩვენ განვახორციელეთ შემდეგი პროცედურები: • ჩვენ შევაფასეთ გარე შემფასებლის დამოუკიდებლობა, ობიექტურობა და კომპეტენტურობა; • ჩვენი შეფასების სპეციალისტის დახმარებით, შევაფასეთ გამოყენებული მეთოდოლოგია და ძირითადი დაშვებები, რომლებიც წარმოადგენს კორექტირებებს არადაკვირვებად მონაცემებზე შესადარისი ქონების ჩვენეულ გაგებასთან მიმართებაში; • ჩვენ შევადარეთ გამოყენებული მონაცემები, კერძოდ შესადარისი ქონების ფასები, გარედან მოპოვებულ მონაცემებს; • ჩვენ შევაფასეთ საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების ადეკვატურობა.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს, ჯგუფის წლიურ ანგარიშს და მმართველობით ანგარიშს, რომელიც მომზადებულია კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით. სხვა ინფორმაცია არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს აუდიტის დასკვნას აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. სხვა ინფორმაცია ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება წინამდებარე აუდიტორული დასკვნის გაცემის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არ გავცემთ მასთან დაკავშირებულ დასკვნას.

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული სხვა ინფორმაციის გაცნობას, როდესაც ის ხელმისაწვდომი გახდება. განსაზღვრას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან შეიცავს თუ არა ის არსებით უზუსტობებს.

კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნებისთვის მომზადებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, სხვა ინფორმაცია:

- შეესაბამება თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ხომ არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება "საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ".

სს "სილქნეტი"
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გვერდი 3

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, მათი თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ჯგუფის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეცდომის ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორთა დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მოიაზრებოდნენ არსებითად, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მათ შეუძლიათ ცალკე ან ერთობლივად, გავლენა იქონიონ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განძრახ გამოტოვებას, დამახინჯებას, ან შიდა კონტროლების მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი საღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საღრიცხვო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში,

სოფიო კაპანაძე

რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანასური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- ვიღებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული საწარმოების ან ბიზნეს საქმიანობების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აზრის გამოხატვის მიზნით. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობასა და წარმართვაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ასევე წარვუდგენთ ჩვენს მიერ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფ ანგარიშს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და გავუზიარებთ მათ ინფორმაციას ყველა ურთიერთობის და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლოა ეხებოდეს ჩვენს დამოუკიდებლობას და, შესაბამის შემთხვევაში, უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ზომებს.

მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებთან გაზიარებულ საკითხებზე დაყრდნობით, ჩვენ განვსაზღვრავთ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმების პროცესში და რომლებიც მნიშვნელოვან აუდიტორულ საკითხებს განეკუთვნებიან. აღნიშნულ საკითხებს განვიხილავთ აუდიტორთა ანგარიშში, თუ კანონი ან მარეგულირებელი პროცედურები არ გამორიცხავენ ამგვარი საკითხების გამჟღავნებას ან, როდესაც, განსაკუთრებით იშვიათ ვითარებაში, ჩვენ განვსაზღვრავთ, რომ საკითხი არ უნდა იქნას წარმოდგენილი ჩვენს ანგარიშში, იმ მიზეზით, რომ ამგვარი ქცევის უარყოფითმა გავლენამ შესაძლოა გადაწონოს შესაბამისი კომუნიკაციის საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელი.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს "KPMG Georgia"
27 თებერვალი, 2021 წელი

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	13	393,887	377,686
არამატერიალური აქტივები	14	196,229	199,716
საინვესტიციო ქონება	15	63,055	29,582
აქტივები გამოყენების უფლებით	21	44,783	52,872
სხვა გრძელვადიანი აქტივები	13(b)	39,611	41,713
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები	20(f)	13,425	-
IRU* ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარი გადახდები		9,849	10,321
სულ გრძელვადიანი აქტივები		**760,839**	**711,890**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	16	10,645	10,980
IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარი გადახდები		2,173	2,173
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17	30,349	37,481
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	18	77,791	74,862
სულ მიმდინარე აქტივები		**120,958**	**125,496**
სულ აქტივები		**881,797**	**837,386**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	19		
სააქციო კაპიტალი		84,056	84,056
დამატებით გადახდილი კაპიტალი		8,026	8,026
დაგროვილი ზარალი		(151,321)	(64,289)
კომპანიის მესაკუთრეზე მიკუთვნებადი კაპიტალი (დეფიციტი)		**(59,239)**	**27,793**
არამაკონტროლებელი წილები		(74)	54
სულ კაპიტალი (დეფიციტი)		**(59,313)**	**27,847**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	20	668,084	617,798
საიჯარო ვალდებულებები	21	39,847	45,438
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22	32,968	13,144
IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები	22	13,911	14,662
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**754,810**	**691,042**
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	20	54,399	16,989
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22	96,446	67,380
IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები	22	23,041	21,949
საიჯარო ვალდებულებები	21	12,414	12,179
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**186,300**	**118,497**
სულ ვალდებულებები		**941,110**	**809,539**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**881,797**	**837,386**

* ხელშეუვალი სარგებლობის უფლებით

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 11-55 გვერდებზე.

სოვიო კაპანაძე

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი:			
კომერციული შემოსავალი	7	347,557	346,155
ოპერატორებისგან მიღებული შემოსავალი	7	34,598	41,000
		382,155	**387,155**
ხარჯები და გასავლები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		(117,444)	(111,662)
ხელფასები და სარგებელი	9	(57,075)	(58,142)
შეძენილი მომსახურება	8	(38,743)	(31,357)
სხვა ხარჯები	10	(25,410)	(31,872)
ქსელის მართვისა და ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები		(16,410)	(15,747)
ურთიერთჩართვის საფასური და როუმინგის ხარჯი		(16,242)	(17,837)
Pay TV კონტენტის თვითღირებულება		(12,932)	(11,218)
ინფრასტრუქტურული სიმძლავრის იჯარა, IRU და საიჯარო ხარჯები		(6,996)	(9,199)
რეკლამა და მარკეტინგი		(6,204)	(8,047)
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	15	(3,277)	-
სიმ ბარათების, სასაუბრო ბარათებისა და სხვა გაყიდვების ხარჯები		(916)	(2,795)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		**80,506**	**89,279**
ფინანსური შემოსავალი	6	4,415	4,298
ფინანსური ხარჯები	6	(90,462)	(101,160)
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების წმინდა ცვლილება	20(f)	5,794	(1,447)
უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული წმინდა ზარალი	6	(88,136)	(35,825)
წმინდა ფინანსური ხარჯი		**(168,389)**	**(134,134)**
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**(87,883)**	**(44,855)**
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	11	723	(1,241)
ზარალი და სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში		**(87,160)**	**(46,096)**
ზარალი და სულ სრული ზარალი, რომელიც უკავშირდება:			
კომპანიის მესაკუთრეს		(87,032)	(46,091)
არამაკონტროლებელ წილებს		(128)	(5)
		(87,160)	**(46,096)**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 27 თებერვალს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

დავით მამულაიშვილი
გენერალური დირექტორი

ლილი ფშავლიშვილი
ფინანსური დირექტორი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 11-55 გვერდებზე.

'000 ლარი	კომპანიის მესაკუთრეებზე მიკუთვნებადი					
	სააქციო კაპიტალი	დამატებით გადახდილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	სულ	არამაკონტროლებელი წილები	სულ კაპიტალი/ (დეფიციტი)
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	**68,172**	**24,471**	**(18,198)**	**74,445**	**59**	**74,504**
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში						
ზარალი და სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში	-	-	(46,091)	(46,091)	(5)	(46,096)
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან						
გამოშვებული აქციები (იხილეთ შენიშვნა 19(a))	15,884	-	-	15,884	-	15,884
საბოლოო მაკონტროლებელი მხარის მიერ კონტროლირებულ საწარმოებთან გარიგებების გავლენა (იხილეთ შენიშვნა 19(ბ))	-	(16,445)	-	(16,445)	-	(16,445)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**84,056**	**8,026**	**(64,289)**	**27,793**	**54**	**27,847**
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**84,056**	**8,026**	**(64,289)**	**27,793**	**54**	**27,847**
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში						
ზარალი და სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში	-	-	(87,032)	(87,032)	(128)	**(87,160)**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**84,056**	**8,026**	**(151,321)**	**(59,239)**	**(74)**	**(59,313)**

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 11-55 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
აბონენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		407,659	402,001
სხვა სატელეკომუნიკაციო ოპერატორებისგან და IRU ხელშეკრულებებიდან მიღებული ფულადი სახსრები		20,045	31,269
თანამშრომლებისთვის და მათი სახელით გადახდილი ხელფასები და სარგებელი		(57,301)	(54,793)
ურთიერთჩართვის საფასურები და ოპერატორებისთვის გადახდილი სხვა ხარჯები		(11,759)	(12,588)
მარაგების შესყიდვა		(9,717)	(11,232)
გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(45,294)	(59,641)
გადახდილი მოგების გადასახადი		(258)	(837)
გადახდილი ქსელის მართვისა და ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები		(11,273)	(11,274)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები		(65,329)	(80,674)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან		**226,773**	**202,231**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა		(108,537)	(128,358)
საინვესტიციო ქონების შეძენა		(31,783)	(29,582)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ამონაგები		1,692	2,264
მიღებული პროცენტი		2,713	2,517
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(135,915)**	**(153,159)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
გადახდილი პროცენტი	20(e)	(83,782)	(56,663)
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა გადახდები	20(e)	(7,798)	(1,280)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	20(e)	(8,194)	(4,513)
შემოსულობები სესხებიდან		-	530,651
სესხების დაფარვა		-	(367,863)
გადახდილი სესხის რეფინანსირების საფასური		-	(7,262)
სუბორდინირებული სესხის დაფარვა		-	(30,326)
სუბორდინირებული სესხის პროცენტის დაფარვა		-	(4,989)
თამასუქის დაფარვა		-	(43,170)
გადახდილი დივიდენდები		-	(5,441)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები/(ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები)		**(99,774)**	**9,144**
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		11,845	7,384
წმინდა მატება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		**2,929**	**65,600**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	18	74,862	9,262
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	18	**77,791**	**74,862**

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 11-55 გვერდებზე.

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ექვემდებარებიან და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, ხელს უწყობს გამოწვევებს, რომელიც საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების წინაშეა. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს „სილქნეტის" (შემდგომში „კომპანია") რეგისტრაციის ნომერით 204566978 და მისი შვილობილი კომპანიების (შენიშვნა 26) ფინანსურ ანგარიშგებებს (ერთად მოხსენიებული როგორც „ჯგუფი" და ცალ-ცალკე „ჯგუფის საწარმოები"). მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები ძირითადად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს და სააქციო საზოგადოებებს წარმოადგენენ და ისინი რეგისტრირებული და დაფუძნებული არიან საქართველოში. 2018 წელს ჯგუფმა შეიძინა საქართველოს სიდიდით მეორე მობილური ოპერატორის, შპს "ჯეოსელის" 100%-იანი წილი და შემდგომ მასთან გაერთიანდა.

კომპანიის იურიდიული მისამართია წინამძღვრიშვილის ქ. №95, თბილისი, 0112 საქართველო.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში კორპორატიული და ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის სატელეკომუნიკაციო მომსახურების გაწევა, რაც მოიცავს ფიქსირებულ და მობილურ სატელეფონო მომსახურებებს, მობილურ ინტერნეტს, ფიქსირებულ ინტერნეტს, pay TV მომსახურებას, ესემეს მომსახურებას (მოკლე ტექსტური შეტყობინება) და სხვა საბითუმო მომსახურებას. ჯგუფი წარმართავს თავის საქმიანობას სამ საოპერაციო სეგმენტად (იხ. შენიშვნა 5): ფიქსირებული კავშირგაბმულობა, მობილური კომუნიკაციები და მედია მომსახურება, რომელსაც შპს "სილქ მედია" მართავს ("Euronews Georgia"-ს მმართველი საწარმო - უფასო ახალი ამბების არხი).

კომპანია შეფასდა ორი სარეიტინგო სააგენტოს მიერ გრძელვადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით 'B' და 'b1', სტაბილური სამომავლო პერსპექტივით, „Fitch"-ის და „Moody"-ის მიერ შესაბამისად.

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიაა შპს "სილქნეტ ჰოლდინგი". 2020 წელს კომპანიის შუალედური მშობელი კომპანიის რეორგანიზაცია მოხდა, რის შედეგადაც კომპანიას ახალი ბენეფიციარი აქციონერი ჰყავს, იერკინ ტატიშევი, არაპირდაპირი უმცირესობის წილით (36.3%) კომპანიაში. კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია რჩება „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ (მალტა) ლიმიტედი" - ფიზიკური პირის, გიორგი რამიშვილის მიერ კონტროლირებული საწარმო.

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“) სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ჯგუფის საწარმოების სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

სააღრიცხვო შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი ცვლილებების მნიშვნელოვანი რისკის წინაშე დგანან, განხილულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 15 - საინვესტიციო ქონების შეფასება;
- შენიშვნა 23(b)(i) - სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება;

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 21 - საიჯარო ვადის განსაზღვრა.
- შენიშვნა 29(g) და (h) - ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები;
- შენიშვნა 29(g) და (h) - ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების აღიარება;

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ჯგუფის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის. სამართლიანი ღირებულება ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიებში გამოყენებული ინფორმაციის საფუძველზე:

- *დონე 1:* კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- *დონე 2:* შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- *დონე 3:* მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 15 - საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება;
- შენიშვნა 20 (f) - სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება;
- შენიშვნა 23 (a) - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.

5. საოპერაციო სეგმენტები

ჯგუფი წარმართავს თავისი საქმიანობას სამ საოპერაციო სეგმენტად: ფიქსირებული კავშირგაბმულობა, მობილური კომუნიკაციები და მედია მომსახურება, რომელსაც შპს "სილქ მედია" მართავს ("Euronews Georgia"-ს მმართველი საწარმო - უფასო ახალი ამბების არხი). ჯგუფის შემოსავლების დიდი ნაწილი გენერირდება საქართველოში, ამიტომ გეოგრაფიულ მდებარეობაზე ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი. ინფორმაცია თითოეულ საოპერაციო სეგმენტზე მოყვანილია ქვემოთ.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ თითოეული საოპერაციო სეგმენტის შედეგების შესაფასებლად ყველაზე რელევანტური არის შემოსავლების, საოპერაციო მოგების, აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის წარდგენა.

ფიქსირებული და მობილური მომსახურებისთვის ლიკვიდურობა და ლევერიჯი ცენტრალიზებულ საფუძველზე იმართება. შედეგად, ამ სეგმენტებისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სესხი, ფინანსური ხარჯები და დაკავშირებული გაცვლითი კურსის ამონაგები/(ზარალი) წარმოდგენილია ერთად "გაუნაწილებელი თანხების" ფარგლებში. განუსაზღვრელი მომავალი მოხმარებისთვის ფლობილი საინვესტიციო ქონება (იხ. შენიშვნა 15) ასევე იმართება ცენტრალიზებულ საფუძველზე და წარმოდგენილია "გაუნაწილებელი თანხების" ფარგლებში. შპს "სილქ მედიას" სეგმენტი წარმოდგენილია განცალკევებით, რადგან ის არის ცალკე საწარმო და ცალკე საოპერაციო სეგმენტს წარმოადგენს.

'000 ლარი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	31 დეკემბერი 2020 მობილური მომსახურება	31 დეკემბერი 2020 ფიქსირებული მომსახურება	31 დეკემბერი 2020 შპს "სილქ მედია"	31 დეკემბერი 2020 გაუნაწილებელი თანხები	31 დეკემბერი 2020 სულ
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	156,845	228,189	4,341	4,512	393,887
არამატერიალური აქტივები	143,745	35,859	4,979	11,646	196,229
საინვესტიციო ქონება	-	-	-	63,055	63,055
სხვა გრძელვადიანი აქტივები	14,500	22,816	-	2,295	39,611
აქტივები გამოყენების უფლებით	38,886	4,350	1,547	-	44,783
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	13,425	13,425
IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარი გადახდები	9,849	-	-	-	9,849
სულ გრძელვადიანი აქტივები	**363,825**	**291,214**	**10,867**	**94,933**	**760,839**
მიმდინარე აქტივები					
მარაგები	4,689	4,194	206	1,556	10,645
IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარი გადახდები	2,173	-	-	-	2,173
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,050	23,562	1,237	2,500	30,349
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	38	77,753	77,791
სულ მიმდინარე აქტივები	**9,912**	**27,756**	**1,481**	**81,809**	**120,958**
სულ აქტივები	**373,737**	**318,970**	**12,348**	**176,742**	**881,797**
ვალდებულებები					
გრძელვადიანი ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	-	-	-	668,084	668,084
საიჯარო ვალდებულებები	34,031	4,619	1,197	-	39,847
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19,648	7,266	2,277	3,777	32,968
IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები	-	13,911	-	-	13,911
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**53,679**	**25,796**	**3,474**	**671,861**	**754,810**
მიმდინარე ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	-	-	-	54,399	54,399
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	42,501	43,594	3,073	7,278	96,446
IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები	13,967	8,582	-	492	23,041
საიჯარო ვალდებულებები	10,658	1,756	-	-	12,414
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**67,126**	**53,932**	**3,073**	**62,169**	**186,300**
სულ ვალდებულებები	**120,805**	**79,728**	**6,547**	**734,030**	**941,110**
წმინდა აქტივები/(ვალდებულებები)	**252,932**	**239,242**	**5,801**	**(557,288)**	**(59,313)**

'000 ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2019
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	**მობილური მომსახურება**	**ფიქსირებული მომსახურება**	**შპს "სილქ მედია"**	**გაუნაწილებელი თანხები**	**სულ**
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	159,778	215,979	-	1,929	377,686
არამატერიალური აქტივები	157,960	32,595	1,789	7,372	199,716
სხვა გრძელვადიანი აქტივები	21,980	17,570	-	2,163	41,713
საინვესტიციო ქონება	-	-	-	29,582	29,582
აქტივები გამოყენების უფლებით	47,618	5,254	-	-	52,872
IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარი გადახდები	10,321	-	-	-	10,321
სულ გრძელვადიანი აქტივები	**397,657**	**271,398**	**1,789**	**41,046**	**711,890**
მიმდინარე აქტივები					
მარაგები	6,355	4,037	-	588	10,980
IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარი გადახდები	2,173	-	-	-	2,173
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,246	22,255	18	1,962	37,481
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	-	74,862	74,862
სულ მიმდინარე აქტივები	**21,774**	**26,292**	**18**	**77,412**	**125,496**
სულ აქტივები	**419,431**	**297,690**	**1,807**	**118,458**	**837,386**
ვალდებულებები					
გრძელვადიანი ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	-	-	-	617,798	617,798
საიჯარო ვალდებულებები	40,478	4,960	-	-	45,438
IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები	-	14,662	-	-	14,662
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,386	5,716	-	1,042	13,144
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**46,864**	**25,338**	**-**	**618,840**	**691,042**
მიმდინარე ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	-	-		16,989	16,989
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31,266	28,504	161	7,449	67,380
IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები	16,061	5,646		242	21,949
საიჯარო ვალდებულებები	10,937	1,242		-	12,179
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**58,264**	**35,392**	**161**	**24,680**	**118,497**
სულ ვალდებულებები	**105,128**	**60,730**	**161**	**643,520**	**809,539**
წმინდა აქტივები/(ვალდებულებები)	**314,303**	**236,960**	**1,646**	**(525,062)**	**27,847**

ჯგუფის მიერ მობილური მომსახურების სეგმენტზე გაწეული კაპიტალური დანახარჯები, 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, დაახლოებით 42,923 ათას ლარს შეადგენდა (საიდანაც 32,269 ათასი ლარი დამატებულ იქნა ძირითად საშუალებებზე და 10,654 ათასი ლარი - არამატერიალურ აქტივებზე). ფიქსირებული მომსახურების საოპერაციო სეგმენტთან დაკავშირებული კაპიტალური დანახარჯები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

იყო დაახლოებით 43,235 ათასი ლარი და 21,564 ათასი ლარი, ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების კუთხით, შესაბამისად. შპს "სილქ მედიას" მიერ გაწეული კაპიტალური დანახარჯები იყო 4,675 ათასი ლარი ძირითადი საშუალებებისთვის და 4,690 ათასი ლარი - არამატერიალური აქტივებისთვის, 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

'000 ლარი	2020	2020	2020	2020	2020	2020	2020
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირე-ბული ანგარიშგება	მობილური მომსახურება	ფიქსირებული მომსახურება	მობილური მომსახურების გაუქმება	ფიქსირებული მომსახურების გაუქმება	შპს "სილქ მედია"	გაუნაწილე-ბელი თანხები	სულ
სეგმენტის შემოსავალი	**203,239**	**182,919**	-	**(4,063)**	**60**	-	**382,155**
ცვეთა და ამორტიზაცია	(67,200)	(47,373)	-	-	(2,219)	(652)	(117,444)
სხვა ხარჯები და გასავლები	(80,596)	(95,949)	4,063	-	(2,709)	(9,014)	(184,205)
სეგმენტის საოპერაციო მოგება	**55,443**	**39,597**	**4,063**	**(4,063)**	**(4,868)**	**(9,666)**	**80,506**
ფინანსური შემოსავალი	1,701	12	-	-	3	2,699	4,415
ფინანსური ხარჯები	(6,476)	(5,005)	-	-	(623)	(78,358)	(90,462)
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტი - სამართლიანი ღირებულების წმინდა ცვლილება (შენიშვნა 20 (f))	-	-	-	-	-	5,794	5,794
უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული წმინდა ზარალი	(460)	(7,387)	-	-	(1,171)	(79,118)	(88,136)
სეგმენტის მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	**50,208**	**27,217**	**4,063**	**(4,063)**	**(6,659)**	**(158,649)**	**(87,883)**
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	-	(197)	-	-		920	723
წლის მოგება/(ზარალი)	**50,208**	**27,020**	**4,063**	**(4,063)**	**(6,659)**	**(157,729)**	**(87,160)**

'000 ლარი	2019	2019	2019	2019	2019	2019	2019
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	მობილური მომსახურება	ფიქსირებული მომსახურება	მობილური მომსახურების გაუქმება	ფიქსირებული მომსახურების გაუქმება	შპს "სილქ მედია"	გაუნაწილებელი თანხები	სულ
სეგმენტის შემოსავალი	**209,070**	**181,928**	**-**	**(3,843)**	**-**	**-**	**387,155**
ცვეთა და ამორტიზაცია	(69,845)	(41,178)	-	-	-	(639)	(111,662)
სხვა ხარჯები და გასავლები	(87,647)	(97,322)	3,843	-	(129)	(4,959)	(186,214)
სეგმენტის საოპერაციო მოგება	**51,578**	**43,428**	**3,843**	**(3,843)**	**(129)**	**(5,598)**	**89,279**
ფინანსური შემოსავალი	1,732	-	-	-	-	2,566	4,298
ფინანსური ხარჯები	(8,248)	(4,018)	-	-	-	(91,828)	(104,094)
უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული წმინდა ზარალი	(165)	(1,429)	-	-	(15)	(32,729)	(34,338)
სეგმენტის მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	**44,897**	**37,981**	**3,843**	**(3,843)**	**(144)**	**(127,589)**	**(44,855)**
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-	-	-	(1,241)	(1,241)
წლის მოგება/(ზარალი)	**44,897**	**37,981**	**3,843**	**(3,843)**	**(144)**	**(128,830)**	**(46,096)**

6. წმინდა ფინანსური ხარჯები

'000 ლარი	2020	2019
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
მიმდინარე საბანკო ანგარიშებთან და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული საპროცენტო შემოსავალი	2,713	2,549
IRU ხელშეკრულებების წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული საპროცენტო შემოსავალი	1,702	1,749
ფინანსური შემოსავალი	**4,415**	**4,298**
საპროცენტო ხარჯი ფინანსურ ვალდებულებებზე	(82,761)	(92,642)
ფასს 16-ის ფარგლებში დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(6,126)	(6,890)
IRU ხელშეკრულებებიდან მიღებულ ავანსებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	(1,575)	(1,628)
ფინანსური ხარჯები	**(90,462)**	**(101,160)**
უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული წმინდა ზარალი	(88,136)	(35,825)
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების წმინდა ცვლილება	5,794	(1,447)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯები	**(168,389)**	**(134,134)**

სოფიო გაბანდ

7. შემოსავალი

'000 ლარი	2020	2019
კომერციული შემოსავალი	**347,557**	**346,155**
შემოსავალი მობილური კავშირიდან	**183,357**	**182,755**
მობილური გამავალი ზარი	103,179	105,831
მობილური ინტერნეტი	66,286	57,919
შემოსავალი SMS-დან	9,212	12,698
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან	3,873	4,022
ტელეფონების და აქსესუარების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	807	2,285
ფიქსირებული შემოსავალი	**164,200**	**163,400**
ფიქსირებული ინტერნეტი	98,164	94,329
Pay TV	45,453	43,013
ფიქსირებული ტელეფონია	16,449	19,559
ინფრასტრუქტურის სიმძლავრის იჯარის მომსახურება	2,336	2,067
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან	1,798	3,341
უკაბელო სატელეფონო ("CDMA") მომსახურება**	-	1,091
ოპერატორებისგან და სხვა მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	**34,598**	**41,000**
ურთიერთჩართვის მომსახურება*	22,609	24,334
ინფრასტრუქტურის სიმძლავრის იჯარის მომსახურება	7,763	7,820
საბითუმო ინტერნეტი	2,183	2,060
შემოსავალი როუმინგიდან	2,043	6,786
სულ შემოსავალი	**382,155**	**387,155**

* ურთიერთჩართის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი გენერირებულია ორივე სეგმენტის მიერ შემდეგნაირად: 17,609 ათასი ლარი მობილური კომუნიკაციის სეგმენტიდან და 5,000 ათასი ლარი ფიქსირებული კავშირგაბმულობის სეგმენტიდან 2020 წელს (2019: 19,494 ათასი ლარი მობილური კომუნიკაციის სეგმენტიდან და 4,840 ათასი ლარი ფიქსირებული კავშირგაბმულობის სეგმენტიდან).

**2019 წლის ივლისიდან ჯგუფმა შეწყვიტა CDMA ტექნოლოგიის გამოყენება და მომსახურების გაწევა. CDMA აბონენტების ნაწილი მობილურ GSM ტექნოლოგიაზე გადავიდა.

8. შეძენილი მომსახურება

'000 ლარი	2020	2019
პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური მომსახურება	11,498	9,936
კომუნალური ხარჯები	10,128	10,141
პროფესიული მომსახურების საფასური*	8,794	3,469
ინტერნეტ პროტოკოლის (IP) ხარჯი	4,510	4,159
ინტერნეტის არხის ხარჯები	3,717	3,557
სხვა შეძენილი მომსახურება	96	95
სულ შეძენილი მომსახურება	**38,743**	**31,357**

* 2020 წელს პროფესიული საფასური მოიცავს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოს მიერ გაწეულ საკონსულტაციო მომსახურებას (იხ. შენიშვნა 25(c)) და რიგ სხვა, ერთჯერად პროფესიულ მომსახურებას (იხ. შენიშვნა 12(a) f).

პროფესიული მომსახურება მოიცავს აუდიტორული მომსახურების საფასურს 381 ათასი ლარის ოდენობით (2019:450 ათასი ლარი).

9. ხელფასები და სარგებელი

'000 ლარი	2020	2019
ხელფასები	51,853	50,342
ბონუსები	3,143	5,875
თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა	1,021	915
საპენსიო ფონდი	810	723
სხვა სარგებელი	248	287
სულ ხელფასები და სარგებელი	**57,075**	**58,142**

2020 და 2019 წლებში ჯგუფის მიერ დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობამ 2,441 და 2,565 შეადგინა, შესაბამისად.

10. სხვა ხარჯები

'000 ლარი	2020	2019
ქონების და სხვა გადასახადები	4,150	4,433
ნელა მოძრავი მარაგების, ძირითადი საშუალებების და სხვა გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა	4,118	335
საკომუნიკაციო რეგულაციის საფასური	3,233	3,217
საქველმოქმედო ხარჯები*	3,063	1,184
უსაფრთხოების ხარჯები	2,254	2,424
გამოყენებული საწვავი და საპოხი მასალები	2,136	2,505
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი**	1,910	4,188
ბანკის საკომისიო	1,708	3,101
ტრანსპორტირების მომსახურება	1,367	1,319
საოფისე საკანცელარიო ნივთები და სხვა მარაგები	1,132	1,330
ფულადი სახსრების მიღების საკომისიო	670	713
ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვაზე	487	6,525
სამივლინებო ხარჯები	350	966
დილერების საკომისიო	218	288
სხვა შემოსავალი	(1,386)	(656)
სულ	**25,410**	**31,872**

* 2020 წელს, საქველმოქმედო ხარჯები მოიცავდა 2,097 ათასი ლარის ოდენობით თანხას, რომელიც კომპანიის მიერ COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით გაკეთებულ შემოწირულობებს და სხვა საქველმოქმედო ხარჯებს უკავშირდებოდა.

** სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი 2019 წელს მოიცავს 2,168 ათასი ლარის ოდენობით თანხას, რომელიც შპს "ჯეოსელის" შესყიდვამდე არსებული ნაშთების გაუფასურებას უკავშირდება და მისი ბუნებით არის ერთჯერადი.

11. დაბეგვრა

მოგებაში ან ზარალში აღიარებული ოდენობები

'000 ლარი	2020	2019
მიმდინარე წელი	(723)	1,241
მიმდინარე საგადასახადო ხარჯი/(სარგებელი)	**(723)**	**1,241**

2020 წელს, მიმდინარე საგადასახადო შემოწმების დასრულების შემდეგ, კომპანიის საგადასახადო პოზიცია დაიხურა, 2019 წლის 1 აგვისტომდე არსებითი ჯარიმების გარეშე. საგადასახადო შემოწმებამ ასევე დახურა შპს "ჯეოსელის" შესყიდვამდე პერიოდი (იხ. შენიშვნა 1(b)). საგადასახადო შემოწმების შედეგების შემდეგ, კომპანიამ აღადგინა ადრე დარიცხული მოგების გადასახადი 1,163 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც შეტანილია ზემოაღნიშნულ, მიმდინარე საგადასახადო შემოსავალში 723 ათასი ლარის ოდენობით.

12. მოსწრების ალტერნატიული შეფასებები

(a) კორექტირებული EBITDA

კომპანიას სჯერა, რომ კორექტირებული EBITDA-ს და კორექტირებული EBITDA-ს მარჟის წარდგენა მკითხველისთვის ჯგუფის ფინანსური მოსწრების გაგებას აუმჯობესებს. ხელმძღვანელობა, საწარმოს საოპერაციო მოსწრების შეფასებისთვის კორექტირებულ EBITDA-ს და კორექტირებულ EBITDA-ს მარჟას იყენებს. ამასთანავე, კორექტირებული EBITDA და კორექტირებული EBITDA-ს მარჟა ხშირად გამოიყენება ფასიანი ქაღალდების ანალიტიკოსების, ინვესტორების და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ, სატელეკომუნიკაციო სექტორში მოღვაწე კომპანიების შესაფასებლად. კორექტირებული EBITDA და კორექტირებული EBITDA-ს მარჟა არ წარმოადგენს ფასს-ს მიხედვით მომზადებულ წარდგენებს და ჯგუფის მიერ „კორექტირებული EBITDA“ და "კორექტირებული EBITDA-ს მარჟა“ ტერმინების გამოყენება, შეიძლება განსხვავდებოდეს სხვა გამოყენებებისგან სატელეკომუნიკაციო მრეწველობაში, სააღრიცხვო პოლიტიკების სხვაობის ან გამოთვლის მეთოდოლოგიაში სხვაობების გამო.

ჯგუფი ითვლის კორექტირებულ EBITDA-ს უწყვეტი ოპერაციებიდან მიღებული მოგების კორექტირების გზით, შემდეგი ერთეულების გამორიცხვით:

- ფინანსური ხარჯები და ფინანსური შემოსავალი
- მოგების გადასახადი და ნებისმიერი სხვა გადასახადები, რომლებიც დივიდენდების განაწილებას უკავშირდება
- გრძელვადიანი აქტივების ცვეთა, ამორტიზაცია, გადაფასება, გაუფასურება (ზარალი/აღდგენა)
- წმინდა სავალუტო ამონაგები/(ზარალი), მათ შორის ამონაგები/(ზარალი) ჰეჯირების ინსტრუმენტებზე, სავალუტო ფორვარდულ ხელშეკრულებებზე და ნებისმიერი სხვა ამონაგები/(ზარალი), რომელიც უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით არის გამოწვეული.
- კონკრეტული ერთეულები, ქვემოთ განმარტებულის შესაბამისად:

კონკრეტული ერთეულების იდენტიფიკაცია ხდება მათი ზომის, ხასიათის ან სიხშირის შესაბამისად. კონკრეტული ერთეულები წარმოადგენს ა) შემოსავალს ან ზარალს, რომელიც დაკავშირებულია გრძელვადიანი აქტივებისა და ნებისმიერი სხვა არაფულადი ერთეულების რეალიზაციასთან ან ჩამოწერასთან; ბ) ერთჯერად, არა-ძირითად ან არასაოპერაციო შემოსავალს ან ხარჯებს, რომლებიც არსებითია მათი ხასიათის ან ზომის მიხედვით (როგორიცაა ბიზნესის შეძენის შედეგად მიღებული ამონაგები ვაჭრობიდან, ბიზნესის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები, ფულადი სახსრების შეგროვებასთან დაკავშირებული ხარჯები და ჯგუფის ფასიანი ქაღალდების ლისტინგი, გაცემული სესხის ჩამოწერა, ერთჯერადი პროფესიული საფასური და ა.შ.).

კორექტირებული EBITDA-ს უწყვეტი ოპერაციებიდან მიღებულ მოგებასთან შეჯერება

'000 ლარი	2020	2019
წლის ზარალი	**(87,160)**	**(46,096)**
ცვეთა და ამორტიზაცია	117,444	111,662
ფინანსური ხარჯები	90,462	101,160
ფინანსური შემოსავალი	(4,415)	(4,298)
უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული წმინდა ზარალი	88,136	35,825
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების წმინდა ცვლილება	(5,794)	1,447
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	3,277	-
მოგების გადასახადის (შემოსავალი)/ხარჯი	(723)	1,241
კონკრეტული ერთეულები (იხილეთ ქვემოთ)	10,276	14,915
კორექტირებული EBITDA	**211,503**	**215,856**

'000 ლარი	2020	2019	შენიშვნა	აღწერა
ა) ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ზარალი	487	6,525	10	სხვა ხარჯები
ბ) ავანსების და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი (ერთჯერადი)	-	2,168	10	სხვა ხარჯები
გ) ნელა მოძრავი მარაგების, ძირითადი საშუალებების და სხვა გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა	4,118	335	10	სხვა ხარჯები
დ) ბანკის საკომისიო	-	358	10	სხვა ხარჯები
ე) ბონუსები, ევროობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებული თანამშრომელთა ხარჯი	-	1,942	9	ხელფასები და სარგებელი
ვ) პროფესიული საფასური, ერთჯერადი საკონსულტაციო ხარჯები	3,827	3,110	8	შეძენილი მომსახურება
ზ) ქველმოქმედება	3,063	1,184	10	სხვა ხარჯები
თ) სხვა შემოსავალი	(1,219)	(707)	10	სხვა ხარჯები
სულ კონკრეტული ერთეულები	**10,276**	**14,915**		

კონკრეტული ერთეულები მიკუთვნებადია შემდეგ მოვლენებზე:

- წინასწარი გადახდების და სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი (ერთეული "ბ") წარმოადგენს შპს "ჯეოსელის" შესყიდვამდე არსებული ნაშთების გაუფასურებას, კონკრეტული როუმინგ და SMS საბითუმო გამყიდველების მიმართ მოთხოვნებს.
- ერთეული "ე" პირდაპირ არის მიკუთვნებადი ევროობლიგაციების გამოშვებაზე 2019 წელს და შესაბამისად, მისი ბუნებით არის ერთჯერადი.
- ერთეული "ვ" ძირითადად ერთჯერადი პროფესიული საფასურისგან შედგება, რომელიც MVNO-ს (ვირტუალური ოპერატორები) უკავშირდება: რეგულაცის შემოღებას, სილქნეტის და სილქ როუდ ბანკის (საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო) მიერ ერთობლივად მიღებულ, მობილური ფინანსური მომსახურებისთვის სტრატეგიის განვითარებას და GeDN-ებს (იხ. შენიშვნა 20 (b) და 20 (c)).
- ერთეული "ზ" ძირითადად შედგება ჯგუფის მიერ 2020 წელს COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით გაწეული 2,097 ათასი ლარის ოდენობით საქველმოქმედო ხარჯებისგან.
- ერთეული "თ" 2020 წელს ძირითადად შედგება ადრე გადახდილი გადასახადების აღდგენისგან და კონკრეტული კრედიტორების მიმართ არსებული ვალდებულებების ჩამოწერისგან მათი ლიკვიდაციის შემდეგ.

(b) კორექტირებული EBITDA-ს მარჟა

კორექტირებული EBITDA-ს მარჟა კორექტირებული EBITDA-ს სრულ შემოსავალზე გაყოფით გამოიანგარიშება.

'000 ლარი	2020	2019
კორექტირებული EBITDA	211,503	215,856
შემოსავალი	382,155	387,155
კორექტირებული EBITDA-ს მარჟა %	**55%**	**56%**

13. ძირითადი საშუალებები და სხვა გრძელვადიანი აქტივები

'000 ლარი	მიწა	შენობები და ინფრასტრუქტურები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება 2019 წლის 1 იანვრისთვის	26,422	118,759	394,045	7,978	31,084	4,318	582,606
დაგროვილი ცვეთა	-	(32,499)	(161,414)	(4,923)	(13,554)	-	(212,390)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრისთვის	**26,422**	**86,260**	**232,631**	**3,055**	**17,530**	**4,318**	**370,216**
შესყიდვები	439	208	37,637	1,366	1,049	39,425	80,124
გასვლა	(653)	(1,035)	(18,944)	(1,251)	(566)	(56)	(22,505)
გადაცემები, ბრუტო	16	4,382	23,878	-	-	(36,933)	(8,657)
გადაცემები, დაგროვილი ცვეთა	-	-	6,661	-	-	-	6,661
ცვეთა გასულ აქტივებზე	-	244	10,992	740	365	-	12,341
ცვეთის დარიცხვა	-	(2,596)	(53,196)	(956)	(3,706)	-	(60,454)
ჩამოწერა, ბრუტო *	-	-	(30,556)	-	(9)	-	(30,565)
ჩამოწერა, ცვეთა *	-	-	30,517	-	8	-	30,525
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**26,224**	**87,463**	**239,620**	**2,954**	**14,671**	**6,754**	**377,686**
თვითღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	26,224	122,314	406,060	8,093	31,558	6,754	601,003
დაგროვილი ცვეთა	-	(34,851)	(166,440)	(5,139)	(16,887)	-	(223,317)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**26,224**	**87,463**	**239,620**	**2,954**	**14,671**	**6,754**	**377,686**
შესყიდვები	84	1,526	29,662	3,119	2,949	46,571	83,911
გასვლა	(347)	(2,267)	(2,089)	(230)	(692)	-	(5,625)
გადაცემები, ბრუტო	-	994	21,081	-	92	(31,721)	(9,554)
გადაცემები, დაგროვილი ცვეთა	-	-	8,549	-	-	-	8,549
ცვეთა გასულ აქტივებზე	-	1,233	1,057	179	713	-	3,182
ცვეთის დარიცხვა	-	(3,087)	(56,659)	(1,019)	(3,497)	-	(64,262)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**25,961**	**85,862**	**241,221**	**5,003**	**14,236**	**21,604**	**393,887**
თვითღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	25,961	122,567	454,714	10,982	33,907	21,604	669,735
დაგროვილი ცვეთა	-	(36,705)	(213,493)	(5,979)	(19,671)	-	(275,848)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**25,961**	**85,862**	**241,221**	**5,003**	**14,236**	**21,604****	**393,887**

*ძირითადი საშუალებების მთლიანი საბალანსო ღირებულების და შესაბამისი დაგროვილი ცვეთის ჩამოწერა სრულად ეკუთვნის ნულოვან წმინდა საბალანსო ღირებულების მქონე ერთეულებსა და გაუქმებულ CDMA (კოდური დაყოფის პრინციპზე დამყარებული მრავალჯერადი დაშვების ტექნოლოგია რომელიც მხარს უჭერს ჯგუფის უსადენო სატელეფონო მომსახურებას) აღჭურვილობას.

** აღნიშნული ოდენობა ძირითადად Gigabit-LTE (4.9 G) ტექნოლოგიის გაშლას უკავშირდება - 1 გიგაბაიტი წამში სიმძლავრის მობილური ქსელი რომელიც განლაგებულია საქართველოს ყველა დიდ ქალაქში.

(a) უზრუნველყოფა

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, ქონება, საბალანსო ღირებულებით 81,862 ათასი ლარი (2019: 80,777 ათასი ლარი) რჩება დაგირავებული განახლებადი საკრედიტო ხაზის (RCF) დავალიანების (იხილეთ შენიშვნა 20 (d)) და ჯგუფის საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული აკრედიტივის უზრუნველსაყოფად.

(b) სხვა გრძელვადიანი აქტივები

2020 წლის 31 დეკემბერს სხვა გრძელვადიანი აქტივები მოიცავდა დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს 30,660 ათასი ლარის ოდენობით და გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილ ავანსებს 8,951 ათასი ლარის ოდენობით (2019 წელს დაუმონტაჟებელი მოწყობილობები- 37,558 ათასი ლარი, გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები - 4,055 ათასი ლარი).

(c) კაპიტალური ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის კაპიტალური ვალდებულებები შეადგენდა 34,321 ათას ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი: 5,552 ათასი ლარი) საიდანაც 26,151 ათასი ლარი დაკავშირებულია მიმდინარე IT ტრანსფორმაციის პროექტთან (კომპანიის მიმდინარე ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების უმეტესობის ჩანაცვლება და განახლება).

14. არამატერიალური აქტივები

'000 ლარი	ქსელის ოპერირების და კომპიუტერული უზრუნველყოფის ლიცენზიები	სატელეკომუნიკაციო ლიცენზიები	სამაუწყებლო უფლებები	გუდვილი	სხვა***	CSAC*	სულ
თვითღირებულება 2019 წლის 1 იანვრისთვის	57,978	178,767	36,778	6,983	-	3,439	283,945
დაგროვილი ცვეთა	(22,163)	(27,359)	(20,147)	-	-	(1,937)	(71,606)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრისთვის	**35,815**	**151,408**	**16,631**	**6,983**	**-**	**1,502**	**212,339**
შესყიდვები	15,103	823	12,578	-	-	1,564	30,068
ამორტიზაციის დარიცხვა	(15,750)	(14,537)	(11,077)	-	-	(1,327)	(42,691)
გასვლა და აღიარების შეწყვეტა, ბრუტო	(8,894)	(4,494)	-	-	-	-	(13,388)
გასვლა და აღიარების შეწყვეტა, ამორტიზაცია	8,894	4,494	-	-	-	-	13,388
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**35,168**	**137,694**	**18,132**	**6,983**	**-**	**1,739**	**199,716**
თვითღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	64,187	175,096	49,356	6,983	-	5,003	300,625
დაგროვილი ცვეთა	(29,019)	(37,402)	(31,224)	-	-	(3,264)	(100,909)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**35,168**	**137,694**	**18,132**	**6,983**	**-**	**1,739**	**199,716**
შესყიდვები	16,789	901	18,854	-	4,286	511	41,341
ამორტიზაციის დარიცხვა	(13,007)	(14,588)	(14,739)	-	(274)	(1,213)	(43,821)
გასვლა და აღიარების შეწყვეტა, ბრუტო**	(682)	-	(15,763)	-	-	(1,103)	(17,548)
გასვლა და აღიარების შეწყვეტა, ამორტიზაცია**	548	-	14,977	-	-	1,016	16,541
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**38,816**	**124,007**	**21,461**	**6,983**	**4,012**	**950**	**196,229**
თვითღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	80,294	175,997	52,447	6,983	4,286	4,411	324,418
დაგროვილი ცვეთა	(41,478)	(51,990)	(30,986)	-	(274)	(3,461)	(128,189)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**38,816**	**124,007**	**21,461**	**6,983**	**4,012**	**950**	**196,229**

* CSAC –აბონენტების შეძენის კაპიტალიზებული ხარჯი.

** მთლიანი საბალანსო ღირებულების და არამატერიალურის შესაბამისი დაგროვილი ამორტიზაციის ჩამოწერა ძირითადად მთლიანად გაცვეთილ სამაუწყებლო უფლებებს უკავშირდება.

*** სხვა არამატერიალური აქტივები მოიცავს ბრენდის სახელის გამოყენების უფლებას, რომელიც ადგილობრივი Pay TV ოპერატორისგან არის შეძენილი 2020 წელს.

15. საინვესტიციო ქონება

2019 წელს, კომპანიამ დაკავშირებული მხარისგან 20,397 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი 29,582 ათასი ლარის (10 მილიონი აშშ დოლარი) შესასყიდ ფასად შეიძინა. მიწის ნაკვეთი თბილისის ცენტრში, ერთ-ერთ საუკეთესო ადგილას მდებარეობს. ასევე აღნიშნულს ემატებოდა დამატებითი პირობითი ანაზღაურება 10 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც უნდა ყოფილიყო გადახდილი იმ შემთხვევაში თუ მუნიციპალური ხელისუფლება 60,000 კვ. მ. ბრუტო ფართობის მქონე სამშენებლო სივრცის გენერალურ გეგმას (განვითარების რეგულაციის გეგმა) დაადასტურებდა. განვითარების რეგულაციის გეგმა 2020 წელს დამტკიცდა და კომპანიამ გადაიხადა დარჩენილი 10 მილიონი აშშ დოლარი 2020 წლის აპრილში, თავდაპირველი პირობების შესაბამისად. ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიწის ნაკვეთის სამომავლო გამოყენება არ არის განსაზღვრელი და შესაბამისად აქტივს საინვესტიციო ქონების სახით აკლასიფიცირებს.

2020 და 2019 წლებში, საინვესტიციო ქონების მოძრაობა იყო შემდეგი:

'000 ლარი	2020	2019
საბალანსო ღირებულება 1 იანვარს	29,582	-
შესყიდვები	29,438	29,582
სამართლიანი ღირებულების ცვლილება	(3,277)	-
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა	7,312	-
	63,055	**29,582**

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ 19,244 ათასი აშშ დოლარით განისაზღვრა და დაფუძნებული იყო გამოცხადებულ მოთხოვნის ფასებზე და მსგავს ადგილმდებარეობაზე და მსგავს ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფი, მსგავსი ქონების უკანასკნელ საბაზრო გარიგებებზე. მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი მონაცემები უკავშირდება სხვაობებს ქონების მახასიათებლებში, როგორიც არის, ზომა, ადგილმდებარეობა, წვდომა ქონებაზე და გაყიდვის პირობები. შემფასებელმა ქონების საბოლოო საბაზრო ღირებულება 12.2%-ით დაადისკონტირა, დამატებითი ლიკვიდურობის ფაქტორის ასახვის მიზნით, რომელიც საინვესტიციო ქონების გასაყიდად საჭირო გახანგრძლივებულ დროის პერიოდს უკავშირდება. თითოეულ ზემოაღნიშნულ მნიშვნელოვან არადაკვირვებად შეტანილ მონაცემთან დაკავშირებული კორექტირებები 5%-იდან 25%-მდე მერყეობდა. შეფასებაში გამოყენებული კორექტირებული საბაზრო ფასების 5%-იანი ცვლილება სამართლიანი ღირებულების შეფასებას დაახლოებით 3 მილიონი ლარით შეცვლიდა. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 29,582 ათას ლარის შესყიდვისთვის გადახდილ ღირებულებას უახლოვდება. საინვესტიციო ქონება განეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს.

16. მარაგები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სათადარიგო ნაწილები და საინსტალაციო მასალები	6,655	6,523
მობილური ტელეფონები და აქსესუარები	699	1,131
საწვავი	807	889
სხვა	2,484	2,437
სულ	**10,645**	**10,980**

17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოთხოვნები აბონენტების მიმართ	17,024	17,148
მოთხოვნები ტელეკომის ოპერატორების მიმართ	4,341	6,335
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	3,363	4,299
სულ სავაჭრო მოთხოვნები	**24,728**	**27,782**
ავანსად გადახდილი ხარჯები	4,749	5,086
ავანსად გადახდილი გადასახადები	872	4,613
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**30,349**	**37,481**

ჯგუფის დაქვემდებარება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი განხილულია 23-ე შენიშვნაში.

18. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ბანკში არსებული ნაშთები	76,874	74,012
ფულადი სახსრები გზაში	903	833
ხელმისაწვდომი ფულადი სახსრები (ნაღდი ფული)	14	17
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**77,791**	**74,862**

ინფორმაცია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო და სავალუტო რისკებზე დაქვემდებარების შესახებ და მგრძნობელობის ანალიზი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, წარმოდგენილია 23-ე შენიშვნაში.

19. კაპიტალი

(a) სააქციო კაპიტალი

2019 წლის 7 მაისს, კომპანიის პირდაპირმა მშობელმა კომპანიამ „სილქნეტ ჰოლდინგმა“ გადაწყვიტა სუბორდინირებული სესხის ნაწილი კომპანიის კაპიტალად გარდაექმნა. სესხის ნარჩენი ნაშთი, სილქნეტმა "სილქნეტ ჰოლდინგს" გადაუხადა.

2019 წლის 7 მაისს დაუფარავი ძირი თანხისა და პროცენტის ნაშთები 50,030 ათას ლარს (18,832 ათასი აშშ დოლარი) შეადგენდა. 30,157 ათასი ლარის (11,135 აშშ დოლარი) ოდენობით ძირი თანხა და 4,989 ათასი ლარის (1,842 ათასი აშშ დოლარი) ოდენობით პროცენტი (პროცენტის ხარჯის დარიცხვის ჩათვლით საბოლოო დაფარვამდე - 2019 წლის 15 მაისამდე) დაფარულ იქნა და სესხის ნარჩენი ნაშთი 15,884 ათასი ლარის ოდენობით (5,865 ათასი აშშ დოლარი) კაპიტალად დაკონვერტირდა. შედეგად, კომპანიამ გამოუშვა 15,884,198 აქცია ნომინალური ღირებულებით 1 ლარი თითო აქციაზე. ახლადგამოშვებული აქციები სრულად იქნა გადახდილი 15,884 ათასი ლარის (5,865 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტური) ოდენობით დაუფარავი სასესხო ნაშთის კონვერტირების გზით.

აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი აქციები	
	2020	2019
გამოშვებული 1 იანვარს	84,056,099	68,171,901
გამოშვებული წლის განმავლობაში	-	15,884,198
გამოშვებული 31 დეკემბერს, სრულად გადახდილი	**84,056,099**	**84,056,099**
ავტორიზებული აქციები - ნომინალური ღირებულება	**1**	**1**

(b) დამატებით გადახდილი კაპიტალი

2018 წლის მარტში კომპანიის აქციონერმა გასცა სესხი 17 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით არასაბაზრო პირობებით, რის შედეგადაც წარმოიშვა დამატებით გადახდილი კაპიტალი 16,445 ათასი ლარის ოდენობით. 2019 წლის განმავლობაში დამატებით გადახდილი კაპიტალის აღიარება შეწყდა სუბორდინირებული სესხის ნაადრევი დაფარვის გამო.

2018 წელს ჯგუფმა სს „თიბისი ბანკის" სასარგებლოდ, როგორც ჯეოსელის შესყიდვაზე მიღებული დაფინანსების ნაწილი, გამოსცა „ქოლ" ოპციონი 4,795,000 ჩვეულებრივ აქციაზე, რაც წარმოადგენდა საკუთრების დაახლოებით 6.6%-ს განზავებულ საფუძველზე. ოპციონის გამოყენების ფასი არის 5.214 ლარი ერთ აქციაზე, ჯამური ღირებულებით 25,000 ათასი ლარი. ოპციონი გამოყენებადია 5 წლის ვადაში ნებისმიერ დროს, ან ლიკვიდურობის შემთხვევის დადგომის პირობით, რაც განმარტებულია როგორც პირველადი საჯარო შეთავაზება (IPO) ან კომპანიის 100%- იანი წილის გაყიდვა. „ქოლ" ოპციონის სამართლიანი ღირებულება ჯეოსელის შეძენის/თიბისი-სგან დაფინანსების მიღების თარიღში აღირიცხა, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი. სამართლიანი ღირებულება 8,026 ათასი ლარის ოდენობით დაკრედიტებულია დამატებით გადახდილ კაპიტალზე. რადგანაც ოპციონი კაპიტალის ინსტრუმენტია, არანაირი ცვლილება სამართლიან ღირებულებაში არ არის ასახული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(c) დივიდენდები

2020 და 2019 წელს კომპანიას არ გამოუცხადებია დივიდენდები.

(d) კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, ჯგუფის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგის გზით, და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით რომლებიც ძირითადად ჯგუფის საოპერაციო ფულადი ნაკადებით და გრძელვადიანი სესხებითა და კრედიტებით ფინანსდება. ამ ზომების გამოყენებით, ჯგუფი მოგების სტაბილურ ზრდას გეგმავს. 2020 წლის 31 დეკემბერს, უარყოფითი კაპიტალის მიუხედავად, რომელიც ძირითადად გრძელვადიან კრედიტებთან დაკავშირებული უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებით არის განპირობებული, ჯგუფი ინარჩუნებს საკმარის კაპიტალის ბაზას მისი საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად (იხ. შენიშვნა 23 (b) (ii)).

არც კომპანია და არც მისი შვილობილი კომპანიები არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

20. სესხები და კრედიტები

ამ შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია ჯგუფის პროცენტის მატარებელი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ. დამატებითი ინფორმაცია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარების შესახებ განხილულია 23-ე შენიშვნაში.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ევროობლიგაციები - გრძელვადიანი	634,084	554,954
არაუზრუნველყოფილი ადგილობრივი ობლიგაციები - გრძელვადიანი	34,000	62,677
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტი -გრძელვადიანი (შენიშვნა 20 (f))	-	167
	668,084	**617,798**
ევროობლიგაციები - მიმდინარე	21,124	16,459
არაუზრუნველყოფილი ადგილობრივი ობლიგაციები - მიმდინარე	33,275	530
	54,399	**16,989**
სულ	**722,483**	**634,787**

(a) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

				31 დეკემბერი 2020	
'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ევროობლიგაციები	აშშ დოლარი	11%	2024	664,588	655,208
არაუზრუნველყოფილი ადგილობრივი ობლიგაციები	ლარი	3.5% + რეფინანსირების განაკვეთი	2022	34,461	34,461
არაუზრუნველყოფილი ადგილობრივი ობლიგაციები	აშშ დოლარი	8.50%	2021	32,814	32,814
სულ სესხები და კრედიტები				**731,863**	**722,483**

				31 დეკემბერი 2019	
'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ევროობლიგაციები	აშშ დოლარი	11%	2024	581,394	571,413
არაუზრუნველყოფილი ადგილობრივი ობლიგაციები	ლარი	3.5% + რეფინანსირების განაკვეთი	2022	34,481	34,481
არაუზრუნველყოფილი ადგილობრივი ობლიგაციები	აშშ დოლარი	8.5%	2021	28,727	28,727
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები	ლარი/აშშ დოლარი	შენიშვნა 20(f)	2024	167	167
სულ სესხები და კრედიტები				**644,769**	**634,787**

(b) ევროობლიგაციები

2019 წლის 2 აპრილს, კომპანიამ „Euronext Dublin Exchange"-ზე 200 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების („ევროობლიგაციები") გამოშვება წარმატებით დაასრულა. ევროობლიგაციების გამოშვებიდან მიღებულმა წმინდა შემოსავალმა 529,489 ათასი ლარი შეადგინა. ევროობლიგაციების დაფარვის ვადა არის 5 წელიწადი, 2024 წლის აპრილისთვის და აქვს ფიქსირებულ კუპონის განაკვეთი, 11% წელიწადში. პროცენტი გადასახდელია ნახევარ წელიწადში ერთხელ - ყოველი წლის 2 აპრილს და 2 ოქტომბერს, და გადახდა იწყება 2019 წლის 2 ოქტომბერს.

კოტირება ბაზრის დახურვისას 2020 წლის 28 დეკემბერს იყო 108.62% ობლიგაციაზე.

ევროობლიგაციები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ჯგუფმა, ევროობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებით 10,411 ათასი ლარის ოდენობით ხარჯი გასწია, ანდერრაიტინგის საფასურის, იურდიული კონსულტაციის საფასურის, სარეიტინგო სააგენტოების ხარჯების, ლისტინგის ხარჯების და ა.შ. ჩათვლით. აღნიშნული ხარჯები გარიგების ხარჯების სახით აღირიცხება. ისინი შეტანილია ევროობლიგაციების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლებში და 5 წელზე არის გადანაწილებული.

ევროობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული 529,489 ათასი ლარის ოდენობით წმინდა შემოსავლები (9,050 ათასი ლარის ოდენობით გარიგების ხარჯები იქნა ურთიერთგაქვითული ევროობლიგაციბიდან მიღებულ შემოსავლებთან) კომპანიის მიერ, მის თამასუქებთან და საბანკო სესხებთან დაკავშირებული, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაუფარავი ვალის სრულად დასაფარად იქნა გამოყენებული. კომპანიამ ასევე დაფარა სუბორდინირებული სესხი დაკავშირებული მხარეების მიმართ, დაფარვის თარიღისთვის დარიცხული დაუფარავი პროცენტის ჩათვლით. შემოსავლების დარჩენილი ნაწილი კომპანიამ მის მიმდინარე პროცენტიან ანგარიშზე შეინახა და ზოგადი კორპორატიული მიზნებისთვის იქნა გამოყენებული.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, კომპანია ფლობს გამოსყიდულ ევროობლიგაციებს ნომინალური ღირებულებით 2,600 აშშ დოლარი.

(c) ქართული დეპოზიტარული ხელწერილები

2020 წელს, კომპანიამ განახორციელა ქართული დეპოზიტარული ხელწერილების (GeDN) გამოშვება „Euronext Dublin"-ის გლობალურ სავალუტო ბაზარზე კოტირებული ევროობლიგაციების საფუძველზე ("ხელწერილები"). GeDN-ის ნომინალური ღირებულება არის 1 ათასი აშშ დოლარი (ევროობლიგაციების მინიმალურ ნომინალურ ღირებულებასთან, 200 ათასი აშშ დოლართან შედარებით), ის მფლობელს აძლევს არაპირდაპირ საკუთრებას ევროობლიგაციებზე და იმეორებს შესაბამისი აქტივის უმეტეს პირობას. GeDN პროგრამა წარმოადგენს საქართველოში გამოშვებულ სადებიუტო დეპოზიტარულ ინსტრუმენტს და მიზნად ისახავს ადგილობრივი მოთხოვნის და სილქნეტის ევროობლიგაციების ლიკვიდურობის გამყარებას. ხელწერილების გამოშვება არ წარმოადგენს დამატებით დავალიანებას კომპანიისთვის.

(d) უზრუნველყოფილი საბანკო სესხი

2019 წლის მარტში, კომპანიამ ბანკთან აშშ დოლარში დენომინირებული, განახლებადი საკრედიტო ხაზის ("RCF") უზრუნველსაყოფად, ჯგუფის აშშ დოლარში დენომინირებულ ევროობლიგაციებზე კუპონის გადახდების უზრუნველყოფის მიზნით, ხუთწლიანი ხელშეკრულება დადო, კომპანიისთვის მაქსიმალური ხელმისაწვდომი თანხით 20 მილიონი აშშ დოლარი. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო ხაზი არ ყოფილა გამოყენებული.

(e) დაფინანსების საქმიანობების შედეგად წარმოშობილი ცვლილებები ვალდებულებებში

'000 ლარი	გადასახდელი დივიდენდები	საიჯარო ვალდებულებები	სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები*	სესხები და კრედიტები	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	1,043	57,617	167	634,620	693,447
გადახდილი პროცენტი	-	(6,126)	-	(77,656)	(83,782)
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა გადახდები	-	-	(7,798)	-	(7,798)
საიჯარო გადახდები	-	(8,194)	-	-	(8,194)
სულ ცვლილებები დაფინანსები ფულადი ნაკადებიდან	-	**(14,320)**	**(7,798)**	**(77,656)**	**(99,774)**
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	-	**1,739**	-	**87,484**	**89,223**
სხვა ცვლილებები					
საპროცენტო ხარჯი	-	6,126	-	78,173	84,299
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტის ცვლილების გავლენა (შენიშვნა 20 (f))	-	-	(5,794)	-	(5,794)
არარეზიდენტის გადახდილი მოგების გადასახადი	-	-	-	(30)	(30)
რეზიდენტი ფიზიკური პირებისთვის გადახდილი მოგების გადასახადი	-	-	-	(108)	(108)
პერიოდის განმავლობაში ამოქმედებული საიჯარო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი საიჯარო ვალდებულებების აღიარება	-	6,440	-	-	6,440
ROU ჩამოწერა და შესაბამისი საიჯარო ვალდებულება შეწყვეტილი ხელშეკრულებებისთვის	-	(5,341)	-	-	(5,341)
სულ ვალდებულებებთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	-	**7,225**	**(5,794)**	**78,035**	**79,466**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**1,043**	**52,261**	**(13,425)**	**722,483**	**762,362**

სოფიო კაპანაძე

'000 ლარი	გადასახდელი დივიდენდები	საიჯარო ვალდებულებები	სესხები და კრედიტები	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	6,484	58,719	443,406	508,609
შემოსულობები სესხებიდან	-	-	530,651	530,651
სესხების დაფარვა	-	-	(359,520)	(359,520)
სუბორდინირებული სესხის დაფარვა	-	-	(30,326)	(30,326)
გადახდილი, სესხის რეფინანსირების საფასური	-	-	(7,262)	(7,262)
გადახდილი პროცენტი	-	(6,890)	(49,773)	(56,663)
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა გადახდები	-	-	(1,280)	(1,280)
სუბორდინირებული სესხის პროცენტის დაფარვა	-	-	(4,989)	(4,989)
ევროობლიგაციების გამოსყიდვა	-	-	(8,343)	(8,343)
საიჯარო გადახდები	-	(4,513)	-	(4,513)
გადახდილი დივიდენდები	(5,441)	-	-	(5,441)
სულ ცვლილებები დაფინანსების ფულადი ნაკადებიდან	**(5,441)**	**(11,403)**	**69,158**	**52,314**
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	**-**	**817**	**38,682**	**39,499**
სხვა ცვლილებები				
საპროცენტო ხარჯი	-	6,890	75,817	82,707
ბანკის საკომისიო სესხის ადრე დაფარვისთვის	-	-	7,262	7,262
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტის ცვლილების გავლენა	-	-	1,447	1,447
სააქციო კაპიტალის ზრდა	-	-	(15,884)	(15,884)
ევროობლიგაციების შემოსავლებიდან პირდაპირ დაქვითული გადახდები	-	-	(10,411)	(10,411)
ევროობლიგაციების გარიგების ხარჯები	-	-	9,050	9,050
გადახდილი არარეზიდენტის მოგების გადასახადი	-	-	(162)	(162)
რეზიდენტი ფიზიკური პირებისთვის გადახდილი მოგების გადასახადი	-	-	(23)	(23)
პერიოდის განმავლობაში ამოქმედებული საიჯარო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი საიჯარო ვალდებულებების აღიარება	-	5,391	-	5,391
ROU ჩამოწერა და შესაბამისი საიჯარო ვალდებულება შეწყვეტილი ხელშეკრულებებისთვის	-	(2,797)	-	(2,797)
სულ ვალდებულებებთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	**-**	**9,484**	**67,096**	**76,580**
სულ კაპიტალთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები (იხილეთ შენიშვნა 19)	**-**	**-**	**16,445**	**16,445**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**1,043**	**57,617**	**634,787**	**693,447**

(f) სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები

* სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტი წარმოადგენს საკურსო სვოპ ინსტრუმენტს სს "თიბისი ბანკთან", შეფასებული სამართლიანი ღირებულებით თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ დადო გარიგება 2019 წლის ივნისში მის ევროობლიგაციებთან დაკავშირებული აშშ დოლარში დენომინირებული სავალუტო დაქვემდებარების სამართავად. სვოპი სტრუქტურირებულია როგორც სესხი ფულადი სახსრების დაფარვით, რომლის თანახმადაც კომპანიამ განათავსა 35,000 ათასი აშშ დოლარი (114,681 ათასი ლარი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის) და გაიტანა სესხი ეკვივალენტური ოდენობით ლარში (98,948 ათასი ლარი). სესხს აქვს 5.14%-იან საპროცენტო განაკვეთი, დამატებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების

განაკვეთი; დეპოზიტს აქვს საპროცენტო განაკვეთი 3.1%-ის ოდენობით დამატებული LIBOR განაკვეთი. დეპოზიტი დაგირავებულია საბანკო სესხის უზრუნველსაყოფად. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება შეადგენდა 13,425 ათასი ლარის ოდენობით აქტივს (2019: 167 ათასი ლარის ოდენობით ვალდებულება). სამართლიანი ღირებულება ფასდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეორე დონის მიხედვით.

21. იჯარები

ჯგუფის საიჯარო ხელშეკრულებები დიდწილად უკავშირდება სხვადასხვა ტერიტორიების იჯარებს (მიწა, სახურავების ზედაპირი, სივრცე ფიჭურ კოშკებში და სივრცე ბოჭკოვანი კაბელებისთვის, და ა.შ.) რაც ჯგუფის სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობის განთავსებას უკავშირდება. ჯგუფი აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც არის გრძელვადიანი ხელშეკრულებით ან არსით. რადგან ეფექტური საიჯარო ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა საკუთარ მსჯელობას იყენებს, ფასს 16-ის მიზნებისთვის გამოყენებული საიჯარო ვადები შეიძლება განსხვავდებოდეს მინიმალური სახელშეკრულებო საიჯარო პერიოდებისგან. სხვაობების შეჯამება არის შემდეგი:

	მინიმალური სახელშეკრულებო საიჯარო პერიოდი	საიჯარო ვადის შეფასება გამოყენებული ფასს 16-ის მიზნებისთვის გადასვლიდან
ტერიტორიის იჯარა ფიქსირებული მომსახურებისთვის	4-10	იგივე რაც სახელშეკრულებო
ტერიტორიის იჯარა მობილური მომსახურებისთვის	1-6*	7

* მინიმალური სახელშეკრულებო საიჯარო პერიოდები >70% მობილური ტერიტორიებისთვის ხელშეკრულების დაწყების თარიღისთვის 1-6 წლამდე დიაპაზონში მერყეობს.

იჯარებისთვის საიჯარო ვალდებულებების შეფასებისას, ჯგუფი ადისკონტირებს მის საიჯარო გადახდებს მისი მზარდი სასესხო განაკვეთის გამოყენებით იჯარის აღიარების თარიღისთვის. 2020 და 2019 წლებში გამოყენებული საშუალო შეწონილი განაკვეთი იყო დაახლოებით 12%.

'000 ლარი	ტერიტორიის იჯარა მობილური მომსახურებისთვის	ტერიტორიის იჯარა ფიქსირებული მომსახურებისთვის	ფართის იჯარა შპს "სილქ მედიასთვის"	სულ
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვრისთვის	47,618	5,254	-	52,872
შესყიდვები	4,506	-	1,934	6,440
გასვლა	(6,489)	-	-	(6,489)
დაგროვილი ცვეთის გასვლა	1,210	-	-	1,210
ცვეთის დარიცხვა	(7,958)	(904)	(387)	(9,249)
მთლიანი ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	53,311	5,859	1,934	61,104
დაგროვილი ცვეთა 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	(14,425)	(1,509)	(387)	(16,321)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**38,886**	**4,350**	**1,547**	**44,783**
საიჯარო ვალდებულება 2020 წლის 1 იანვრისთვის	(51,415)	(6,202)	-	(57,617)
შესყიდვები	(4,506)	-	(1,934)	(6,440)
გასვლა	5,340	-	-	5,340
პროცენტის დარიცხვა	(5,279)	(701)	(146)	(6,126)
გადახდები	11,879	1,363	1,078	14,320
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	(709)	(834)	(195)	(1,738)
საიჯარო ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**(44,690)**	**(6,374)**	**(1,197)**	**(52,261)**

'000 ლარი	ტერიტორიის ოჯარა მობილური მომსახურებისთვის	ტერიტორიის ოჯარა ფიქსირებული მომსახურებისთვის	სულ
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრისთვის	**55,564**	**3,155**	**58,719**
შესყიდვები	2,687	2,704	5,391
გასვლა	(2,957)	-	(2,957)
დაგროვილი ცვეთის გასვლა	236	-	236
ცვეთის დარიცხვა	(7,912)	(605)	(8,517)
მთლიანი ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	55,294	5,859	61,153
დაგროვილი ცვეთა 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	(7,676)	(605)	(8,281)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**47,618**	**5,254**	**52,872**
საოჯარო ვალდებულება 2019 წლის 1 იანვრისთვის	**(55,564)**	**(3,155)**	**(58,719)**
შესყიდვები	(2,687)	(2,704)	(5,391)
გასვლა	2,798	-	2,798
პროცენტის დარიცხვა	(6,257)	(633)	(6,890)
გადახდები	10,667	736	11,403
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	(372)	(446)	(818)
საოჯარო ვალდებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**(51,415)**	**(6,202)**	**(57,617)**

22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული და აბონენტებისგან მიღებული ავანსები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
	გრძელვადიანი	მიმდინარე	გრძელვადიანი	მიმდინარე
ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივებისთვის	23,209	42,580	6,100	25,866
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	-	27,111	-	19,445
ვალდებულებები ლიცენზიებისთვის და მაუწყებლობის უფლებებისთვის	8,716	17,863	6,001	11,371
ვალდებულებები სხვა ოპერატორების მიმართ	-	4,550	-	6,297
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	-	3,276	-	3,254
სხვა ვალდებულებები	-	1,066	-	1,147
გადასახდელი დივიდენდი	1,043	-	1,043	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**32,968**	**96,446**	**13,144**	**67,380**
IRU ხელშეკრულებებიდან მიღებული ავანსები	13,014	1,888	13,648	1,925
აბონენტებისგან მიღებული ავანსები	897	21,153	1,014	20,024
სულ სახელშეკრულებო ვალდებულებები	**13,911**	**23,041**	**14,662**	**21,949**
წინასწარი გადახდებიდან სულ	**46,879**	**119,487**	**27,806**	**89,329**

ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივებისთვის წარმოადგენს გადავადებული გადახდების დისკონტირებულ ღირებულებას ძირითადი საშუალებების შესყიდვისთვის, რომლებიც ჯგუფის მიერ განხორციელებულ ქსელის განახლებისა და გაფართოების პროექტებს უკავშირდება. 2020 წელს, ამ წლის გაურკვეველ საბაზრო მდგომარეობაში ძლიერი ფულადი ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით (იხ. შენიშვნა 27), ხელმძღვანელობამ აწარმოა მოლაპარაკებები გახანგრძლივებულ გადახდის პირობებზე მის რამდენიმე ძირითად მომწოდებელთან. 2020 წელს, თავდაპირველი აღიარებისას, ვალდებულებები ძირითადი საშუალებების შესყიდვისთვის იქნა დისკონტირებული ჯგუფის 9%-იანი მზარდი სასესხო განაკვეთის გამოყენებით და დაახლოებით 5 მილიონი ლარის ოდენობით დისკონტირება იქნა აღიარებული როგორც ძირითადი საშუალებების ღირებულების შემცირება, რადგან გადახდები იქნა გადავადებული 12 თვეზე მეტი ვადით. გრძელვადიანი აქტივებისთვის ვალდებულებების ძირითადი ნაწილი დენომინირებულია აშშ დოლარში ან ევროში და შესაბამისად ექვემდებარება უცხოური გაცვლითი კურსის რყევებს (იხ. შენიშვნა 23 (b)(iii)).

23. სამართლიანი ღირებულებები და ფინანსური რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა, გაურკვევლობებიდან და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს იმ ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვით ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადაცემით შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციაში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება ძირი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც ანგარიშგების თარიღში პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, ობლიგაციების გარდა (იხ. შენიშვნა 20(b)), მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო ჯგუფი შემდეგ რისკებს გასწევს:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;

რისკის მართვის სტრუქტურა

დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად, აქვს სრული პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე; ის პასუხს აგებს ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს აქციონერებს.

ჯგუფის რისკების მართვის მიმართ მიდგომა განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის მიდგომები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით ჯგუფის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

სამეთვალყურეო საბჭო ჯგუფის მიერ მიღებულ რისკების მართვის მიდგომების ადეკვატურობას აკონტროლებს.

(i) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკს, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაგენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშვება ჯგუფის სასესხო მოთხოვნებთან, სავაჭრო მოთხოვნებთან და საბანკო ნაშთებთან მიმართებაში.

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე, აღიარებული ფინანსური აქტივებისთვის და აუღიარებელი ვალდებულებებისთვის, საანგარიშგებო თარიღისთვის, იყო შემდეგი:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	24,728	27,782
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	77,777	74,845
აღიარებული ფინანსური აქტივები	**102,505**	**102,627**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო ხარჯები

საკრედიტო რისკი იმართება კლიენტების კრედიტუნარიანობის შეფასების გზით, მანამ სანამ ჯგუფის სტანდარტული გადახდის და მომსახურების პირობები იქნება შეთავაზებული. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით ზოგადად არ მოითხოვება რაიმე სახის უზრუნველყოფა.

კლიენტის საკრედიტო რისკის მონიტორინგის პროცესში, კლიენტები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის იმის გათვალისწინებით, ისინი ფიზიკური პირები არიან, თუ - იურიდიული, ისინი საბითუმო, საცალო თუ საბოლოო მომხმარებლებს წარმოადგენენ, გათვალისწინებულია მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მრეწველობა, ასაკობრივი პროფილი, ხანდაზმულობა და ადრე არსებული ფინანსური სირთულეები.

ჯგუფი განსაზღვრავს გაუფასურების რეზერვს, რომელიც წარმოადგენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში მოსალოდნელი ზარალის მისეულ შეფასებას. აღნიშნული რეზერვის ძირითადი შემადგენელი ნაწილია ჯგუფური ზარალის კომპონენტი. ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შიდა საცალო კლიენტების მიმართ არის. ჯგუფს არ აქვს კლიენტების არსებითი კონცენტრაცია.

გაუფასურების ზარალი

გაუფასურების ზარალის რეზერვები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის რისკ-ჯგუფების მიხედვით არის შემდეგი:

	ჯგუფურად შეფასებული			ინდივიდუალურად შეფასებული		
31 დეკემბერი 2020	მთლიანი საბალანსო ღირებულება	გაუფასურების ზარალის რეზერვი	კრედიტით გაუფასურე-ბული	მთლიანი საბალანსო ღირებულება	გაუფასურების ზარალის რეზერვი	კრედიტით გაუფასურე-ბული
მიმდინარე	16,009	186	არა	8,120	-	არა
1-30 დღემდე ვადაგადაცილება	765	151	არა	-	-	არა
31-90 დღემდე ვადაგადაცილება	453	297	არა	-	-	არა
91-150 დღემდე ვადაგადაცილება	355	340	დიახ	-	-	დიახ
150 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	17,952	17,953	დიახ	2,410	2,410	დიახ
სულ	**35,534**	**18,927**		**10,530**	**2,410**	

	ჯგუფურად შეფასებული			ინდივიდუალურად შეფასებული		
31 დეკემბერი 2019	მთლიანი საბალანსო ღირებულება	გაუფასურების ზარალის რეზერვი	კრედიტით გაუფასურე -ბული	მთლიანი საბალანსო ღირებულება	გაუფასურების ზარალის რეზერვი	კრედიტით გაუფასურე -ბული
მიმდინარე	15,711	229	არა	11,288	-	არა
1-30 დღემდე ვადაგადაცილება	705	110	არა	-	-	არა
31-90 დღემდე ვადაგადაცილება	608	321	არა	-	-	არა
91-150 დღემდე ვადაგადაცილება	484	427	დიახ	-	-	დიახ
150 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	16,095	16,022	დიახ	2,318	2,318	დიახ
სულ	**33,603**	**17,109**		**13,606**	**2,318**	

მოძრაობა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხებში იყო შემდეგი:

'000 ლარი	2020	2019
1 იანვარს	(19,427)	(15,895)
დარიცხვა წლის განმავლობაში	(2,040)	(4,188)
წლის განმავლობაში უიმედოდ ჩამოწერილი ოდენობების აღდგენა	130	656
31 დეკემბერს	**(21,337)**	**(19,427)**

100%-იანი გაუფასურების განაკვეთი გამოყენებულ იქნა 150 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე საცალო მომხმარებლების მიმართ არსებულ მთლიან სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში. უფრო დაბალი გაუფასურების განაკვეთები, გამოიყენება იმ სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რისკის კატეგორიებისთვის, რომლებიც ვადაგადაცილებულია უფრო მოკლე პერიოდით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის გამოიყენება სარეზერვო ანგარიში, ვიდრე ჯგუფი არ დარწმუნდება რომ ვერ მიიღებს მისდამი მართებული თანხებს; ამ დროს თანხა მიიჩნევა უიმედოდ და ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსურ აქტივთან მიმართებაში.

საბანკო ნაშთები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ძირითადად ქართულ ბანკებშია განთავსებული, რომლებსაც „Fitch"-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგი BB-. ჯგუფი არ მოელის რომ რომელიმე კონტრაგენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

(ii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც ჯგუფს ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. ჯგუფი შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში არასაჭირო დანაკარგების ან ჯგუფის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ამ მიზნით, ჯგუფი აკეთებს მოკლევადიან პროგნოზებს ფულადი ნაკადებისთვის, სავარაუდო ფინანსური საჭიროებების საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება საოპერაციო საქმიანობების ხასიათით. როგორც წესი, ეს საჭიროებები განიხილება ყოველწლიურ და ყოველთვიურ საფუძველზე. ფინანსური საჭიროებების მართვის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებისგან ყოველდღიურად იღებს ფულად ნაკადებს. ეს უზრუნველყოფს ჯგუფს საკმარისი ფულადი სახსრებით მისი ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად. ჩვეულებრივ, ჯგუფი უზრუნველყოფს, რომ მოთხოვნისთანავე ჰქონდეს 30 დღის საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო ფულადი სახსრები. ეს გამორიცხავს პოტენციურ, ექსტრემალური ვითარებებით მიყენებულ დარტყმებს, რომელთა წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელია; ამგვარი ვითარებები მოიცავს სტიქიურ უბედურებებს.

ქვემოთ მოცემულია საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო ვადიანობა. თანხები ბრუტო ფორმით და დისკონტირების გარეშეა წარმოდგენილი და მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთგაქვითვის ხელშეკრულებების გავლენას:

31 დეკემბერი 2020

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სულ	მოთხოვნამდე	3 თვეზე ნაკლები	3-12 თვემდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	-						
სესხები და კრედიტები	722,483	970,148	-	34,479	74,073	861,596	-
საიჯარო ვალდებულება	52,261	66,887	-	3,262	9,943	51,441	2,241
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	129,414	136,590	17,275	31,319	41,542	46,454	-
სულ	**904,158**	**1,173,625**	**17,275**	**69,060**	**125,558**	**959,491**	**2,241**

31 დეკემბერი 2019

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სულ	მოთხოვნამდე	3 თვეზე ნაკლები	3-12 თვემდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სესხები და კრედიტები	634,787	923,451	-	1,679	71,249	850,523	-
საიჯარო ვალდებულება	57,617	79,079	-	-	13,036	51,748	14,295
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	80,524	83,284	50,338	4,855	9,869	11,320	6,902
სულ	**772,928**	**1,085,814**	**50,338**	**6,534**	**94,154**	**913,591**	**21,197**

მიუხედავად წმინდა მიმდინარე ვალდებულების პოზიციისა და გონივრული შესაძლო უარყოფითი მოვლენათა განვითარების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2020 წლის 31 დეკემბრისთვის და ახლო მომავალში ჯგუფს აქვს საკმარისი ფულადი სახსრები მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ხელმძღვანელობის შეფასება დაფუძნებულია ფაქტორებზე როგორიცაა არსებითი ფულადი სახსრების ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის (შენიშვნა 18), დადებითი კორექტირებული EBITDA (შენიშვნა 12) და მზარდი კლიენტთა ბაზა და ახალი ქსელის გაშლა (შენიშვნა 13). ჯგუფის ლიკვიდურობის რისკი, უცხოური გაცვლითი კურსის მოძრაობაზე არსებითი დაქვემდებარების ჩათვლით (შენიშვნა 23 (b)), იმართება უცხოური ვალუტის ჰეჯირებით (შენიშვნა 20 (f)), კაპიტალური დანახარჯების მკაცრი მონიტორინგით, რომელიც ძირითადად არის დისკრეციული მისი ბუნებით, და კომპანიის უნარით გაახანგრძლივოს არსებული სასესხო ინსტრუმენტები (იხ. შენიშვნა 20). წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღისთვის, პროლონგაციის ყველაზე დიდი რისკი რომლის წინაშეც დგას ჯგუფი უკავშირდება მის 200 ათასი აშშ დოლარის ევრობლიგაციებს დაფარვის ვადით 2024 წელი. ობლიგაციები ამჟამად ივაჭრება არსებითად დაბალი ამონაგებით (დაახლოებით 7%), თავდაპირველ 11%-თან შედარებით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საბაზრო მონაცემები ადეკვატურად ასახავს ბაზრის და ინვესტორების მადას და შესაბამისად სჯერა კომპანიის უნარის მოახდინოს არსებული ევრობლიგაციების გახანგრძლივება/რეფინანსირება რაიმე არსებითი უარყოფითი შედეგების გარეშე.

(iii) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ჯგუფიარ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მოგებასა თუ ზარალში მერყეობის მართვის მიზნით.

სავალუტო რისკი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის დამოკიდებულება სავალუტო რისკზე ძირითადად კაპიტალურ დანახარჯებს და აშშ დოლარში დენომინირებულ ევროობლოგაციებს უკავშირდება.

ჯგუფის დაქვემდებარება სავალუტო რისკზე, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის გავლენის გათვალისწინებით (იხ. შენიშვნა 20 (f)), იყო შემდეგი:

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2020	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2019
საბანკო ნაშთები	34,146	53,283
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,768	5,898
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(77,411)	(43,390)
სესხები და კრედიტები (სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტის ჩათვლით)	(573,341)	(499,769)
წმინდა დაქვემდებარება	**(613,838)**	**(483,978)**

'000 ლარი	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2020	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,869	1,892
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(36,709)	(18,649)
წმინდა დაქვემდებარება	**(34,840)**	**(16,757)**

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო განაკვეთი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთი	
	2020	2019	2020	2019
1 აშშ დოლარი	3.1097	2.8192	3.2766	2.8677
1 ევრო	3.5519	3.1553	4.0233	3.2095

მგრძნობელობის ანალიზი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება/(შესუსტება), ქვემოთ მოცემულის შესაბამისად, აშშ დოლართან მიმართებაში იმოქმედებდა აშშ დოლარში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგებაზე ან ზარალზე (დაბეგვრამდე) ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ვალუტის მოძრაობას არ ექნება პირდაპირი გავლენა სხვა სრულ შემოსავალზე ან კაპიტალზე. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

'000 ლარი	გამყარება		შესუსტება	
	კაპიტალი	მოგება ან (ზარალი)	კაპიტალი	მოგება ან (ზარალი)
31 დეკემბერი 2020				
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	-	61,384	-	(61,384)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	-	3,484	-	(3,484)
31 დეკემბერი 2019				
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	-	48,398	-	(48,398)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	-	1,676	-	(1,676)

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

საანგარიშგებო თარიღისთვის, ჯგუფის ცვლადი პროცენტის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების პროფილი იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	34,461	34,481
	34,461	**34,481**

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

გარდა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტისა (იხ. შენიშვნა 20 (f)), ჯგუფი არ აღრიცხავს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. შესაბამისად, საანგარიშგებო თარიღისთვის, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება არსებით გავლენას ვერ მოახდენდა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

ფულადი ნაკადების მგრძნობელობის ანალიზი ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

100 საბაზისო პუნქტიანი გონივრული შესაძლო ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში საანგარიშგებო თარიღისთვის 345 ათასი ლარის ოდენობით გავლენას იქონიებდა მოგებაზე ან ზარალზე. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ უცხოური ვალუტის კურსები, უცვლელი დარჩება.

24. პირობითი ვალდებულებები

(a) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს არანაირი დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული. ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს ჯგუფისეული ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირებას. კომპანიის საგადასახადო პოზიცია 2019 წლის 1 აგვისტომდე შემოწმებულია საგადასახადო ინსპექციის მიერ (იხ. შენიშვნა 11).

(b) სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, ჯგუფი დაქვემდებარებულია სარჩელებსა და საჩივრებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის მომავალი ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

(c) მარეგულირებელი გარემო

2020 წლის 19 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში, რომელიც შემოთავაზებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ("GNCC"). ცვლილებების თანახმად, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ენიჭება დისკრეციული უფლებამოსილება, დანიშნოს დროებითი ადმინისტრატორი და შეაჩეროს რეგულირებული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის წევრების უფლებამოსილება, თუ ორგანიზაცია დაარღვევს გარკვეულ ვალდებულებებს, რაც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) ვალდებულებებს ბიზნესების და/ან აქტივების შეძენასთან, შერწყმასთან, ქსელზე წვდომასთან და ტარიფების რეგულირებასთან დაკავშირებით (ვალდებულებები „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე, 27-ე, 34-ე და 35-ე მუხლების შესაბამისად). კანონში ცვლილებების მიღებამდე კომუნიკაციების ეროვნული კომისია უფლებამოსილი იყო დაეკისრებინა გადასახადი და შეეჩერებინა რეგულირებული პირის უფლებამოსილება ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნა ქმნის შუალედურ ზომას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირის მიმართ წერილობითი გაფრთხილება და ჯარიმა აღმოჩნდა არაეფექტური და უფლებამოსილების შეჩერება ქვეყნის საუკეთესო ეკონომიკურ ინტერესს ეწინააღმდეგება.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ კანონში შეტანილი ცვლილებები ინდუსტრიის მონაწილეებს დამატებით სანქციებს უწესებს, კომპანიას რეგულაციებთან შესაბამისობის ისტორია აქვს და აქვს განზრახვა და შესაძლებლობა, რომ მომავალშიც უზრუნველყოს კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან შესაბამისობა. შესაბამისად, ხელმძღვანელობა არ მოელის რომ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილ ცვლილებებს რაიმე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ექნებათ ბიზნესის ჩვეულებრივ მიმდინარეობაზე.

25. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიაა შპს "სილქნეტ ჰოლდინგი". კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიაა „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ (მალტა) ლიმიტედი" - ფიზიკური პირის, გიორგი რამიშვილის მიერ კონტროლირებული საწარმო. კომპანიის მშობელი კომპანიები არ გამოსცემენ საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას.

(b) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს კომპანიის წამყვანი ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს ხელფასებს და ბონუსებს და შეტანილია "ხელფასები და სარგებლის" მუხლში (იხ. შენიშვნა 9):

'000 ლარი	2020	2019
ხელფასები	4,964	2,658
ბონუსები	185	2,530
	5,149	**5,188**

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

'000 ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბერს	
	2020	2019	2020	2019
სხვა საოპერაციო ხარჯები:				
სხვა დაკავშირებული მხარეები	212	107	-	-
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები*	5,784	3,345	(1,896)	(153)
სუბორდინირებული სესხი:				
მშობელი კომპანია (შენიშვნა 19 (a))	-	35,315	-	(1)
გამოყენებული საწვავი და საპოხი მასალები:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	2,014	2,453	(157)	(146)
საინვესტიციო ქონების შეძენა (შენიშვნა 15):				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	31,783	29,582	-	-
სხვა:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	697	-	(19)	-

* 2020 წელს, სხვა საოპერაციო ხარჯები საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებთან ძირითადად მოიცავს: "SRG Investments"-ის მიერ კომპანიისთვის გაწეული 3,062 ათასი ლარის ღირებულების საკონსულტაციო მომსახურება (2019: ნული) სტრატეგიის განვითარებასთან, დაფინანსებასთან, საინვესტიციო გადაწყვეტილებებთან და კონკრეტულ მარეგულირებელ საკითხებთან დაკავშირებით და უსაფრთხოების ხარჯები 1,935 ათასი ლარის ოდენობით (2019: 1,583 ათასი ლარი). 1,197 ათასი ლარის ოდენობით დაუფარავი ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოადგენს საიჯარო ვალდებულებას შპს "სილქ მედიას" მიერ დაკავშირებული მხარისგან საოფისე ფართის იჯარისთვის. საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადინება 1,078 ათას ლარს შეადგენდა (იხ. შენიშვნა 21). საიჯარო ხელშეკრულებას ვადა 2025 წელს ეწურება. ყველა დაუფარავი ნაშთი დაკავშირებული მხარეების მიმართ, საიჯარო ვალდებულების გარდა, უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ფულადი სახსრებით საანგარიშგებო თარიღიდან 6 თვის განმავლობაში. არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი.

26. შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანია	რეგისტრაციის ქვეყანა	31 დეკემბერი 2020 მფლობელობა/ ხმის მიცემა	31 დეკემბერი 2019 მფლობელობა/ ხმის მიცემა
შპს "ქარვა"	საქართველო	51%	51%
შპს "სილქ მედია"	საქართველო	100%	100%
შპს "ნოვუსი"	საქართველო	100%	100%
"WiMax Georgia"	საქართველო	100%	100%
NG Georgia N(N)LE	საქართველო	100%	100%
დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი	საქართველო	100%	100%

2019 წელს სილქნეტმა და Euronews-მა „Euronews Georgia"-სთან დაკავშირებით (უფასო ახალი ამბების არხი რომელიც იქნება ქართულ ენაზე) ურთიერთგაგების მემორანდუმი დადეს. ამ მიზნისთვის, სილქნეტმა შპს „სილქ მედია" დაარსა (100%-ით ფლობილი შვილობილი კომპანია). Euronews-ი პასუხისმგებელი იქნება „Euronews Georgia"-ს საგამომცემლო პოლიტიკაზე და არხის ახალი ამბების დირექტორს დანიშნავს. Euronews-ი მის მასალებს „Euronews Georgia"-ს გაუზიარებს, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი გარკვეულ ადგილობრივ მასალას მოამზადებს რომელსაც ის Euronews-ს გაუზიარებს.

27. COVID-19-ის გავლენა

COVID-19-ის აფეთქებამ არსებითი გავლენა საქართველოში 2020 წლის თებერვლის ბოლოდან იქონია. 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა და საქართველოს მთავრობამ დაიწყო გარკვეული ზომების მიღება ვირუსის შესაჩერებლად - დაწესდა შეზღუდვები ტრანსსასაზღვრო გადაადგილებაზე, ბიზნეს საზოგადოებისთვის იქნა მიცემული მითითება თანამშრომლების დისტანციურ მუშაობის რეჟიმზე გადაყვანის შესახებ და ა.შ. სოციალური დისტანცირების გასაუმჯობესებლად, სკოლები, რესტორნები, კინოთეატრები და სპორტული ღონისძიებები 2020 წლის უმეტესი პერიოდის განმავლობაში იქნა შეჩერებული.

COVID-19– ის აფეთქებამ არსებითი გავლენა იქონია ეკონომიკასა და ბიზნესგარემოზე გლობალურ დონეზე და საქართველოში. 2020 წლისთვის საქართველოს მშპ-ს რეალური წლიური ცვლილება ნავარაუდებია უარყოფით 6.1%-ზე (საქსტატის თანახმად), 2019 და 2018 წლებში დადებით 5.1% და 4.8%-თან შედარებით (შესაბამისად). მიუხედავად იმისა, რომ სატელეკომუნიკაციო სექტორი უფრო მდგრადია, ვიდრე სხვა სექტორების უმეტესობა, COVID-19– მა მაინც იქონია უარყოფითი გავლენა როგორც საქართველოს სატელეკომუნიკაციო სექტორზე, ისე სილქნეტზე.

საქართველოს კომუნიკაციების კომისია (ComCom) აქვეყნებს ყოველთვიურ სტატისტიკურ მონაცემებს საქართველოს ბაზარზე მსხვილი საცალო სატელეკომუნიკაციო მომსახურების შესახებ. ComCom– ის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, საცალო ბაზრის მთლიანი შემოსავლის წლიურმა ცვლილებამ წლის პირველი კვარტლისთვის შეადგინა 8%, 2020 წლის დარჩენილი ნაწილის უარყოფით 1%-თან შედარებით. იმავე წყაროს თანახმად, სილქნეტის საცალო შემოსავლის ზრდამ პირველ კვარტალში 9%-ს მიაღწია და წლის ბოლომდე უარყოფით 1% -მდე შემცირდა.

COVID-19 პანდემიის ძირითადი გავლენა ბიზნესსა და ინდუსტრიაზე შემდეგია:

- ტურიზმის დონის მნიშვნელოვანმა ვარდნამ უარყოფითად იმოქმედა ბაზარზე აქტიური სიმ ბარათების რაოდენობაზე და როუმინგულ და სხვა მობილური მომსახურებაზე გაწეულ მთლიან დანახარჯებზე.
- გადაადგილებაზე დაწესებულმა შეზღუდვებმა მომხმარებლების მობილობის, ხარჯებისა და შეძენების (განსაკუთრებით მობილური მომსახურების) შენელება გამოიწვია.
- ბიზნესების დროებითმა დახურვამ და შედეგად მიღებულმა სატელეკომუნიკაციო მომსახურების შეჩერებამ პირდაპირი გავლენა იქონია კომპანიის კორპორატიული სეგმენტიდან მიღებულ შემოსავალზე.
- ეკონომიკის შენელებამ გავლენა იქონია მომხმარებლების თავისუფალ ფულად სახსრებზე და ფიზიკური პირებისა და ბიზნესების ხარჯვის სტილზე.
- ადგილობრივი ვალუტის 12% -ით (წლის ბოლოს გაცვლითი კურსის ცვლილება) გაუფასურებამ აშშ დოლარის მიმართ არასასურველი გავლენა იქონია მომგებიანობაზე.
- ჯგუფი აკვირდებოდა და წარმატებით მართავდა მზარდ დატვირთვას ქსელზე წლის განმავლობაში. ტრაფიკის მოხმარება გაორმაგდა, ძირითადად ფიქსირებული განაკვეთისა და ულიმიტო კონტენტის შეთავაზებების შედეგად.
- ხელმძღვანელობა აკვირდებოდა და აქტიურად მართავდა კომპანიის მოკლევადიან ლიკვიდურობას. შედეგად, კომპანიამ წლის განმავლობაში მყარი ფულადი სახსრების ლიკვიდურობა შეინარჩუნა და არ გაუწევია არსებითი ზარალი უიმედო ვალებთან დაკავშირებით.
- კომპანიამ არ აიღო დამატებითი ვალები არც ლიკვიდურობის მიზნებისთვის და არც მისი მიმდინარე კაპიტალური ინვესტიციების პროექტებისთვის. ჯგუფის ქსელის განვითარებისა და გაფართოების არცერთი პროექტი არ ყოფილა შეჩერებული წლის განმავლობაში.

მიუხედავად მოკლევადიანი უარყოფითი გავლენისა, ხელმძღვანელობა აკვირდება ამ შეფერხების შედეგად გამოწვეულ, ადამიანების მუშაობისა და სწავლის სტილის გრძელვადიან ცვლილებებს. მაშინ როდესაც ზოგიერთი მსგავსი ცვლილება შეიძლება დროებითი იყოს, ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ დაჩქარებული დიგიტალიზაცია იქნება გრძელვადიანი და ეკონომიკის აღდგენასთან ერთად დამატებით საშუალებას მისცემს კომპანიას, რომ ისარგებლოს მზარდი მოხმარებით და მზარდი მოთხოვნით ციფრულ და OTT ('Over the counter') მომსახურებაზე.

28. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა:

- შვილობილი კომპანიების წმინდა იდენტიფიცირებადი აქტივებისა, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღირებისთვის;
- საინვესტიციო ქონებისა, რომელიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით; და
- წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით.

29. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, და თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ჯგუფის საწარმოების მიერ.

(a) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) საწარმოთა შერწყმა

საწარმოთა შერწყმა აღირიცხება შესყიდვის თარიღისთვის, რომელიც წარმოადგენს თარიღს როდესაც კონტროლი გადაეცემა ჯგუფს, შესყიდვის მეთოდის გამოყენებით.

ჯგუფი აფასებს გუდვილს შესყიდვის თარიღისთვის შემდეგნაირად:

- გადაცემული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება; დამატებული
- შეძენილ საწარმოში ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილების აღიარებული ოდენობა; დამატებული
- თუ საწარმოთა შერწყმა მიიღწევა ეტაპობრივად, შეძენილ საწარმოში ადრე არსებული კაპიტალის წილის სამართლიანი ღირებულება; გამოკლებული
- შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული ოდენობა (როგორც წესი, სამართლიანი ღირებულება).

როდესაც ნამეტი უარყოფითია, შესყიდვის ამონაგები ვაჭრობიდან დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადაცემული ანაზღაურება არ მოიცავს ადრე არსებული ურთიერთობების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ ოდენობებს. მსგავსი ოდენობები როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გარიგების ხარჯები, გარდა სესხებისა ან კაპიტალის ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან დაკავშირებულისა, რომლებსაც ჯგუფი საწარმოთა შერწყმასთან დაკავშირებით გასწევს აღიარდება ხარჯად მათი გაწევისთანავე.

ნებისმიერი პირობითი ანაზღაურების ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შესყიდვის თარიღისთვის. თუ პირობითი ანაზღაურება კლასიფიცირდება კაპიტალის სახით, მისი გადაფასება არ ხდება და ანგარიშსწორება აღირიცხება კაპიტალის ფარგლებში. სხვა შემთხვევაში, პირობითი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ii) არამაკონტროლებელი წილები

არამაკონტროლებელი წილი ფასდება ნასყიდობის თარიღში შემძენის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების წილის პროპორციულად. შვილობილ კომპანიაში ჯგუფის წილის ცვლილება, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება კაპიტალის ოპერაციების სახით.

(iii) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის მიერ კონტროლირებად საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან როდესაც მას აქვს უფლება ცვლად ამონაგებზე საწარმოში მისი ჩართულობიდან და როდესაც მას შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ ამონაგებზე საწარმოში მისი უფლებამოსილების გამოყენებით. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების თარიღიდან, მისი დასრულების თარიღამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკები შეიცვალა, როდესაც საჭირო გახდა მათი ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკებზე მორგება. შვილობილ კომპანიაში არამაკონტროლებელ წილთან დაკავშირებული ზარალი გადანაწილდება არამაკონტროლებელ წილებზე, მაშინაც კი თუ ამგვარი მოქმედება იწვევს არამაკონტროლებელი წილის დეფიციტურ ნაშთს.

(iv) კონსოლიდაციისას აღმოფხვრილი ოპერაციები

ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი ჯგუფის შიდა ნაშთები და ოპერაციები, ასევე ნებისმიერი ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯები აღმოიფხვრება.

(b) შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც ჯგუფი დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული მომსახურების კლიენტისთვის გადაცემის შედეგად. როდესაც ნაკისრი ვალდებულება დაკმაყოფილებულია, ჯგუფი აღიარებს შემოსავლად გარიგების ღირებულების თანხას, რომელიც გამორიცხავს მესამე მხარეების სახელზე შეგროვებულ თანხებს და ცვალებადი ხასიათის მქონე თანხების შეზღუდულ შეფასებებს, რომელიც განაწილებულია შესაბამის ნაკისრ ვალდებულებაზე.

ჯგუფის შემოსავლის ძირითად წყაროებს წარმოადგენს: მობილური ზარის განხორციელების მომსახურება, ინტერნეტი და „pay TV“ მომსახურებები, მობილური ინტერნეტის მომსახურება, ფიქსირებული და უკაბელო სატელეფონო მომსახურებები, რომელიც ძირითადად მოიცავს ურთიერთკავშირს, წუთობრივ დარიცხვას და ყოველთვიურ სააბონენტო გადასახადებს, ურთიერთჩართვის მომსახურებები და ხაზების იჯარა, როუმინგიდან მიღებული შემოსავალი, ტელეფონის და მისი აქსესუარების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი და სხვა. შემოსავლის აღიარება ხდება ფასდაკლებების, დამატებითი ღირებულებისა და აქციზის გადასახადის გამოკლების შემდეგ.

მობილური ზარის განხორციელების მომსახურება: შემოსავალი აღიარდება აბონენტების მიერ მობილურ სატელეფონო ზარებზე ფაქტობრივად გამოყენებული წუთების მიხედვით. წინასწარგადახდით აბონენტებისგან განსხვავებით, გამოუყენებელი წუთები არ არის აღიარებული შემოსავალში სანამ შესაბამისი მომსახურება არ იქნება გაწეული აბონენტზე, ან წინასწარგადახდილ აბონიმენტს ვადა არ გაუვა.

ფიქსირებული ქსელი და pay TV: შემოსავალი ფიქსირებული ქსელისა და pay TV მომსახურებიდან ძირითადად შედგება ყოველთვიური ფიქსირებული დარიცხვისგან ინტერნეტ კავშირის და pay TV მომსახურების გამოყენებისთვის და აღიარდება მომსახურების გაწევასთან ერთად.

მობილური ინტერნეტის მომსახურება: შემოსავალი თითოეული მონაცემთა მომსახურების აბონენტისგან. ამგვარი შემოსავალის აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

ფიქსირებული ხაზი და უკაბელო სატელეფონო მომსახურებები: წუთობრივი მომსახურების და დაკავშირების ღირებულება შემოსავლად აღიარდება მომსახურების გაწევის დროს, გამოყენებული წუთებისა და ხელშეკრულებაში განსაზღვრული საფასურების საფუძველზე. ყოველი თვის ბოლოს აბონენტთათვის დაურიცხავი, მაგრამ უკვე გაწეული მომსახურება აღიარდება შემოსავლად, ხოლო დარიცხული მაგრამ გაუწეველი მომსახურების შემოსავალი დროში გადავადდება. ყოველთვიური სააბონენტო საფასური შემოსავლად აღიარდება მომსახურების გაწევის თვეში.

ურთიერთჩართვის მომსახურებები: ქსელთან დაშვებით მიღებული ურთიერთჩართვის შემოსავლები, რომლებიც, თავის მხრივ, სხვა ოპერატორების მიერ ჯგუფის ქსელში დასრულებული ტრაფიკიდან მიიღება და რეგულირდება ხელშეკრულებებით, რომლებიც ასევე არეგულირებს ჯგუფის მიერ სხვა ოპერატორების ქსელით სარგებლობას. ურთიერთჩართვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია მომსახურების გაწევის დროს.
ინფრასტრუქტურის იჯარა IRU ხელშეკრულებებიდან: ინფრასტრუქტურის იჯარიდან შემოსავლები მოიცავს ჯგუფის საკაბელო ქსელის გამოყენებით დარიცხულ ყოველთვიურ ფიქსირებულ საფასურს. ამგვარი შემოსავალის აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

როუმინგიდან მიღებული შემოსავალი: შემოსავალი სხვა ოპერატორებისგან, არა-სილქნეტის აბონენტებისთვის, რომლებიც იყენებენ სილქნეტის ხმოვან, SMS და ინტერნეტ მომსახურებას. კომპანია აღიარებს ესეთ შემოსავლებს მომსახურების გაწევისთანავე.

ტელეფონის და აქსესუარების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი: შემოსავალი აღიარდება როდესაც ტექნიკა გადაეცემა საბოლოო მომხმარებელს.

სხვა შემოსავლები: შემოსავლის აღიარების პოლიტიკა სხვა შემოსავლებისთვის (SMS, MMS და სხვა დამატებითი ღირებულების მომსახურებები) მდგომარეობს შემოსავლის მომსახურების გაწევისთანავე აღიარებაში.

მნიშვნელოვანი გადახდის პირობები: ყველა მომსახურების გაწევის შემდგომ გადახდებისთვის აბონენტები ყოველთვიურად იხდიან თანხებს.

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- საპროცენტო ხარჯი;
- უცხოური ვალუტის შემოსავალი ან ზარალი ფინანსურ აქტივებზე, ფინანსურ ვალდებულებებზე და საინვესტიციო ქონებაზე;
- სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება მის მოგებაზე ან ზარალზე დარიცხვისთანავე, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სასესხო ხარჯი, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება კვალიფიციური აქტივების შესყიდვას, მშენებლობას ან წარმოებას, აღიარებული იქნება მოგებასა თუ ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმ ფაქტზე, წარმოდგენილია თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

(d) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ჯგუფის საწარმოების შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ამონაგები ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული, მოქმედი ვალუტის ამორტიზირებადი ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებადი ღირებულების სხვაობას.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება ისტორიული ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების განხორციელების თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(e) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა შერწყმას, პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის. მიმდინარე გადასახადის ხარჯი ასევე მოიცავს წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. თუმცა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი.

გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულების ურთიერთგაქვითვა ხელმისაწვდომია გადახდილ მოგების გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და დაშვებულ ფარგლებს გარეთ წარმომადგენლობით ხარჯებს. ჯგუფი ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(f) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილის პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებაზე ან დამუშავებაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს. საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(g) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები, გარდა მიწისა, ფასდება თვითღირებულებით აკუმულირებული ცვეთის და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწა ფასდება თვითღირებულებით რომელსაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

აქტივის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით. შეძენილი ძირითადი საშუალებების თვითღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადინებების მიმდინარე ღირებულებას თუ გადახდები 12-თვიან პერიოდზე მეტი ვადით არის გადავადებული.
თუ ძირითადი საშუალების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება ჯგუფში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. მოხსნილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო ჯგუფის შიდა ძალებით დამზადებული აქტივები - მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთა ანგარიშდება აქტივის ღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით მიღებულ აქტივებს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადასა და მათ სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესით, თუ გონივრულ ფარგლებში აშკარა არ გახდება, რომ იჯარის ვადის გასვლის შემდეგ ჯგუფი მოიპოვებს მათზე საკუთრების უფლებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა მიმდინარე და შესადარის პერიოდში, შემდეგია:

• შენობები და ინფრასტრუქტურები	25 -50 წელი;
• მანქანა-დანადგარები	3-20 წელი;
• სატრანსპორტო საშუალებები, ავეჯი და მოწყობილობები	3-10 წელი.

ცვეთის მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების გადახედვა ხორციელდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები კაპიტალური დანახარჯებისთვის ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით მზარდი სასესხო განაკვეთის გამოყენებით.

(h) არამატერიალური აქტივები

(i) გუდვილი

შვილობილი კომპანიების შეძენიდან წარმოქმნილი გუდვილი ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

(ii) სხვა არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი სხვა არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასრული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ფასდებიან თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. სხვა არამატერიალური აქტივები ძირითადად მოიცავს სატელეკომუნიკაციო საოპერაციო ლიცენზიებს, კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიებს და კაპიტალიზებულ სამაუწყებლო უფლებებს. სამაუწყებლო უფლებების ხელშეკრულება კაპიტალიზებულია თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- სავარაუდოა, რომ მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებელი რომელიც აქტივზე არის მიკუთვნებადი საწარმოში შემოედინება;
- აქტივის თვითღირებულება სანდოდ შეიძლება შეფასდეს.

კომპანია ითვალისწინებს ხელშეკრულების სხვა პირობებსაც როგორიც არის შეწყვეტის პირობები. კაპიტალიზებული სამაუწყებლო უფლებების ხელშეკრულებები დისკონტირებულია მზარდი სასესხო განაკვეთის საფუძველზე.

(iii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯის კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ აქტივში განივთებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა დანახარჯი, მათ შორის ჯგუფის შიგნით გენერირებულ გუდვილსა და ბრენდებზე გაწეული ხარჯები, აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

(iv) ამორტიზაცია

ამორტიზაცია ანგარიშდება აქტივის თვითღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულება. ამორტიზაცია, როგორც წესი, აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების (გარდა გუდვილისა) მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც ისინი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდება, რადგან ამგვარად შესაძლოა ყველაზე მიახლოებულად აისახოს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელი ფორმა. არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის 3-დან 10 წლამდე მერყეობს.

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები კაპიტალური დანახარჯებისთვის ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით მზარდი სასესხო განაკვეთის გამოყენებით.

(i) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით და შემდგომ სამართლიანი ღირებულებით, ხოლო ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, ფასს 13-ის მიხედვით, საწარმო უზრუნველყოფს, რომ სამართლიანი ღირებულება ასახავდეს დაშვებებს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები საინვესტიციო ქონების ფასის მიმდინარე საბაზრო პირობებში შეფასებისას გამოიყენებდნენ.

საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი (გამოთვლილი როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსულობასა და ერთეულის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(j) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში აკლასიფიცირებს.

ფასს 9 ადგენს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და სხვა არაფინანსური ერთეულების ყიდვა - გაყიდვის ხელშეკრულებების აღრიცხვისა და შეფასების მოთხოვნებს. ეს სტანდარტი ანაცვლებს ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება-ს.

(i) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9 უმეტესწილად ინარჩუნებს ბასს 39-ის, ფინანსური ვალდებულებების შეფასებისა და კლასიფიკაციის მოთხოვნებს. თუმცა, ის აუქმებს ბასს 39-ის დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივების, სესხებისა და მოთხოვნების და გასაყიდად ფლობილის კატეგორიებს.

ფასს 9-ის ფარგლებში, პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით - ვალის ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით - კაპიტალის ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფასს 9-ის მიხედვით ძირითადად ეფუძნება ბიზნესს მოდელს, რომლის ფარგლებში იმართება ფინანსური აქტივი და მისი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებს.

ფინანსური აქტივი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები გამოიყენება ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასებისას.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	ეს აქტივები შემდგომში შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზირებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით (იხილეთ (ii) ქვემოთ). საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით გამოწვეული ამონაგები და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ამონაგები ან ზარალი აღიარებდა მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.
სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ინვესტიციები	ეს აქტივები შემდგომში შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით. საპროცენტო შემოსავალი ითვლება ეფექტური პროცენტის მეთოდით, უცხოური ვალუტის გაცვლიდან მიღებული ამონაგები და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა წმინდა ამონაგები და ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში. აღიარების შეწყვეტისას, სხვა სრულ შემოსავალში დაგროვილი ამონაგები და ზარალი რეკლასიფიცირებულია მოგებაში ან ზარალში.

ფასს 9-ის მიღების გავლენა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებზე 2018 წლის 1 იანვრისთვის უკავშირდება მხოლოდ ახალი გაუფასურების მოთხოვნებს, როგორც აღწერილია ქვემოთ.

(ii) ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9 ანაცვლებს ბასს 39-ის „გაწეული ზარალის" მოდელს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის" მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი გამოიყენება ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებზე, სახელშეკრულებო აქტივებზე. ფასს 9-ის მიხედვით, საკრედიტო ზარალები აღიარდება უფრო ადრე ვიდრე ბასს 39-ის მიხედვით.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შედგება სავაჭრო მოთხოვნებისაგან, ფულადი ნაკადებისა და მათი ეკვივალენტებისაგან.

ფასს 9-ს მიხედვით, ზარალის რეზერვი აღირიცხება შემდეგიდან ერთ-ერთის მიხედვით:

- *12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი: ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც დგება ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისაგან ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის ვადაში; და*
- *არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი: ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც დგება ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისაგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების პერიოდის მანძილზე.*

კომპანიამ გადაწყვიტა აღერიცხა ზარალის რეზერვი სავაჭრო მოთხოვნებზე „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი"-ის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ როდესაც:

- არ არის სავარაუდო რომ კლიენტი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 და 180 დღეზე მეტით ვადაგადაცილებულია მოთხოვნის ტიპის მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი აღირიცხება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების წარდგენა

ზარალის რეზერვი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

(iii) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი თავდაპირველად სესხებს და მოთხოვნებს აღიარებს მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება ხდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც შექმნილი ან შენარჩუნებულია ჯგუფისმიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(iv) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და ჰეჯირების აღრიცხვა

უცხოურ სავალუტო რისკზე დაქვემდებარებების ჰეჯირებისთვის ჯგუფი წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ფლობს. ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები განცალკევდება ძირითადი ხელშეკრულებიდან და აღირიცხება ცალკე თუ ძირითადი ხელშეკრულება არ წარმოადგენს ფინანსურ აქტივს და კონკრეტული კრიტერიუმები არის დაკმაყოფილებული.

წარმოებული ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, წარმოებული ინსტრუმენტები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, და მასში მომხდარი ცვლილებები როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. მზარდი ხარჯები პირდაპირ უკავშირდება ჩვეულებრივი აქციების და სააქციო ოპციონების გამოშვებას და აღიარდება როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო გავლენის გამოკლებით.

(k) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი შეფასებულია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის იმის დასადგენად არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი გაუფასურებულია თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ ზარალის შემთხვევა დადგა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომ ზარალის შემთხვევას ჰქონდა უარყოფითი გავლენა აქტივის სავარაუდო მომავალ ფულად ნაკადებზე, რომლის შეფასებაც სანდოდ არის შესაძლებელი.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შესაძლოა მოიცავდეს შემდეგს:

- მევალის მხრიდან ვადაგადაცილება ან საერთოდ უარის თქმა ვალის დაფარვაზე;
- ჯგუფის მხრიდან ვადადამდგარი მოთხოვნების რესტრუქტურიზაცია ისეთი პირობით, რომელიც სხვა შემთხვევაში არ იქნებოდა ჯგუფისთვის მისაღები;
- ნიშნები იმისა, რომ მოვალე გაკოტრდება;
- ეკონომიკური პირობები, რომლებიც დეფოლტს უკავშირდება.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

ჯგუფი ამ აქტივების გაუფასურების მტკიცებულებას განიხილავს, როგორც ცალკეულ ასევე ჯგუფურ დონეზე. ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე ყველა აქტივი ინდივიდუალურად მოწმდება გაუფასურებაზე. ის აქტივები რომლებიც არ ჩაითვლება გაუფასურებულად, შემდგომში შეფასდება ერთობლივად ნებისმიერი სახის გაუფასურებაზე, რაც წარმოიშვა, მაგრამ არ არის ჯერ დადგენილი. აქტივები, რომლებიც არ არის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი, ჯგუფურად ფასდება გაუფასურებაზე მსგავსი რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების დაჯგუფებით.

ჯგუფური გაუფასურების შეფასებისას ჯგუფი იყენებს დეფოლტის ალბათობის, აღდგენების ვადებისა და გაწეული ზარალის ოდენობის ისტორიულ ტენდენციებს, კორექტირებულს ხელმძღვანელობის მსჯელობით, იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა მიმდინარე ეკონომიკური და საკრედიტო პირობები იმ სახის, რომ ფაქტიური ზარალი აღემატებოდეს ან ნაკლები იყოს წარმოდგენილ ისტორიულ ტენდენციებზე.

გაუფასურების ზარალი გამოითვლება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, დისკონტირებული აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში და აისახება რეზერვის ანგარიშზე მოთხოვნების საპირწონედ. როდესაც ჯგუფი მიიჩნევს, რომ არ არსებობს აქტივის ამოღების რეალური პერსპექტივა, შესაბამისი თანხები ჩამოიწერება. გრძელდება პროცენტის აღიარდება გაუფასურებულ აქტივზე, დისკონტირების უკუგების გზით. თუ შემდგომი მოვლენა ამცირებს გაუფასურების ზარალს და შემცირება ობიექტურად უკავშირდება გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენას, მაშინ გაუფასურების ზარალის შემცირება აღდგება მოგებაში ან ზარალში.

(ii) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა) გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება. გუდვილის აღდგენადი ღირებულება ფასდება ყოველ წელს ერთსა და იმავე დროს.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდინებებისგან. ჯგუფის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოდინებებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება. ბიზნეს შერწყმის შედეგად შეძენილი გუდვილი ნაწილდება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფებზე რომლებიც მოსალოდნელია რომ მიიღებენ სარგებელს შერწყმის სინერგიებიდან.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის და მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას და შემდეგ ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

გუდვილის გაუფასურების ზარალი არ არის აღდგენადი. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი აღდგენილია თუ აღდგენადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ შეფასებებშია ცვლილება. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(l) საკრედიტო ვალდებულებები

ჯგუფი მიიჩნევს, რომ ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები, რომლის მხარეც გახდა ჯგუფი სხვა მხარეების დავალიანების გარანტირების მიზნით, წარმოადგენენ სადაზღვევო გარიგებებს და შესაბამისად აღრიცხავს მათ. ამასთან დაკავშირებით, ჯგუფი საგარანტიო ხელშეკრულებას აღრიცხავს, როგორც პირობით ვალდებულებას იმ დრომდე, სანამ ჯგუფიდან საგარანტიო თანხების გადინება სავარაუდო გახდება.

(m) იჯარები

ჯგუფმა ფასს 16 იჯარები 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა. ჯგუფი ირჩევს გამოიყენოს ერთიანი, საბალანსო იჯარების აღრიცხვის მოდელი მოიჯარეებისთვის. შედეგად, ჯგუფი როგორც მოიჯარე, აღიარებს აქტივებს გამოყენების უფლებით, რაც წარმოადგენს შესაბამისი აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებებს, რაც ჯგუფის მიერ საიჯარო გადახდების განხორციელების ვალდებულებას ასახავს. მეიჯარეს აღრიცხვა რჩება მსგავსი ადრე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკებისა.

ჯგუფი აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვიღირებულებით და შემდგომ, თვითღირებულებით აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, და კორექტირებული საიჯარო ვალდებულებების კონკრეტული გადფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება მომავალი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით (გადასვლის თარიღისთვის), რომელიც დისკონტირებულია იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, ჯგუფის მზარდი სასესხო განაკვეთით. როგორც წესი, ჯგუფი დისკონტირების განაკვეთად მის მზარდ სასესხო განაკვეთს იყენებს.

საიჯარო ვალდებულება შემდგომ გაზრდილია საპროცენტო ხარჯით საიჯარო ვალდებულებაზე და შემცირებულია განხორციელებული საიჯარო გადახდებით. ის გადაფასებულია როდესაც არსებობს ცვლილება სამომავლო საიჯარო გადახდებში, რომელიც წარმოიშვა შემდეგის ცვლილების შედეგად: ინდექსის ან განაკვეთის ცვლილება, ცვლილება შეფასებაში იმ ოდენობისა რომელიც მოსალოდნელია, რომ იქნება გადახდილი ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში, ან შესაბამისობის შემთხვევაში, ცვლილებები შეფასებაში იმისა გონივრულად მოსალოდნელია თუ არა, რომ შესყიდვის ან გახანგძლივების შესაძლებლობა იქნება გამოყენებული, ან გონივრულად მოსალოდნელია რომ შეწვეტის შესაძლებლობა არ იქნება გმაოყენებული.

საიჯარო ვადა ასახავს ჯგუფის გონივრულ შეფასებას იმ პერიოდისა რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას ჯგუფი აფუძნებს მის მსჯელობას კონტრაქტის და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციაში და ჯგუფის სამომავლო ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში.

(ი) სეგმენტის ანგარიშგება

საოპერაციო სეგმენტი არის ჯგუფის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც უკავია ბიზნესის ისეთი ნაწილი, სადაც ეწევა ხარჯებს და შესაძლებელია ამონაგების მიღება (იმ ამონაგებისა და ხარჯების ჩათვლით, რომელიც დაკავშირებულია ჯგუფის სხვა კომპონენტებთან); რომლის საოპერაციო შედეგებს რეგულარულად იხილავს საწარმოში საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი, ამ სეგმენტზე რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად და მისი საქმიანობის შედეგების შესაფასებლად და რომლისთვისაც ცალკე ფინანსური ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N210247882
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.03.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ლანა მაჭავარიანი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV, სართული 2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	(+995) 595 10 16 08
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	41673547309221

მე, ნოტარიუსი ლანა მაჭავარიანი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV, სართული 2-ში ვამოწმებ ინგლისური ენის დიპლომირებული მთარგმნელის სოფიო კაპანაძის (დაბადებული: 08.02.1991 წ, დაბადების ადგილი: ქ. თბილისი, პირადი ნომერი: 01008047830, პირადობის მოწმობა № 113IL59605, გაცემულია 12.06.2015 წ., მცხოვრები: თბილისი, ამაშუკელის 16) ხელმოწერის ნამდვილობას დოკუმენტის - სს "სილქნეტის" 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება-ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმანზე.
თარჯიმანმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: დიპლომი M № 19GE000656KAPS001G, გაცემულია 12.08.2019 წ., BRITISH COUNCIL, IELTS TEST მიერ, თარგმანმცოდნეობის საქმის (ინგლისური ენა) სპეციალობით.
მე, თარჯიმანი გავაფრთხილე თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებებისა და იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს, თარჯიმანმა ჩემს წინაშე განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყო ზუსტი თარგმანი. მისთვის ცნობილია, რომ პასუხსაგებს თარგმანის სისწორეზე და ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით.
გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (წინამდებარე დოკუმენტი 4 ეგზემპლარზე შესრულებული 220 (ორას ოცი) ხელმოწერის დამოწმებისათვის 440 (ოთხას ორმოცი) ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს დადგენილების N507-ის 31-ემუხლისა), დარეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს დადგენილების N507-ის 39-ემუხლისა): სულ გადახდილია 442 (ოთხას ორმოცდაორი) ლარი და 00 თეთრი.

ნოტარიუსი

ლანა მაჭავარიანი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18


შეკერილია და დანომრილია
100 (ას)
ფურცლად
ნოტარიუსი
ლ. ნა მაჭავარიანი